პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმიანად მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება გერმანელ მუშა-ქალების დელეგაცია.
- ინგლისელმა ბანკირებმა ჰუნგრეთს სესხი მისცეს.
- რიფებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას, ახალი მთავარსარდალი აირჩიეს.
- ინგლისის სამხედრო სამინისტროდან მოიპარეს ახალი სწრაფმსროლელი ზარბაზნის გეგმა.
- გაიხსნა ინგლისის უნივერსიტეტების კონგრესი.
- პორტუგალიის მთავრობა სან-ვინცენტში სამხედრო-საზღვაო ბაზას აწყობს.
- ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტმა მიიღო საბჭოთა წარმომადგენელი.

სამშაბათი, 27 ივლისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 169 (1714)

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

საწარმოო თათბირების შესახებ

მიუხედავად საწარმოო თათბირების მუშაობის დიდი გამოცდილებისა, ჩვენ დღემდე მრავალი მსხვილმანი ნაკლი გვაქვს თათბირთა როგორც ორგანიზაციის, ისე მუშაობის დარგში. მაშინ, როდესაც, სახელდობრ ეხლა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიდი ამოცანის დასახვის გამო, საწარმოო თათბირების როლი და მნიშვნელობა განუზომელად უნდა გაიზარდოს. ჩვენი მასიური ეკონომმუშაობის სუსტ მხარეებს საკმაო სისრულით აშუქებდა ჩვენი პროფესიონალური პრესა, საკავშირო პროფკავშირთა უკანასკნელმა პლენუმმა კი აღნიშნა ამ მუშაობის ძირითადი ნაკლი. ნაკლთა აშორების საკითხს დიდი დაბრკოლებები ხვდებოდა ადგილობრივ.

ამიტომ მეტად დროულად უნდა ჩაითვალოს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმების დირექტივა, რომელიც ადგილობრივ ორგანიზაციებს მიეცათ საწარმოო თათბირების მუშაობის საკითხის შესახებ. ეს ფრიად საჭირო და სავალდებულო დირექტივა, როგორც სამეურნეო ორგანოებისა, ისე პროფკავშირთათვის, შეიცავს ძირითად ნაკლთა აღნუსხვას, რომლებიც აბრკოლებენ საწარმოო თათბირთა მუშაობას.

უპირველესად ყოვლისა, წერილი მიმართულია იმის წინააღმდეგ, რომ ზოგჯერ ჩვენ სამეურნეო მუშაკებს და ხანდახან პროფესიონალისტებსაც ეჭვი შეაქვთ თათბირების მუშაობის დიდ მნიშვნელობაში, და ისწრაფვიან, რომ ბოლო მოუღონ უყურადღებო და დაუდევარ დამოკიდებულებას საწარმოო თათბირებისადმი, რომელსაც ხანდახან იჩენენ სამეურნეო მუშაკები.

წერილი იწყება ისეთ დებულების დამტკიცებიდან, რომელიც საკმაოდ ნათელია, მაგრამ ხშირად ივიწყებენ: „არც ერთი ღონისძიება, არც ერთი ცოტად თუ ბევრად მსხვილი საკითხი არ შეიძლება იქნას გატარებული ცხოვრებაში, არ შეიძლება მოგვცეს აუცილებელი შედეგები, თუ კი იგი ტარდება მუშათა მასების კვერდის ახვევით ან არაა შეგნებული მუშათა მასების მიერ“. აქედან გამომდინარეობს იმ საკითხების სფეროს გაფართოება, რომლებიც საწარმოო თათბირებზე უნდა იქნან განხილული, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში მრავალ ადგილას ძალიან ნაკლებად აყენებენ თათბირებზე შრომისა და წარმოების საკითხებს; მთელ რიგ წარმოებათა და მუშათათვის მეტად მწვავე საკითხებს ატარებენ თათბირების გარეშე, ხანდახან ამ მიზნისათვის სპეციალურად შექმნილ კომისიებში. კერძოდ, ეს წერილი თათბირების მუშაობის ფარგლებში აყენებს მომჭირნეობის რეჟიმის გატარების ყველა საკითხებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მეურნეობისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას.

თათბირების მუშაობისადმი მიქცეულია მაღლა-მდგომ სამეურნეო ორგანოების (ტრესტები) ყურადღება. ამან ხელი უნდა შეუწყოს თათბირებზე გამოტანილ, მრეწველობისათვის მისაღებ გარდაწყვეტილებათა განხორციელებას და უფრო დაუკავშიროს ჩვენი ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანოები მუშათა მასებს.

წერილი უპასუხებს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის თათბირების მუშაობაში ჩაბმის საკითხზედაც, რომელიც უკანასკნელ ხანებში გართულდა იმის გამო, რომ ზოგიერთი ადმინისტრატორები უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ აქტიურ ტეხნიკურ პერსონალისადმი; იგი ბოლოს უღებს აგრეთვე რეპრესიების ცალკე შემთხვევებს თათბირების მონაწილეთა მიმართ, მეტად აქტიური კრიტიკის წარმოების გამო.

წერილი აღნიშნავს მთელ რიგ სხვა მტკივნეულ საკითხებსაც თათბირების მუშაობაში და ამგვარად იგი მიმართულია იმ ძირითად ნაკლთა აშორებისაკენ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

კავშირებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო თათბირების მუშაობას და გადააქციონ ისინი უფრო მასიურ ორგანოებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეურნეობის შემდგომ ზრდას და განვითარებას და ამით მშრომელთა ნივთიერ. მდგომარეობის გაუმჯობესებას.

* * *

სწავლის ფულის შესახებ *)

ამჟამად პროფკავშირთა უმაღლესი ცენტრალური საბჭო, რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატთან ერთად, იმუშავებს ზომებს და პრაქტიკულ წინადადებებს სასკოლო საქმის გაუმჯობესებისათვის.

პროფორგანიზაციებმა დღეს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სოციალურ აღზრდის საკითხებს და ძნელი არ არის იმის წინასწარმეტყველება, რომ ახლო მომავალში მუშათა კლასის შემოქმედება და ენერგია გაათკეცებული ძალით იქნება მიმართული განათლების საქმისაკენ.

ურიცხვმა საკითხებმა, რომელიც წამოაყენა ჩვენმა სამეურნეო სინამდვილემ, იმდენათ შთანთქა დღემდის პარტიის, ხელისუფლების და პროფორგანიზაციების ენერგია, რომ სოციალურ აღზრდის საქმე მესამე ფრონტად იყო გამოცხადებული და სასკოლო ცხოვრების უდიდესი დეფექტები თუმცა თავის-თავად ლაღადებდენ, მაგრამ მათ აღმოსაფხვრელად არ იყო საკმარისი დრო, ენერგია და მატერიალური შესაძლებლობა.

დღეს, საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების არეში სოციალური აღზრდის პრობლემას უჭირავს უკვე საპატიო ადგილი.

ვისაც არ სწამს მასის კოლექტიური შემოქმედება, ვისაც უკანასკნელი წლების ისტორიამ ვერ შეასწავლა მუშათა ორგანიზაციების ამოუწურავი ენერგიის დანახვა, ის ვერ შეაფასებს ღირსეულად აღნიშნულ მოვლენას, ვერ იგრძნობს, რომ ჩვენი სკოლის ცხოვრებაში დღეს იშლება ახალი ფურცელი.

სოციალური აღზრდის საქმეს ჩვენში დიდი პროგრესი ემჩნევა, მაგრამ კულტურულად ამაღლებული მასა იმდენ მოთხოვნილებებს უყენებს სკოლას, რომ მნიშვნელოვანი მიღწევები არარაობად გვეჩვენება და სასკოლო საქმე თხოულობს განსაკუთრებით ჭირისუფლებას.

ოქტომბრის ათი წლისთავი ახლოვდება და საზეიმო დღეები იძულებულ გვხდის ცოცხლად გავიხსენოთ უმაგალითო რევოლიუციის ანდერძი საყოველთაო სწავლის შესახებ.

არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს ის მოვლენა, რომ უკანასკნელ წლებში მასის კულტურულ ამაღლებასთან და სწავლა-განათლების განვითარებასთან ერთად, გაათკეცებული ძლიერით იფეთქა სწავლის თავშეუკავებელმა წყურვილმა. სასკოლო ასაკის ბავშვთა ლეგიონებს ვერ აკმაყოფილებს არსებული ქსელი სკოლების, ურამავი ბავშვები სასწავლებლის არეშე რჩებიან და განიცდიან უკმაყოფილებას მშობლებთან ერთად.

ეს სამწუხარო მოვლენა განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს ოქტომბრის ათი წლის თავზე. არ გვეყოფა სანუგეშოდ ის ფაქტი, რომ სწავლა-აღზრდის საქმემ დღიდან გასაბჭოებისა დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ.

როგორც ვსთქვით, საარაკოდ გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებენ არსებული სკოლები და ჩვენ წინაშე მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრება საკითხი სასკოლო ქსელის გაფართოების შესახებ.

მეორე მხრივ, ოქტომბრის ათი წლისთავზე მთელი თავის სიდიადით თვალ-წინ დაგვიდგება ლენინის ისტორიული ანდერძი სახალხო მასწავლებლის შესახებ იყო თუ არა ამოწურული ყოველგვარი საშუალება, რომ ეს ანდერძი გაგვენამდვილებია შესაძლებლობის ფარგლებში?

ჩვენი მასიური სკოლის მუშაკი უდანაშაულოდ დასჯილათ გრძნობს თავს. ხელფასის მხრივ ის საგრძნობლად ჩამორჩა თავის კოლეგებს დანარჩენ რესპუბლიკებში.

ამ მოვლენამ მიიპყრო ყურადღება საქართველოს პროფკავშირთა მე-5-ე ყრილობის და ამიერ-კავკასიის სატარიფო თათბირის.

მასიურ სკოლას გაურბის ის პირი, რომელიც მოწოდებულია მასწავლებლობისათვის, და განათლების საქმეს ეტანება ის, ვინც თავის „ერუდიციით“ და „კვალიფიკაციით“ მოწოდებულია იმისთვის, რომ უსაქმობით იქანცებოდეს. მასწავლებლის ხელფასის სიმცირე ჰქმნის ისეთ პირობებს, როდესაც ახალი სკოლის შენების მოვალეობას და სხვების სწავლებას კისრულობს ისეთი პირი, რომელიც წარმოადგენს ნახვრად უმეცრების ქურქელს. ასეთ მდგომარეობას არ მოეღება ბოლო, თუ ხელფასის პრობლემა არ იქნა გადაწყვეტილი.

საუბედუროთ, უსაფუძვლო იქნებოდა დაგვემყარებია იმედები უახლოესი სამეურნეო წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომელიც, როგორც გამოირკვა, მხოლოდ 15 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას. 15 პროც. ვერ გადასწყვეტს ვერც პირველი საფეხურის სკოლათა ქსელის გაფართოების საკითხს, ვერც მასიურ სკოლის მასწავლებელთა ხელფასის პრობლემას.

უნდა მოვაგვაროთ საკითხი სწავლის ფულის შესახებ, რომელსაც მიმართავენ დღეს რუსეთში პროფორგანიზაციები. ეს საკითხი რუსეთში გაცილებით უკეთ არის დამუშავებული, შესწავლილი და გადაჭრილი, ვიდრე ჩვენში. მაგრამ პროფორგანიზაციებმა საჭიროდ დაინახეს ხსენებული საკითხის განმეორებით წამოყენება.

ჯერ კიდევ 1924 წ. ლუნაჩარსკის საგანგებო დავალებით განათლების ინსპექტორებმა გამოარკვიეს სწავლის ფულის მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ სწავლის ფულს არსებითი მნიშვნელობა აქვს და ზოგიერთ გუბერნიაში ის შეადგენს 45 პროც. ყველა თანხებისას, რომლებიც იხარჯება საერთო სწავლა-აღზრდის საქმეზე.

ჩვენში შვიდი თვის წინედ წამოიჭრა საკითხი სწავლის ფულის შესახებ, მეორე საფეხურის სკოლაში. საკითხის დასმა გამოიწვია ხელფასის დავალიანების თავიდან აცდენის აუცილებლობამ. საკითხი სასწრაფოდ და ზერელედ იყო დამუშავებული და გადაჭრილი. ასეთ მდგომარეობაში არის ის დღეს.

ჩვენ თითქოს გვეშინია ხსენებული საკითხის გაბედულად წამოყენების, თითქოს დანაშაულება იყოს ეს ღარიბ გლეხთა წინაშე. გავრცელებულია უსაფუძვლო, შემცდარი შეხედულება, თითქოს მეორე საფეხურის სკოლები და სპეცტეხნიკუმები ავსებული იყოს ასი პროცენტით ღარიბ გლეხთა შვილებით. თითქოს ჩვენი ღარიბი მარკოზა და გოგია შვილებს გზავნიდეს თბილისში—ცხრაწლედებში და ტეხნიკუმებში საშუალო განათლების მისაღებად. ასეთი რწმენა ქვიშაზეა აშენებული და ხსენებულ სასწავლებლებში მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ სწავლის ფულის გაღება.

დღეს ყველას თავი ღარიბ გლეხათ მოაქვს, ყველა გოგია უიშვილად გამოიყურება, ყველა ცდილობს დაფსებული გლეხის პასპორტი იქონიოს ჯიბეში. თუ ძველმა ცხოვრებამ წარმოშვა მაძიებელი აზნაურის უკვდავი ტიპი, თანადროულობამ უკვე შექმნა ახალი სოციალური ჯიში ღარიბი გლეხის პასპორტის მაძიებლისა. ჩვენი დროის აშორდიები უკვე აზნაურებს და შეძლებულებს ეხმარებიან გოგია უიშვილის წოდების მიღების საქმეში.

თითქოს სასწავლო გადასახადის შემოღება მიუწვდომელს გახდის საშუალო სასწავლებელს ღარიბი გლეხობისათვის. ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენს სინამდვილეში ძნელი წარმოსადგენია ისეთი ღარიბი გლეხი, რომელსაც ჰქონდეს მატერიალური შეძლება შვილები შეინახოს თბილისში ან ქუთაისში და საშუალო სასწავლებელი მიაღებინოს. ღარიბ გლეხს თქვენ მიიზიდავთ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ სტიპენდიით. და თუ ვინმე ხსენებულ სასწავლებელში უსტიპენდიოთ სწავლობს, ის უმრავლეს შემთხვევაში არ ეკუთვნის ღარიბ გლეხთა ფენას.

ასეთ პირთათვის დღევანდელ პირობებში არ შეიძლება არსებობდეს იაფ-ფასიანი, ან უფასო საშუალო და უმაღლესი განათლება თუ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში არ იქნა შემოღებული სათანადო გადასახადი შეძლებულთათვის, შეუძლებელი შეიქნება პირველ საფეხურის სკოლის ქსელის გაფართოება, და დაბალი განათლებაც მისაწვდომი იქნება მხოლოდ ვიწრო ჯგუფთათვის, რჩეულთათვის, „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულთათვის“.

თუ საკითხი სწავლის ფულის შესახებ არ იქნა ჯეროვანად შესწავლილი და გადაჭრილი, ჩვენ ვერ გადავწყვეტთ: 1) ვერც შრომის სკოლის მასწავლებელთა ხელფასის გადიდების საკითხს, 2) ვერც პირველ საფეხურის სკოლათა ქსელის გაფართოების პრობლემას.

გ. კვიცარიძე.

---

* საკითხის გარჩევის წესით.

ილ. ჯ.

პუანკარე იმუშავებს ფინანსების „გაჯანსაღების“ გეგმას

განზრახულია არაპირდაპირ გადასახადების კიდევ უფრო გადიდება

გერმანია მოითხოვს კოლონიების დაბრუნებას

უ-პეი-ფუს ჯარებში აჯანყება დაიწყო—მდგომარეობა ჩინეთის ფრონტებზე

საფრანგეთის „გაჯანსაღება“

პრესა პუანკარეს მთავრობის შესახებ

პარიზი, 26 ივლისი. ფრანგული გაზეთები ხაზს უსვამენ იმ კეთილ განწყობილებას, რომლითაც უცხოეთში შეხვდენ პუანკარეს მთავრობას და ფრანკის კურსის აწევის ფაქტს.

„ჟურნალ ენდუსტრიელ“ ამ გარემოებას ხსნის პუანკარეს შეურყეველი პრესტიჟით და შთაბეჭდილებით უცხოეთში, რომ საფრანგეთმა გადასწყვიტა სერიოზულად იმოქმედოს.

„ერ ნუველ“ სწერს, რომ „ყველგან შენელდა ნერვიულობა. საჭიროა ატმოსფერის გაწმენდა დეპუტატთა პალატაში“.

„ექსელსიორ“ სწერს: „საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანკის კურსის აწევა დაიწყო პარიზში, რაც ქვეყნის შიგნით მთავრობისადმი ნდობის ზრდის მაჩვენებელია“.

მთავრობის მოწოდება

პარიზი, 26 ივლისი. მთავრობა მოუწოდებს გადასახადის ყველა გადამხდელებს არ დაუცადონ სიების გამოქვეყნებას და შეიტანონ საგადასახადო სალაროებში შესაძლებელი მაქსიმუმი გადასახადის ანგარიშში.

მდგომარეობა უმჯობესდება?

ლონდონი, 26 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პუანკარეს მთავრობის შედგენის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

დღეს ფრანკის კურსი იწყებს აწევას, ოფიციალურ ცნობებით გირვანქა სტერლინგი უკვე 199,50 ფრანკი ღირს, მაშინ როდესაც რამდენიმე დღის წინედ 22400 ფრანკი ღირდა. ბრიანის კაბინეტში კაიოს დამარცხების შემდეგ, სტერლინგი პირველად ღირს 200 ფრანკზე ნაკლები.

საფოსტო და კერძო შემნახველ კასებიდან შეტანილ თანხების გატანა 20 პროცენტით შემცირდა.

პირველი სხდომა

პარიზი, 26 ივლისი. გუშინ შესდგა საფრანგეთის მთავრობის პირველი სხდომა.

ფინანსიური გაჯანსაღების პროექტი, რომლის მთავარ პრინციპებს მთავრობის ყველა წევრები იზიარებენ, შემუშავებული იქნება შემდეგ სხდომებზე.

ოფიციალური ცნობა უარყოფს ცნობებს დეპუტატთა პალატის სესიის გაგრძელების შესახებ.

პუანკარეს პროგრამა

ბერლინი, 26 ივლისი. პარიზის პრესა აცხადებს, რომ პუანკარეს საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩება და მისი ფინანსიური პროგრამა, რომელსაც ის სამშაბათს წარუდგენს დეპუტატთა პალატას, ითვალისწინებს ახალ არაპირდაპირ გადასახადებს, არსებული პირდაპირი გადასახადის დაჩქარებით აკრეფას და უკანასკნელის ძალზე გადიდებას.

საფრანგეთის სამხედრო ვალები

ლონდონი, 26 ივლისი. ფიქრობენ, რომ პუანკარე და მისი კაბინეტის წევრები მოსთხოვენ პარლამენტს, რომ მან დაამტკიცოს ის შეთანხმება, რომელიც დასდეს ჩერჩილმა და კაიომ სამხედრო ვალების შესახებ. მაგრამ საფრანგეთ-ამერიკის შეთანხმება არ იქნება შეტანილი დასამტკიცებლად პალატაში, სანამ მას არ გადაათვალიერებენ.

გაჯანსაღების პროგრამა

პარიზი, 26 ივლისი. მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ სარრო პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთავრობის წევრებს შორის სრული თანხმობა არსებობს გაჯანსაღების პროგრამის პრინციპების საკითხში.

პროექტები წარმოდგენილი იქნება დეპუტატთა პალატაში 8 აგვისტომდე.

გერმანიის მოთხოვნილებები

გერმანიის მთავრობის კამპანია

ლონდონი, 26 ივლისი. „დეილი მეილის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ ნიშანი მისცა პრესას დაიწყოს ენერგიული კამპანია დაპყრობილი ოლქებიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანის, გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნებისა და დაუესის გეგმის გაუქმების სასარგებლოდ.

ჯერ კიდევ წარსულ თებერვალში აცნობა დაუესის კომისიამ გერმანიას, რომ მას არ შეუძლია იმ თვალსაზრისის მიღება, რომელზედაც ეხლა გერმანიის მთავრობა აშენებს თავის მოთხოვნილებებს.

დაპყრობილ ოლქების მინისტრის განცხადება

ბერლინი, 26 ივლისი. დაპყრობილ რაიონების მინისტრმა ბელმა ბერლინის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რეინის ოლქის მთავარ საკითხს შეადგენს საოკუპაციო ჯარების სიმრავლე. ლოკარნოს კონფერენციაზე მიღებული იყო დადგენილება საოკუპაციო არმიის 50.000 კაცამდე დაყვანის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არმიაში ამჟამათ ითვლება 85.000 კაცი, რომელთა რიცხვში 2.000 ფერადკანიანებია. დასასრულ მან სთქვა, რომ გერმანიის მთავრობა განაგრძობს იმ პოლიტიკას, რომელსაც ის ატარებს ლოკარნოს დადგენილებათა მიხედვით.

კოლონიების საკითხი

ბერლინი, 26 ივლისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა კულცმა ბერლინის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ კოლონიები გერმანიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენსო. ის ამბობს, რომ ვილსონის საზავო პირობების მე-5 მუხლიც ითვალისწინებს კოლონიალური საკითხის სამართლიან გადაჭრასო.

ხელშემწყობი კონიუნქტურის გამოყენება

ვენა, 25 ივლისი. „ლიდოვე ნოვინის“ ცნობით, გერმანიამ ჩეხო-სლოვაკიის ქვანახშირის რაიონ ოსტრავეში შეუკვეთა დიდძალი ქვანახშირი, რადგან თითონ გერმანია ვერ ასწრებს ინგლისის დაკვეთების შესრულებას. უკანასკნელ დღეებში ოსტრავადან 32.000 ვაგონი ქვანახშირი გაზიდეს.

მდგომარეობა ჩინეთში

აჯანყება უ-პეი-ფუს ჯარებში

ბერლინი, 26 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, უ-პეი-ფუს არმიის მეოცე ბრიგადაში აჯანყება მოხდა. „დეილი ტელეგრაფი“ დასძენს, რომ ჯარებს უკვე დიდი ხანია არ ეძლევათ ფული შესანახი ხარჯებისათვის.

შეტევა სახალხო არმიის წინააღმდეგ

პეკინი, 25 ივლისი. ნან-კოუს ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. ჩინეთის პრესის ცნობით უ-პეი-ფუ დაბრუნდა ხანკოუში და თითონ ხელმძღვანელობს ხუნანის ოპერაციებს. სახალხო არმიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების წარმოება კი მიანდო ჩან-ძო-ლინს.

* * *

რაკოშის დასაცავად

ავსტრიის მუშების პროტესტი

ვენა, 25 ივლისი. მუშათა მასიურციის მოხელეებმა ხალხს აუკრძალეს სასაპროტესტო კრებაზე რეიხენბერგში, პროტესტო ტელეგრამისთვის ხმის მირომელიც რაკოშის პროცესის გამო იყოცემა. ტელეგრამა უკვე გაგზავნილი იყო მოწვეული, კრებაზე დამსწრე პოლი-ჰუნგრეთის საელჩოში.

საბჭოთა პრესა

საკრედიტო დისციპლინა და ღარიბი გლეხობა

საკრედიტო კოოპერაციის მოღონიერებას სოფლად, სხვათა შორის, მეტად აფერხებს გლეხობაზე გაცემულ სესხის დროზე დაუბრუნებლობა. ვადა გასულ სესხის რაოდენობა რადგან საკრედიტო ამხანაგობას თანხების 50 პროც. აღწევს. ეს მოვლენა ისედაც მცირე კაპიტალების მქონე საკრედიტო კოოპერაციას სრულ მოსპობას უქადის. აუცილებელია გადამჭრელი ბრძოლის წარმოება სესხის ვადაზე გაუსტუმრებლობასთან და მტკიცე საკრედიტო დისციპლინის შემოღება. რას ნიშნავს მტკიცე საკრედიტო დისციპლინა?

„ეს ნიშნავს,—წერს გზ. „ბედნოტა“,—პირველი, რომ სესხის განაწილება უნდა ხდებოდეს მისი ამღების გადახდის უნარიანობასთან შეფარდებით. მეორე, სესხის გაცემის პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ აღებულ სესხიდან მისი ვადის გასვლის დროისათვის შეიძლებოდეს იმ სარგებლობის ნახვა, რომელიც შესაძლებელს გახდის სესხის დაბრუნებას დაწესებულ ვადაზე. რათა საკრედიტო ამხანაგობები სარგებლობდენ კანონით მათთვის მინიჭებულ ვადაგასულ სესხის იძულებითი გადახდევინების უფლებით“.

რაკი სესხის მიღების ერთი მთავარი პირობათაგანია კრედიტიანობა, როგორ უნდა ისარგებლოს მით ღარიბ გლეხობამ, რომელიც ყველაზე ნაკლებ კრედიტ უნარიანია? აქედან: ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მტკიცე საკრედიტო დისციპლინა საკრედიტო კოოპერაციას მხოლოდ მდიდარ გლეხობის დამხმარე ორგანოდ გახდისო.

„ასეთი შეხედულება, ამბობს „ბედნოტა“,—ძირეულად შემცდარია, სწორედ ღარიბ გლეხობაა დაინტერესებული, რომ საკრედიტო კოოპერაცია არსებობდეს, იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს. მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ ბრძოლა არ ვაწარმოეთ სესხის დროზე გაუსტუმრებლობასთან.

სხვა საკითხია, თუ სახელდობრ რა წესით უნდა მიეცეს სესხი ნაკლებ კრედიტ უნარიან გლეხებს. როგორი წესით გადავახდევინოთ სესხი, რა მიზნებისთვის და რა ვადით მივცეთ ის, რომ გლეხს მისი დაბრუნების საშუალება დაურჩეს. და, ბოლოს, რა წინასწარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, სანამ მივმართავდეთ სასამართლოს და ქონების აწერას. ყველა ეს საკითხი შეიძლება სათანადოთ გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა უფრო დაკვირვებით და ინდივიდუალურად მიუდგება თვითეულ ცალკე გლეხს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ვიქადაგოთ ისეთი საკრედიტო დისციპლინა, რომელიც ანგარიშს არ გაუწევს ღარიბ მეურნეობის თავისებურებათ და იმ სიძნელეებს, რომელიც აღმართულნი არიან მის წინაშე თავის დამოუკიდებლობისათვის მძიმე ბრძოლაში. ყველაფერი ეს, თავის თავად ცხადია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ამის შემდეგ კი სესხის დასაფარავად მთელი თანამიმდევრობით უნდა იქნეს ზომები მიღებული“.

გლეხობას უნდა მტკიცედ შთაუნერგოთ შეხედულება, რომ კრედიტი არის კრედიტი და არა დაუბრუნებელი სესხი, ან ქველმოქმედება. ღარიბ გლეხობაში უნდა იქნას აღმოფხვრილი სოციალური უზრუნველყოფის პსიქოლოგია. ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ მის სამეურნეო თვითმოქმედების განვითარებისათვის. საკრედიტო კოოპერაციამ სწორედ აქეთ უნდა წარმართოს თავისი მუშაობა და გაცემული სესხი ამ მიზანს დაუქვემდებაროს. მაშინ ღარიბ გლეხობას სესხის დაბრუნების შესაძლებლობა მიეცემა.

მაღაროს მუშათა გაფიცვა

მაღაროელები მტკიცედ არიან

ლონდონი, 25 ივლისი. იორკშირის პატარა სანახშირო რაიონის გამონაკლისით, სადაც შეუკავშირებელ მემაღაროეთა ნაწილმა განაახლა მუშაობა, ყველა რაიონების მემაღაროეები ძველებურად მტკიცედ არიან.

ხოჯესის „გამოსავალი“

ლონდონი, 25 ივლისი. სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის ყოფილმა მდივანმა და ეხლა სამთამადნო მუშების ინტერნაციონალის მდივანმა ფრანკ ხოჯესმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„სამთამადნო მუშებს, დაუყოვნებლივ, სავსებით უნდა მიეღოთ სანახშირო კომისიის წინადადება, ვინაიდან ეს საპატიო და საუკეთესო გამოსავალია შექმნილ მდგომარეობიდან“.

ტრანსპორტელების ფედერაციიდან გასვლა

ლონდონი, 25 ივლისი. მეზღვაურთა და გემის ცეცხლთ-ფარეშთა ეროვნული კავშირის ყოველწლიურ კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, რომლის თავმჯდომარეა ცნობილი რეაქციონერი ხაველოკ ვილსონი, მიღებულია დადგენილება, რომ კავშირი გამოდის ტრანსპორტელების საერთაშორისო ფედერაციიდან.

„ფორვერტსი“ მხოლოდ ილანძღება

ბერლინი, 25 ივლისი. ლენსბერის წერილის საპასუხოდ, რომელშიაც „ფორვერტსის“ რედაქციას ეძლეოდა წინადადება, რომ შტრეიკბრეხერული პროპაგანდა მხოლოდ გერმანიის ფარგლებით შეეზღუდა, სოციალ-დემოკრატების ორგანომ ვერაფერი შესძლო ეთქვა, გარდა გინებისა ლენსბერისა და კუკის მისამართით.

გაფიცვის გარშემო

ლონდონი, 26 ივლისი. თემთა პალატა გაფიცვის საკითხს მიმდინარე კვირის სამი დღის განმავლობაში განიხილავს და იმედი არის, რომ თათბირი შეთანხმების გზებს გამოსძებნის.

დღეს ორთავე პალატა განიხილავს მდგომარეობას პრემიერსა და ინგლისის მეთაურებს შორის (რომლებსაც სურთ შუამავლობა იკისრონ გაფიცვის საკითხში) წარმოებულ მოლაპარაკების მიხედვით.

ხვალ თემთა პალატაში მესამე წაკითხვისათვის შეიტანებენ კანონპროექტს სანახშირო მრეწველობის შესახებ. მოელიან, რომ ზარასკევს პალატა მოითხოვს დასტურს საგანგებო მდგომარეობის ვადის გაგრძელებისათვის.

ერთ-ერთ თავის სიტყვაში მემაღაროეთა ფედერაციის მდივანმა კუკმა გაკვრით სთქვა, რომ ახლო მომავალში შეიძლება იქნეს მოწვეული სადელეგატო თათბირი მდგომარეობის ხელახლა გადასაფასებლად.

მრეწველობის მდგომარეობა

ლონდონი, 26 ივლისი. ინგლისის ყველა კუთხეებიდან მიღებული ცნობები ამბობენ, რომ უცხოეთის ქვანახშირის შემოტანამ გააუმჯობესა მრეწველობის მდგომარეობა.

მრავალ ცენტრებში, როგორც მაგ. შეფილდში, სადაც უმუშევრობა სანახშირო მრეწველობაში მომხდარ დავის შედეგი იყო, წარმოებებმა ნაწილობრივ განაახლეს მუშაობა. შენიშნულია აგრეთვე უმუშევრობის მცირეოდნად შემცირება შავს რაიონში.

კლაიდსა და სვანსში ნახშირი საჭიროა გემთა აღმშენებლობისა, თუნუქის წარმოებისა და სხვა მთელ რიგ მრეწველობისათვის.

დერბში სათბობის მარაგის გადიდების გამო შესაძლებლად იქნა ცნობილი, რომ გაუქმებულ იქნას ელექტრობის მოხმარების შეზღუდვა.

ლანკაშირში განახლდა მუშაობა ქაოლდის სართავ და ქაღალდის ქარხნებში.

მაგრამ ყველა სამრეწველო რაიონებში მოუთმენლად ელიან დავის გათავებას სანახშირო მრეწველობაში, რომ სავსებით იქნას გამოყენებული ვაჭრობის აღორძინების შესაძლებლობა.

შეთანხმებას ცდილობენ

ლონდონი, 26 ივლისი. ხვალ ორთავე პალატაში მოხდება კამათი გაფიცვის საკითხის შესახებ. ეს კამათი, ალბად, გამოარკვევს, არსებობს თუ არა ახალი საშუალებანი გაფიცვის საკითხის შეთანხმების გზით მოსაგვარებლად.

თუმცა არ არსებობს არავითარი საიმედო ნიშნები, მაგრამ დიდი ოპტიმიზმია გამეფებული და ფიქრობენ, რომ გაფიცვა ამ დღეებში დამთავრდება.

ჩრდილოეთ ინგლისში არავითარი ნიშნები არა სჩანს იმისა, რომ მემაღაროებს ჰქონდეთ განზრახვა მემაღაროეთა ინსტრუქციის დარღვევისა.

გუშინ იორკშირში მიტინგზე კუკმა გამოსთქვა მწუხარება, რომ მემაღაროენი მოქმედებენ ისე, რომ ფედერაციისაგან არ იღებენ რჩევას. კუკის იორკშირში გამგზავრების მიზანია, რომ ხელი შეუშალოს მუშაობის განახლების სასარგებლო მოძრაობას. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში სამუშაოს სულ დაუბრუნდა 1.600 კაცი. საერთო რიცხვი მუშათა კი 8.000 კაცს უდრის.

უნივერსიტეტების კონგრესი

ლონდონი, 26 ივლისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, დღეს სორბონში გაიხსნა ბრიტანეთის იმპერიის უნივერსიტეტების კონგრესი. უნივერსიტეტების 300 დელეგატი პარიზის აკადემიის სტუმრები არიან.

რადგან კონგრესი პირველადაა მოწვეული უცხოეთის დედა-ქალაქში, მიღებულია მისალოცი დეპეშები უელსის პრინცისა და ჩემბერლენისაგან.

(დეპეშების გაგრძელება—მე-2 გვერდზე)

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის რეზოლიუციები

საბჭოების გადარჩევის შესახებ

1. გადარჩევის კამპანიის ხასიათი და მნიშვნელობა

1) საბჭოების გადარჩევა 1926 წელს წარმოადგენს პირველ ფართო საარჩევნო კამპანიას, სამოქალაქო ომის დამთავრებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოების გადარჩევაში პირველად გამოვიდნენ საჯაროთ სოფლის და ქალაქების ამომრჩეველთა ძირითადი სოციალური ჯგუფები. საბჭოების გადარჩევა ჩატარდა მშრომელთა მასების აქტივობის ზრდის პირობებში.

2) ისე როგორც წინად, თავისი აქტივობით პირველ რიგში იდგა მუშათა კლასი. წარსულ საარჩევნო კამპანიასთან შედარებით მუშების და საერთოდ პროფკავშირებში გაერთიანებულ მასის აქტივობა ისევ გაიზარდა, მაგრამ შედარებით უმნიშვნელოდ (საბჭოთა რუსეთში გადარჩევაში მონაწილე პროფკავშირთა წევრების რიცხვი გაიზარდა 52-დან 57 პროცენტამდე პროფკავშირების წევრთა საერთო რიცხვთან შედარებით). ეს უკანასკნელი ფაქტი აიხსნება იმით, რომ ამ ჟამად არ არსებობს უშუალო საფრთხე პროლეტარიატის დიქტატურის მტრების მხრივ. გარდა ამისა პარტიული და სხვა პროლეტარული ორგანიზაციები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას გადარჩევის საქმეს მუშათა რაიონებში და ქალაქის საბჭოების მუშაობა არ იყო სათანადოთ გაშლილი და გაფართოებული და ამასთან დაკავშირებით მუშების მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო პარტიის პროფკავშირების და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობისაკენ.

3) ქალაქში შესამჩნევად გაიზარდა პროფკავშირებში დაურაზმავ პროლეტარულ ფენების (მუშების ცოლები, უმუშევრები და მუშები, რომელნიც არ არიან კავშირის წევრები და სხვ.) და წვრილ ბურჟუაზიის მშრომელი ფენების (წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.) მონაწილეობა არჩევნებში. საარჩევნო კამპანიაში მათი მონაწილეობის პროცენტის ზრდა (საბჭოთა რუსეთში 1924 წელთან შედარებით ეს პროცენტი გაიზარდა 24-დან 37-მდე) განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნა იმის გამო, რომ წარსულ საარჩევნო კამპანიებში მათი მონაწილეობა სრულებით უმნიშვნელო იყო.

4) **სოფლად** გადარჩევის კამპანიამ გამოარკვია პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს გამოიხატა იმაში, რომ სოფლის ძირითადი მასების: საშუალო და ღარიბ გლეხობის მონაწილეობა გადარჩევაში აქტიურ ხასიათს ატარებდა (საბჭოთა რუსეთში 1924-25 წელთან შედარებით ხსენებულ ფენების მონაწილეობის პროცენტი გაიზარდა 41-დან 47 პროცენტამდე სოფლის ამომრჩეველთა მთელ შემადგენლობასთან შედარებით). განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა საშუალო გლეხთა მასსა, რომელიც არჩევნების მსვლელობაში მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ღარიბ გლეხობას. ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეთა მასები ნაკლებ ენერგიას იჩენენ არჩევნებში. მუშაობამ ღარიბ გლეხობას შორის თავისი ნაყოფი გამოიღო და სოფლის ღარიბი მოსახლეობის აქტივობა და ორგანიზაციული დარაზმულობა შესამჩნევად გაიზარდა. მეორეს მხრივ კულაკები, რომელნიც ხშირად დიდის აქტივობით გამოდიოდნენ, მრავალ შემთხვევებში იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თავის კლასობრივ ინტერესების აშკარად დაცვაზე და ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე და დაეკავშირებიათ კულაკური ზრახვები „ღარიბ გლეხობის ინტერესებით“ და „რევოლიუციონურ კანონიერებასთან“.

5) გადარჩევის კამპანიამ მკაფიოდ გამოარკვია ქალაქის და სოფლის სხვადასხვა სოციალურ ფენების ხვედრითი წონა და ცხადყო მუშათა კლასის და გლეხობის მშრომელი ფენების კიდევ უფრო მჭიდროთ გაერთიანება საბჭოების ირგვლივ. მან გამოაშკარავა აგრეთვე საბჭოთა მუშაობის სიძნელენი, რომელთაც თავი იჩინეს ახალ პირობებში და პარტიულ ხელმძღვანელობის ნაკლულოვანებანი. ამიტომ 1926 წლის საბჭოთა გადარჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის და რევოლიუციონურ კანონიერების გატარების შემოწმებას. ამ საარჩევნო კამპანიის შედეგები პირველ ყოვლისა განხილულ უნდა იქნეს იმ თვალსაზრისით, თუ როგორია პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცება საბჭოთა (პროლეტარულ) დემოკრატიზმის განვითარების საფუძველზე.

2. საბჭოების გამოცოცხლება, პროლეტარული დიქტატურა და კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობა

6) საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა, როგორც მორიგი ნაბიჯი საბჭოთა დემოკრატიზმის (პროლეტარულ დემოკრატიის) განვითარების საქმეში, უნდა ეყრდნობოდეს იმას, რათა „მთელი სახელმწიფო აპარატის მუდმივ და ერთად-ერთ საფუძვლად“ (იხ. საკავშირო კომპარტიის პროგრამა) დარჩეს პროლეტარი და უღარიბესი გლეხი—ნახევრად პროლეტარი. ეს არამც თუ არ უარყოფს, არამედ პირიქით მგულისხმობს გლეხობის მთელი ძირითად მასის რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობაში. არსებულ პერიოდში,—პროლეტარული დიქტატურის მატერიალური ბაზისის განმტკიცების დროს, (როცა სახელმწიფო მრეწველობა თანდათან ხდება ქვეყნის მთელი ეკონომიური სისტემის, ხელმძღვანელად), როცა პროლეტარიატის რიცხვი თანდათან იზრდება, როცა დღით-დღე მაგრდება მთელი საბჭოთა სისტემა და, დაბოლოს, მაგრდება და იზრდება თვით კომუნისტური პარტია,—არსებულ პერიოდში ამ ამოცანას პროლეტარიატის დიქტატურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამ ჟამად განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვათ პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის განმტკიცების ამოცანას. „დიქტატურის უმაღლესი პრინციპი არის პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის განმტკიცება, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლის და სახელმწიფო ხელისუფლების შენარჩუნება“ (ლენინი). აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სოფლად ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო უპარტიო აქტივის დარაზმვას პარტიის ირგვლივ დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

7) ამასთანავე ერთად მუშების და გლეხების კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის მტკიცე დასაყრდენი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ამ კავშირში ნამდვილად უზრუნველყოფილი იქნება პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი. ამიტომ საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა, როგორც კლასობრივი, ნამდვილი—პროლეტარული პოლიტიკა მგულისხმობს პროლეტარიატის აქტივობას, თვითმოქმედების და დარაზმულობის განვითარებას და კერძოთ მის მაქსიმალურ აქტიურ მონაწილეობას საბჭოების გადარჩევაში და საბჭოების მთელს მუშაობაში. ამიტომ გადარჩევის კამპანიის დადებითი პოლიტიკური მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო არჩევნების მონაწილეთა აბსოლიუტური რაოდენობით, არამედ აგრეთვე იმითაც, თუ რამდენად იზრდება და მტკიცდება საბჭოების მუშაობაში მათი პროლეტარული ნაწილის (ქალაქის და სოფლის) მონაწილეობა და გავლენა, რამდენათ იზრდება საბჭოებში არჩეულ მუშების და მუშა ქალთა რიცხვობრივი და ხარისხობრივი მნიშვნელობა და მათი (მუშათა და მუშა ქალთა) აქტიური და ნამდვილი ხელმძღვანელობა საბჭოების მთელს მუშაობაში.

8) საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის მიზანია აგრეთვე საბოლოოდ აღმოფხვრა ბურჟუაზიულ ელემენტების (ნეპმანების, კულაკების, ბურჟუაზიულ ინტელიგენციის) ზეგავლენისა მშრომელთა მასებზე. პარტიას მიზანშეწონილად მიაჩნია საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის მხოლოდ ისეთი გატარება, რომელიც გააძლიერებს თვით მშრომელთა გაერთიანებულ წინააღმდეგობას ბურჟუაზიის ამა თუ იმ ელემენტების ყოველგვარ პოლიტიკურ ზეგავლენის მიმართ, რაც გამოიწვევს ბურჟუაზიულ ელემენტების პოლიტიკურად გარიყვას. გადარჩევის კამპანიის მსვლელობასთან დაკავშირებით, რომელმაც აშკარად დაგვანახვა წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების ზრდა, როგორც სოფლად, ისე ქალაქში, განსაკუთრებით საჭირო ხდება, რათა მასების წინაშე გამოვამჟღავნოთ ბურჟუაზიულ ელემენტების ყველა აშკარა და ფარული (რაც ეხლა უფრო ხშირი მოვლენაა) პოლიტიკური ზრახვები და დაუზოგავი ბრძოლა ვაწარმოოთ მათი ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ შეინარჩუნონ თავისი იდეური და პოლიტიკური პოზიციები (მაგალითად, ლეგალურ ჩარჩოებში მოაქციონ თავისი რეაქციონური იდეოლოგიის პროპაგანდა სმენავეხოველთა ლიტერატურის გამოცემით; გამოიყენონ პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ ზოგიერთი ეკონომიური, კულტურული და სარწმუნოებრივი ორგანიზაცია, კერძოთ ნაციონალურ რესპუბლიკებში, სადაც განსაკუთრებით მცირერიცხოვანია პროლეტარიატის ფენები და სხვ.).

9) ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, როცა ნაწილობრივ აღდგენილია კაპიტალისტური ურთიერთობა და ჯერ კიდევ გრძელდება შინამრეწველობის და საგლეხო მეურნეობის განვითარება წვრილ ბურჟუაზიულ ნიადაგზე, წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიების მხრივ (მენშევიკები, ესერები) აუცილებელია ახალი ცდები აღადგინონ თავიანთი ორგანიზაცია და გავლენა. არსებობის უფლებების მოპოვების მიზნით ხსენებული პარტიები შეეცდებიან გამოიყენონ საბჭოების (და აგრეთვე კოოპერაციის და სხვ.) გამოცოცხლება. ამგვარ ცდათ უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, კონტრ-რევოლიუციონური აგიტაცია განსაკუთრებულ გლეხურ, სინამდვილეში კი კულაკურ, პარტიების და კავშირების აუცილებლობის შესახებ. მათ სურთ ასეთი პარტიები და კავშირები დაუპირდაპირონ პროლეტარიატს და კომუნისტურ პარტიას. მეორე მხრივ შესაძლოა სხვაგვარი ცდები, რათა გლეხობა წამოაგონ წვრილ-ბურჟუაზიული პოლიტიკის ანკესზე (მაგალითად ნეომენშევიზმის) „წმინდა პროლეტარულ“ გარეგნობაზე, „ჭეშმარიტ პროლეტარულ“ პოლიტიკაზე და ყალბ „მემარცხენე“ ლოზუნგებზე ამოკერებით. აუცილებელია აგრეთვე წვრილ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიების აღორძინების ცდა. ამასთან დაკავშირებით პარტიამ, მუშათა მასების აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ერთად, წინანდებურათ მხედველობის ცენტრში უნდა იქონიოს გლეხობის ძირითადი მასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება (რაც ეკონომიურ საძირკველს გამოაცლის წვრილ მესაკუთრეთა მასის პოლიტიკურ მერყეობას), უნდა დაუკავშიროს ეს ეკონომიური ზომები შეურიგებელ და სისტემატიურ ბრძოლას ყოველგვარ წვრილ ბურჟუაზიულ რყევის წინააღმდეგ, როგორ გარეგნულ ფორმაშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს ის. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ წინანდებურათ დაუზოგავათ და გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ყოველგვარი ცდები წვრილ ბურჟუაზიულ ჯგუფების მხრივ, რომელთა პოლიტიკის აზრი როგორც იყო, ისევე რჩება—კაპიტალიზმის დაბრუნება, ბურჟუაზიულ ხელისუფლების აღდგენა, რაც ამ ჯგუფებს საერთაშორისო კაპიტალისტების უშუალო იარაღათ ხდის.

10) წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკის გამოცოცხლების ახალი ცდების საფრთხის გამო საკითხი ორი ან რამდენიმე პოლიტიკური პარტიის არსებობის დაუშვებლობის შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში (კერძოთ საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარების პერიოდში) უნდა დაისვას მთელი თავისი პრინციპიალური გარკვეულობით. რამოდენიმე პოლიტიკურ პარტიის არსებობა—და მაშასადამე ბრძოლა მათ შორის ხელისუფლების მოსაპოვებლად—იქნებოდა პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის დაშლა, კავშირის, რომელიც ასე ძვირფასია კომუნისტური პარტიისათვის. ეს იქნებოდა პროლეტარულ დიქტატურის საძირკველის სრული გახრწნა და დაშლა. პოლიტიკურ პარტიების ბრძოლის არსებობა (და აგრეთვე სხვადასხვა ფრაქციები მთლიან პარტიაში) ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ძლევამოსილ დიქტატურას და არსებითად ეს იქნებოდა ბურჟუაზიულ დემოკრატიის აღორძინება ამა თუ იმ სახით. ამიტომ პროლეტარული დიქტატურის პირობებში „ჩვენ არა ვსცნობთ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის—ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ პარტიულობის—თვით ნიადაგს“ (ლენინი). პროლეტარული რევოლიუციის გამოცდილებამ ჩვენს ქვეყანაში სავსებით დაადასტურა პროლეტარული დიქტატურის განვითარების ეს პრინციპი.

11) ის ფაქტი, რომ პროლეტარული დიქტატურის მსვლელობაში საკავშირო კომპარტია გახდა პროლეტარული დიქტატურის უდავო და ერთად ერთი ხელმძღვანელი, პროლეტარიატის უდიდეს ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენს; ამასთანავე ერთად ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი პირობაა პროლეტარული რევოლიუციის ნამდვილ ძლევამოსილ განვითარებისათვის. ეს ფაქტი გვიჩვენებს აგრეთვე, თუ როგორი უნდა ყოს კომუნისტური პარტია, სოციალიზმის გამარჯვების პარტია, როგორი უნდა იქნეს მისი სწორი რევოლიუციონურ-პროლეტარულ პოლიტიკა, რომელიც პირველ ყოვლისა უნდა ეყრდნობოდეს მუშებს და საერთოდ მშრომელთა ფართო მასებს და, დაბოლოს, თუ როგორ უნდა დაუკავშიროს პარტიამ რკინის დისციპლინა ნამდვილ შინაპარტიულ დემოკრატიას. საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარება მგულისხმობს იმას, რომ დარაზმული ავანგარდი და პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი—პროლეტარიატის პარტია პირველ რიგში თვით უნდა მიდიოდეს ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების გზით თავისი რკინისებური დისციპლინის, მთლიანობის და პარტიულ რიგების ნამდვილ პროლეტარულ მონოლიტობის შენარჩუნებით და შემდგომ განვითარებით. მხოლოდ როგორც **მთლიანი** პარტია და როგორც პროლეტარული დიქტატურის **ერთად-ერთი** ბელადი და ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია შესძლებს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების უზრუნველყოფას.

12) პროლეტარიატის დიქტატურის ამ ერთად-ერთმა პარტიამ, კომუნისტურმა პარტიამ უნდა თანდათან გააძლიეროს მუშაობა უპარტიო მუშათა და გლეხთა მასების ჩასაბმელად საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. ეხლანდელ პირობებში ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატში, ბრძოლა ბურჟუაზიულ—ჩინოვნიკური ნაშთებისა და ზეგავლენის წინააღმდეგ ამ აპარატის სხვადასხვა ნაწილებში, ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ნამდვილ გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის უნდა შეიქნეს ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა. ამისთვის კი საჭიროა, რათა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა აღმშენებლობაში ჩააბას უპარტიო მუშები და მშრომელი გლეხობა, წამოაყენოს ყველაზე უფრო ერთგული და აქტიური მათ შორის სახელმწიფო აპარატის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ამრიგათ უნდა განხორციელებულ იქნეს პარტიულების და უპარტიოთა ურთიერთი ნდობა და თანამშრომლობა. მხოლოდ მაშინ როცა ყოველმხრივ გაძლიერებულ იქნება მუშაობა მასების კულტურული დონის ასაწევად, როცა პარტია მაქსიმალურ სიფხიზლეს გამოიჩენს მასების მოთხოვნილების მიმართ, დაუახლოვდება მათ სოციალისტურ აღმშენებლობაში მასების პრაქტიკულ მონაწილეობის ნიადაგზე, შეიმუშავებს და გამოიყენებს საბჭოების მუშაობის რაც შეიძლება მოქნილ ფორმებს, დაუკავშირებს ამ მუშაობას სხვა მასიურ ორგანიზაციების მუშაობას (პირველ რიგში პროფკავშირების, საწარმოო თათბირების, კოოპერაციის და სხვ.),—მხოლოდ ამ შემთხვევაში განამტკიცებს პარტია თავის მუშაობას სოციალიზმის აღმშენებლობის დარგში.

საბჭოების გადარჩევის შედეგები

13) საბჭოების გადასარჩევად წარმოებულ კამპანიის ძირითადი შედეგი ის არის, რომ ამ კამპანიამ სავსებით დაადასტურა პარტიის მიერ მე-14 კონფერენციაზე აღებული პოლიტიკური კურსის სისწორე. იმ გარემოებით, რომ პარტიის ავტორიტეტი და გავლენა მუშათა და გლეხთა მასებზე უსათუოდ გაიზარდა. საბჭოებში უპარტიო მუშების და გლეხების რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩასაბმელად აღებული მტკიცე კურსის გატარების დროს აუცილებლად მოსალოდნელი იყო კომუნისტების პროცენტის შემცირება,—განსაკუთრებით იმ საბჭოებში, სადაც კომუნისტების პროცენტი უდიდეს დონეს აღწევდა (მაგ. ქალაქის საბჭოებში). მიუხედავად ამისა, საბჭოთა უკანასკნელ გადარჩევის შემდეგ პარტიის ხელმძღვანელობის როლი საბჭოებში არა თუ შემცირდა, პირიქით უეჭველად განმტკიცდა. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ არჩევნების წინასწარმა კამპანიამ თვალსაჩინოდ გამოაშკარავა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების (მენშევიკების, ესერების) გავლენის სრული უქონლობა, უფრო მეტი—სრული გაკოტრება.

14. არჩევნებში მასების აქტივობის გაძლიერებას მოჰყვა საბჭოთა მშენებლობაში მშრომელთა მნიშვნელოვანი ახალი ფენების—მუშათა ახალი ფენების, განსაკუთრებით გლეხობის, შინამრეწველთა, მოსამსახურეთა და და სოფლის ინტელიგენციის (მასწავლებლების) ახალი ფენების ჩაბმა.

არჩევნებში მონაწილე მიმღებთა საერთო რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა,—სახელდობრ წინასწარი ანგარიშით მხოლოდ საბჭოთა რუსეთში ამომრჩეველთა რიცხვი 17 მილიონიდან 19,5 მილიონამდე გაიზარდა. საბჭოების გადარჩევის პირველმა ფართო და დია კამპანიამ ნათლად დაამტკიცა, რომ საბჭოების გამოცოცხლება უდავო ფაქტია, და სავსებით გააბათილა წვრილ-ბურჟუაზიული რეაქციის მოთქმა „საბჭოების თანდათანობით სიკვდილის“ შესახებ (რომელსაც თითქოს კლასიური ერთგვარობა იწვევს).

15. საბჭოების გადარჩევის კამპანიამ დაამტკიცა, რომ გადარჩევის სწორი ჩატარების და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამოცანები ფრიად გართულდა, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანიის დამთავრებიდან საკმაოდ ხანგრძლივი დრო არის გასული, არჩევნებისათვის შედეგების გამოყვანა, როგორც პარტორგანიზაციებმა საერთოდ, ისე პერიოდიულ პრესამ კერძოთ, უნდა ჩაითვალოს არასაკმარისად, ხოლო უმრავლეს შემთხვევებში სუსტად. ამასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს გადარჩევის შედეგების, როგორც არასაკმარისი პოლიტიკური აღრიცხვა და გაშუქება, ისე ხშირად ასეთი შემოწმებული სტატისტიკური ცნობების უქონლობა, რომელიც იძლევა საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს შემჩნეულ კლასობრივ ბრძოლის და სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების სწორ სურათს.

16. **სოფლად,** გლეხობის მთავარი მასის განსაკუთრებით საშუალო შეძლების გლეხობის აქტივობის გაძლიერების და პარტიისადმი ნდობის განმტკიცების ნიადაგზე იქმნება ხელსაყრელი პირობები ღარიბებისა და საშუალო გლეხობის შესაკავშირებლად „კულაკების“ წინააღმდეგ და ამასთან დაკავშირებით პარტიის და საბჭოების გარშემო წარმატებით იქმნება-ირაზმება უპარტიო გლეხობის აქტივი. ამასთან ერთად აქ ჩვენი პარტიის წინაშე დგება ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი ამოცანები და სიძნელენი სათანადო მუშაობის გაფართოების დროს, როგორც არის მაგ.

ა) სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს უპარტიო გლეხობის აქტივის შექმნის საქმეში ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისი მოხერხება და სათანადო გამოცდილება, და ამიტომ გლეხობის მთავარი მასის აქტივობის ზრდას ჩვენი პარტია ორგანიზაციულად ჯერ კიდევ ვერ სწვდება.

ბ) ვინაიდან, ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეებში აქტივობის გაღვივება ნელა მიმდინარეობს და ვერ მიჰყვება სოფლის დანარჩენ ფენების აქტივობის ზრდას, უპარტიო გლეხურ აქტივში ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების როლი და მონაწილეობა ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა.

ამ გარემოების გამო ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების წრიდან ამხანაგების წამოყენება საბჭოების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე (აგრეთვე კოოპერატივებში, გლეხკომებში და სხვა ორგანოებში) უფრო ნელა ხდება, ვიდრე საშუალო გლეხობის წრიდან.

17. **ქალაქებში** გასული წლების არჩევნებთან შედარებით პროფკავშირებში შეუკავშირებელ პროლეტარული ფენების და წვრილ-ბურჟუაზიის მშრომელ ფენების არჩევნებში მონაწილეობის გაძლიერების გამო—ერთი მხრივ, და პარტიული და სხვა პროლეტარული ორგანიზაციების მხრივ მუშათა რაიონებში წარმოებულ არჩევნებისადმი არასაკმარისი ყურადღების გამო, საგრძნობლად გაიზარდა ზემოხსენებულ ფენების წარმომადგენლების პროცენტი საბჭოებში.

ამ ფაქტს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, განსაკუთრებით იმ ქალაქების საბჭოებში, სადაც პროლეტარული მოსახლეობა უმნიშვნელოა.

18. პარტიული ხელმძღვანელობის დარგში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ სოფლის პარტორგანიზაციები საბჭოების გადარჩევის ამ კამპანიას შეხვდენ უფრო ორგანიზაციულად და ყოველგვარ დაბნეულობის გარეშე, რასაც ადგილი ქონდა გასული წლის ნაწილობრივი გადარჩევის დროს. უეჭველი წარმატებებია აგრეთვე წინასწარ მოსამზადებელ საორგანიზაციო ღონისძიებების და საარჩევნო ტეხნიკის გაუმჯობესების დარგში (არჩევნების წინაკრებების გახშირება, კანდიდატების წინასწარი შერჩევა-დასახელება, საარჩევნო უბნები და სხვა).

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს დიდი ნაკლულოვანებანი ამ დარგში. ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებასთან ერთად (უარის თქმა მბრძანებლობასა და დანიშვნების მეთოდზე საბჭოების მიმართ), ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში, განსაკუთრებით სოფლად, ხშირად თავს იჩენდა გადახრა მეორე მხრივ, სახელდობრ: პარტხელმძღვანელობაზე [illegible] ხელის აღების მხრივ, საბჭოების გადარჩევის კამპანიაში თავის ამოცანების ისე გაგების მხრივ, რომლის თანახმად უკან უნდა მისჩანჩალებდე მასებს. პარტორგანიზაციის „სახის დამალვის“, პარტიის პოლიტიკის დასაცავად საკუთარი სახელით არ გამოსვლის ცდებს, უარის თქმას თავის კანდიდატების აშკარად წამოყენებაზე და დაცვაზე ზოგიერთ ორგანიზაციებში არა საკმაო წინააღმდეგობას უწევდენ. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს შემდეგი ნაკლულოვანებანი: პარტორგანიზაციების აშკარად წამოყენებაზე და დაცვაზე ზოგიერთ ორგანიზაციებში არა საკმაო წინააღმდეგობას უწევდენ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი ნაკლულოვანებანი: პარტორგანიზაციების არასაკმაო ყურადღება საბჭოების ხელახალი არჩევნებისადმი მუშათა რაიონებში; ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ინსტრუქციების მიცემის სისუსტე; პრესაში საბჭოების ხელახალი არჩევნების გაშუქების არადამაკმაყოფილებელი ხასიათი და სხ.

19) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიის პოლიტიკური ხაზის გადამახინჯების ფაქტები. ამ ფაქტების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს პარტიის ხაზის საწინააღმდეგო გადახრები, რომლებიც დაშვებული იქნენ საარჩ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციებისა და განმარტებების (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების), და აგრეთვე ამ ინსტრუქციების და განმარტებების შემცდარათ, გაფართოებულათ გამოყენება ადგილებზე საარჩევნო პრაქტიკაში, ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ იმ დროს, როცა ქალაქში და სოფლად ადგილი აქვს ბურჟუაზიული ელემენტების ერთგვარ ზრდას, არ არის სწორი შემცირება იმ პირების რიცხვის, რომლებსაც წართმეული აქვს საარჩევნო უფლება.

20) სრულიად არასაკმაო იყო მონაწილეობა საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიაში (განსაკუთრებით სამრეწველო) პროფკავშირების, კოოპერაციის, გლეხკომების, უმიწაწყლო გლეხთა კომიტეტების და სხვა ორგანიზაციების მხრივ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომკავშირის და ქალთა სადელეგატო კრებების, კერძოთ კი მუშა-ქალთა სადელეგატო კრებების სუსტი, შეუკავშირებლად მონაწილეობა.

21) მასების აქტივობის ზრდამ გამოხატულება ჰპოვა არჩევნებში არმიისა და ფლოტის მონაწილეობის აქტივობის რამდენიმეთ გაძლიერებაში (არმიისა და ფლოტის მონაწილეობა არჩევნებში საშუალოდ წითელი არმიის მთელი შემადგენლობის 70 პროცენტამდე აღწევდა).

წითელი არმია უკვე შეიქნა საბჭოთა მუშაობის მოსამზადებელ უმნიშვნელოვანეს სკოლად, განსაკუთრებით სოფლისათვის. უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელ-არმიელთა როლი საბჭოების მუშაობაში სოფლად იზრდება, რაც პარტიისაგან მოითხოვს ყურადღების გაძლიერებას ამ მიმართულებით.

22) **ახლად არჩეულ საბჭოების** მუშაობის შესახებ ჯერ-ჯერობით საკმაო ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ, ახალ საბჭოების მუშაობა საერთოდ გამოხატავს მათი აქტივობის შემდგომ ზრდას, განსაკუთრებით სოფლად. სოფლის საბჭოები, გამტკიცებული სავოლოსტო (რაიონული) ბიუჯეტისა და მათში საშუალო და ულარიბესი გლეხობის აქტივობის ზრდის საფუძველზე, სისტემატიურად მაგრდებიან და ამაღლებენ თავის ავტორიტეტს მშრომელთა ფართო მასებში სოფლად. საბჭოების როლი სოფლად მიმდინარე პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. ამასთან ერთად ქალაქის საბჭოები, რომლებსაც ბოლო დრომდე, სანამ მიღებული იქნებოდა „დებულება ქალაქის საბჭოების მუშაობის შესახებ“ არ ჰქონდათ საკმაო მატერიალური (ბიუჯეტი) და საორგანიზაციო-უფლებრივი ბაზა, მცირეოდენის გამოკლებით, ნელა და არასაკმაოდ ანვითარებდენ თავის მუშაობას. მხოლოდ ახლა, ახალი „დებულების“ საფუძველზე, ქალაქის საბჭოებს აქვთ საშუალება. მასების აქტივობის ზრდაზე დაყრდნობით, ნამდვილად გააძლიერონ თავის მუშაობაში ქალაქის მშრომელი ფენების, და რასაკვირველია, პირველ რიგში სამრეწველო მუშების ჩაბმა.

4. დასკვნები და პრაქტიკული ამოცანები

განაგრძობს, რა საბჭოების (პროფკავშირების კოოპერაციის და სხ.) გაცხოველების პოლიტიკას, პარტიამ შემდეგი ამოცანები უნდა დაისახოს:

1. **მთელი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების მიზნით**, მისი ბიუროკრატიზმის და მასებიდან გამოთიშვის დასაძლევათ, მუშები, გლეხები და მშრომელების სხვა წრეები უფრო ფართოდ და გადაჭრით უნდა იქმნან ჩაბმულნი საბჭოების (სექციების, თათბირების, კომისიების) მუშაობაში.

2. იმავე მიზნით უფრო ხშირად და გაბედულად უნდა დაინიშნონ **უპარტიო** მუშები და გლეხები საპასუხისმგებლო მუშაობაზე საბჭოებში (პროფკავშირებსა, კოოპერაციასა და სხ.), ამასთანავე ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს მათ პოლიტიკურ, საზოგადო-კულტურულ და სპეციალურ საქმიან კვალიფიკაციის ზრდას.

3. გაძლიერდეს საბჭოებში არჩეულ პირთა **ანგარიშის მიცემა და პასუხისმგებლობა** თავიანთ ამრჩევლების წინაშე, რისთვისაც სხვათა შორის აუცილებლად საჭიროა, რომ ამრჩევლებს განემარტოს მათი **უფლება** იმ წარმომადგენლების **უკან გაწვევისა**, რომელნიც მათ არ აკმაყოფილებენ.

4. **გასწორდეს** ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საარჩევნო ინსტრუქციები, რათა ისინი, სავსებით შეფარდებულ იქმნან საბჭოთა კონსტიტუციასა და პარტიის საერთო ხაზთან. აუცილებელ ზომათ იქმნას აღიარებული დამატებითი დირექტივების შემოღება მომთაბარე და ნახევრად მომთაბრე რაიონებში.

5. მიღწეულ იქმნას **საარჩევნო ნორმების სწორი გატარება**, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციით და სათანადო ინსტრუქციებით არის შემოღებული, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოქალაქეებმა, რომელთაც საბჭოთა კონსტიტუციით საარჩევნო უფლებები არ აქვთ, მონაწილეობა არ მიიღონ საბჭოთა არჩევნებში. ამიტომ საჭიროა დაზგის მუშებისა, მოჯამაგირეების და ბოგანოების და აგრეთვე საშუალო შეძლების გლეხკაცობის მიწვევა საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო სიების სწორად შედგენისა და საზოგადოთ საბჭოთა კანონმდებლობის სწორად გამოყენების შესამოწმებლად.

6. **საბჭოების პარტიული ხელმძღვანელობის** გასაუმჯობესებლად აუცილებლად საჭიროა:

ა) გაგრძელდეს სისტემატიური და შეუდრეკელი ბრძოლა როგორც „ბრძანებლობის“ და „დანიშვნების“ მეთოდების ნაშთებთან საბრძოლველად საბჭოებს მიმართ, ისე მაჩანჩალობის („ხვოსტიზმის“) გამოხატულებასთან საბჭოების ხელახალი არჩევნების და მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში;

ბ) ყურადღების გაძლიერება საბჭოების არჩევნებისა და მუშაობისადმი მუშთა რაიონებში, რათა ხელახალ არჩევნებსა და საბჭოთა მუშაობაში მაქსიმალური აქტივობა გამოიჩინონ იმ მუშებმა და მუშა-ქალებმა, რომელნიც უშუალოდ არიან ჩაბმულნი წარმოებაში; ეს კერძოდ საჭიროა იმ ადგილებში, სადაც პროლეტარული მოსახლეობა ნაკლებია და საბჭოების არჩევნებსა და მუშაობაში იზრდება მშრომელთა სხვა წრეების მონაწილეობა: მოსამსახურეების, შინა-მრეწველების, დიასახლისების და სხ..

გ) უფრო ცოცხალი, უშუალო და სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევა ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებისთვის ხელახალი არჩევნების მსვლელობაში და საბჭოების კავშირის განმტკიცებაში მუშებთან და გლეხებთან, არჩეული წარმომადგენლების შემწეობით;

დ) მეტი ყურადღება საბჭოების ხელახალი არჩევნების საკითხისადმი პრესაში;

ე) მეტი ყურადღების მიპყრობა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია და სათანადო საარჩევნო ინსტრუქციები უფრო სწორად იქმნას გამოყენებული პრაქტიკაზე.

7. **უპარტიო გლეხური აქტივის მიმართ** სოფელში საჭიროა:

ა) უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მუშაობა უპარტიო აქტივის სახელმძღვანელოდ სოფელში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში პარტორგანიზაცია ამ აქტივში არ უნდა გაითქვიფოს, არც აქტივი არ უნდა გადაიქცეს ცალკე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციათ;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხურ აქტივში მოჯამაგირეებისა და ბოგანოების ჩაბმას, ამ წრეების როლის და გავლენის გაძლიერებას აქტივში, მოჯამაგირეებისა და ბოგანოების წინ წაწევას საბჭოების, კოოპერაციების და სხ. ორგანიზაციებში.

8. საჭიროა, რომ დაჩქარდეს განხორციელება ახალი „**დებულებისა ქალაქების საბჭოებზე**“ და შემუშავდეს საკითხი ქალაქების საბჭოების მუშაობის ახალ ამოცანებზე. კერძოდ იმ ქალაქებისთვის, რომელთაც უმნიშვნელო პროლეტარული მოსახლეობა ჰყავთ.

9. აგრეთვე საჭიროა **პროფკავშირებისა კოოპერატივებისა და სხ.** მუშაობის დაახლოება და მჭიდროდ დაკავშირება საბჭოების მუშაობასთან; ამ ორგანიზაციების მონაწილეობა გადამრჩეველ კამპანიაში შესამჩნევად უნდა გაძლიერდეს.

10. იგივე უნდა ითქვას **კომკავშირისა**, მუშა ქალთა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობისა და აგრეთვე ორგანიზაციულად დაურაზმავ ქალების მუშაობაში ჩაბმის შესახებ.

11. აუცილებელია და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ხელახალ არჩევნებსა და საზოგადოთ საბჭოების მთელს მუშაობაში ჩამორჩენილ **ეროვნულ რესპუბლიკებისა და ოლქების** მშრომელების ჩაბმის აუცილებლობა. ჩვენს წინაშე მრავალ შემთხვევაში სდგას უშუალო ამოცანა საბჭოების, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი ორგანოების შექმნისა და გაძლიერებისა.

12. გარდა ამისა, ამომრჩეველთა ცალკე წრეებიდან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს **წითელი არმიისა და ფლოტის** მონაწილეობას საბჭოების ხელახალ არჩევნებში და მუშაობაში.

13. მშრომელთა ფართოდ ჩასაბმელად საბჭოების არჩევნებში აუცილებლად საჭიროა ნაბიჯების გადადგმა **მოსამზადებელი ორგანიზაციული ზომებისა და თვით საარჩევნო ტეხნიკის გასაუმჯობესებლად**.

14. უნდა გაუმჯობესდეს **ანგარიშის**, კერძოდ საარჩევნო კამპანიების შედეგების სტატისტიკის დაყენება, იმ თვალსაზრისით, რომ სწორათ დაფასდეს კლასობრივი ელემენტები და კლასობრივი ტენდენციები, რომელნიც ხელახალი არჩევნების მსვლელობასა და შედეგებში გამოირკვევა.

***

XIV პარტიულმა კონფერენციამ და შემდეგ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ მოიწონეს საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ძირითადი ამოცანები შემდეგი იყო: საშუალო შეძლების გლეხის გამოთიშვა კულაკებისაგან, კულაკების პოლიტიკური იზოლიაცია, პროლეტარიატის და ბოგანო გლეხობის კავშირის განმტკიცება საშუალო შეძლების გლეხობასთან, ძირითადი გლეხური მასის ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ფართო მასებში. ხელახალი არჩევნები პირველი ფართო და აშკარა კამპანიას, რომელიც ამ პოლიტიკის საფუძველზე გატარდა, არ შეეძლო არ ჰქონოდა გარდამავალი პერიოდის ზოგიერთი თვისება, ამ პერიოდში საბჭოების პარტიული ხელმძღვანელობის ძველი მეთოდები ადგილს უთმობდნენ ახალს. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ხელახალი არჩევნების კამპანიაში მკვეთრად და თვალსაჩინოდ გამოჩნდა პარტიის მიერ მიღებული პოლიტიკის სწორად განხორციელების სიძნელე და პარტიული ხელმძღვანელების ზოგიერთი ნაკლულევანება გამოაშკარავდა, მაგრამ მიუხედავად ხელახალ არჩევნებში გამომჟღავნებული სიძნელეებისა, ამ საარჩევნო კამპანიამ სავსებით დაადასტურა პარტიის მიერ გატარებული პოლიტიკის სისწორე. ამ მხრივ ნიშანდობლივია უკვე უბრალო შედარება ახლანდელი საარჩევნო კამპანიისა წარსული წლის განმეორებით ხელახალ არჩევნებთან.

საბჭოების ხელახალმა არჩევნებმა დაგვანახვეს რამდენად გაუმჯობესდა რეალურად საზოგადო პოლიტიკური პირობები სოფელში პარტიის პოლიტიკის ახალი კურსის დროს; ამასთანავე გლეხკაცობის ძირითადი მასის (ბოგანოების და საშუალო შეძლების გლეხების) აქტივობამ მიმართულება და განვითარება მიიღო საბჭოების ხაზით. ხელახალმა არჩევნებმა საბჭოების გამოცოცხლების ნიადაგზე გამოაშკარავეს, რომ საშუალო შეძლების გლეხი შორდება კულაკს, უახლოვდება ბოგანოებს, იზრდება ბოგანოების პოლიტიკური აქტივობა, სუსტდება კულაკების პოლიტიკური გავლენა გლეხკაცობის მასებზე. ხელახალმა არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ პარტიამ საძირკველი ჩაუყარა ბოგანოების ორგანიზაციას, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, რომელიც კულაკების წინააღმდეგაა მიმართული სოფლის ახალ პირობებში. საბჭოების ხელახალ არჩევნების საზოგადო შედეგს სოფლად წარმოადგენს პარტიის ავტორიტეტის ზრდის გამოაშკარავება, აგრეთვე პარტიისადმი ნდობის გაძლიერება სოფლის ძირითად ბოგანო და საშუალო გლეხურ მასებს მხრივ და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება. ამრიგად გამოაშკარავდა სრული უნიადაგობა იმ ცდისა, რომელსაც პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე ახალი ოპოზიცია ახდენდა პარტიის პოლიტიკის ხაზის გასაბათილებლად. ხელახალი არჩევნების შედეგებმა დაგვანახვეს, რომ ოპოზიცია, რომელიც მეთოთხმეტე ყრილობაზე ახალი პარტიული პოლიტიკის კურსის წინააღმდეგ გამოდიოდა, პარტიას უკან სწევდა ხელმძღვანელობის და დრომოჭმულ მეთოდებისკენ. პარტიას რომ ახალი ოპოზიციის ეს პოლიტიკა მიეღო, მისი გავლენა სოფლად განელდებოდა, კულაკების პოლიტიკური როლი გაძლიერდებოდა და პროლეტარიატის დიქტატურა ქვეყანაში შესუსტდებოდა. ამასთან ერთად საბჭოთა გამოცოცხლების პოლიტიკის წარმატებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიზმის გასავითარებლად საერთოდ, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს პირველი წარმატება ამტკიცებს, რომ უარის თქმა თანამედროვე პირობებში საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკაზე და ამასთან ერთად საბჭ. (პროლეტ.) დემოკრატიზმის პოლიტიკაზე, რასაც არსებითად ახალი ოპოზიცია მოითხოვდა, ფაქტიურად ნიშნავდა პარტიის დაქვემდებარებას ჩვენი ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ—ჩინოვნიკური გავლენით გაჟღენთილი ნაწილობრივ ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი აპარატისადმი. პარტიამ მტკიცე კურსი აიღო იმ მუშაობის გასაძლიერებლად, რომელიც საბჭოების განმტკიცებისა და სახელმწიფოს აპარატის გარდაქმნისკენ არის მიმართული, თანდათან უფრო აბამს ამ საქმეში მუშებისა და გლეხების მასებს და ამ რიგად ხელისშემწყობ პირობებს ქმნის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლის საწარმოებლად.

პარტია უკეთებს რა ჯამს საბჭოების ხელახალი არჩევნების შედეგებს, ანგარიშს გაუწევს გამომჟღავნებულ სიძნელეებს და ნაკლულევანებებს და კიდევ მეტის სიმტკიცით გაატარებს საბჭოების გამოცოცხლებას აღნიშნულ, ჭეშმარიტად ლენინურ პოლიტიკას.

ბელადების სურვილის წინააღმდეგ

გერმანიის მუშათა დელეგაციაში 40 ს.-დ. შედის

ბერლინი, 25 ივლისი. გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მოემგზავრება, შესდგება 50 კაცისაგან; ამ რიცხვიდან 40 სოციალ-დემოკრატია: უმეტეს ნაწილს პასუხისმგებელ მუშაკის ადგილი უჭირავს პარტიაში და პროფმოძრაობაში. დელეგაციას ხელმძღვანელობს სრულიად გერმანიის მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე კერბერი.

დელეგაციის გამომგზავრების მომენტის მოახლოვებასთან ერთად დაიწყო ნერვიულობა სოც.-დემოკრატიულ პარტიაში; ყოველ ღონეს ხმარობენ ჩაშალონ დელეგაციის გამომგზავრება. სოციალ-დემოკრატები არ ერიდებიან არავითარ საშუალებას; ისინი დელეგატებს ოფიციალურად ემუქრებიან მათ პარტიის რიგებიდან გამორიცხვით და აგრეთვე პირდაპირ უშუალოთაც მიმართავენ დელეგაციაში მონაწილეებს. სოციალ-დემოკრატიის ბიუროკრატიულ ზემოფენებს დიდ დახმარებას უწევენ კაპიტალისტები, რომლებიც დელეგაციის წევრებს უარს ეუბნებიან შვებულების მიცემაზე და პირიქით დათხოვითაც კი ემუქრებიან. მიუხედავად ამისა, მათი განზრახვები უშედეგოთ დარჩა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

დამოკიდებულება ბალტიის სახელმწიფოებთან

ბერლინი, 26 ივლისი. ფინეთმა, ესტონიამ და ლატვიამ წარუდგინეს საბჭოთა კავშირს ნოტა, რომელშიაც სურვილს გამოსთქვამენ, რომ დაუყონებლივ დაიწყოს მოლაპარაკება იმ ხელშეკრულების დასადებათ, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლოს ეხება. ასეთი წინადადება საბჭოთა კავშირმა გადასცა ბალტიის სახელმწიფოებს 5 მაისს.

საბჭოთა კავშირი და ჩეხო-სლოვაკია

პრაღა, 25 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მასარიკმა მიიწვია საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი. ხანგრძლივი საუბრის დროს შეეხენ ზოგიერთ საკითხებს საბჭოთა კავშირსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის დამოკიდებულების შესახებ.

რიფები განაგრძობენ ბრძოლას

ახალი სარდალი

ბერლინი, 26 ივლისი. რიფების ხუთმა ტომმა აბდ-ელ-ქერიმის ნაცვლად ჟულენ-ელ-ბაგარი აირჩია მთავარ-სარდლად. ტანჟერიდან იუწყებიან, რომ ძლიერი ბრძოლა სწარმოებს.

პარტიის მთლიანობისათვის

მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

მოსკოვი, 26 ივლისი. 26 ივლისს შესდგა მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება. მოისმინა რა ამხ. რიკოვის მოხსენება, კრებამ მთლიანად მოიწონა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „ახალმა ოპოზიციამ“ პოლიტბიუროს წევრის ზინოვიევის მეთაურობით, განიცადა რა დამარცხება პარტიის მე-14 ყრილობაზე, გამთიშავი პოლიტიკის წარმოება დაიწყო პარტიის შიგნით და არალეგალურ ფრაქციულ ბრძოლის გზაზე შესდგა. „ახალი ოპოზიცია“ მისმა მუშაობამ კიდევ უფრო დააშორა ლენინიზმს. მოსკოვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ იგი გადაჭრით იბრძოლებს ლენინიზმის დამახინჯების ყოველგვარი ცდის, გამთიშავების წინააღმდეგ, იგი იბრძოლებს ლენინის პარტიის რიგების მთლიანობისათვის. მოსკოვის ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ აწარმოონ მუშაობა პარტიის მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და არ დაუშვან არავითარი ჯგუფობრიობა და ფრაქციულობა მთლიან ბოლშევიკურ პარტიაში.

პლენუმის ხაზს ემხრობიან

ოდესა, 26 ივლისი. ოდესის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო აქტივის კრებამ, რომელსაც დაესწრო 2.000 კაცი, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„განიხილა რა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილება, გაფართოებული პარტაქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება ამ გადაწყვეტილებებს, იწონებს მათ და მოითხოვს მე-14 ყრილობის დადგენილებებათა ცხოვრებაში გატარებას იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც პარტიის მთლიანობას არღვევენ.

სხდომა სასტიკად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს, რომ დისკუსია მოახვიოს თავზე პარტიას, განსაკუთრებით სამეურნეო დაბრკოლებათა პერიოდში, რასაც შეუძლია პარტიისა და მუშათა კლასის ნებისყოფის შესუსტება, და აგრეთვე სოციალისტური აღმშენებლობის ტემპის შენელება“.

ლენსბერი მოსკოვში

მოსკოვი, 26 ივლისი. 26 ივლისს ლენინგრადის მატარებლით მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის მუშათა პარტიის წევრი ლენსბერი. ამავე დღის საღამოს ლენსბერს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პრესის წარმომადგენლებთან. მან განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს კავკასიაში დარჩეს სამკურნალოდ.

ლენინგრადში ყოფნის დროს, სთქვა ლენსბერმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაცხოველებულმა მუშაობამ ლენინგრადის ფაბრიკებში. როგორიც არ უნდა იყოს ინგლის-რუსეთის კომიტეტის გადაწყვეტილება, რუსეთის მუშებმა თავისი დიდი დახმარებით გამოაშკარავეს თანაგრძნობა ინგლისის მუშებისადმი. ის მსხვერპლი, რომელსაც რუსეთის მუშები იღებენ ინგლისის მემაღაროეთათვის, აიძულებს მერყევ ლიდერებს, რომ კავშირი დაიჭირონ რუსეთის მუშებთან. ლენსბერი დარწმუნებულია, რომ სამთამადნო მუშები ბოლომდე იბრძოლებენ.

დასასრულ ლენსბერიმ სთქვა: მე დიდათ მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ვინახულო საბჭოთა კავშირი და მისი წარმატებები და, აგრეთვე, პირადათ გადუხადო მადლობა რუს მუშებს მათი უხვი დახმარებისათვის ინგლისის მემაღაროებისადმი. თუ არა ეს დახმარება, აქამდე რამდენიმე კვირით ადრე ინგლისელი მემაღაროები დამარცხებული იქნებოდენ. საბჭოთა კავშირის მუშების დახმარების მნიშვნელობა გამოიხატება არა მარტო ფულით, რომელსაც ისინი უგზავნიან ინგლისის მეაღაროებს, არამედ პროლეტარულ სოლიდარობაშიც“.

მექსიკაში

ხუცები უკმაყოფილო არიან

ბერლინი, 26 ივლისი. მექსიკის პოლიციამ დააპატიმრა სარწმუნოებრივ თავისუფლების დაცვის ლიგის თავმჯდომარე ვილიარო.

ეპისკოპოსებმა გადასწყვიტეს გააუქმონ 31 ივლისს მღვდელთ-მსახურება ნიშნად პროტესტისა მექსიკის მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

მღელვარების მოლოდინში

ლონდონი, 26 ივლისი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, მთავრობის წრეები უარყოფენ ხმებს იმის შესახებ, რომ ჯარს მიეცა ბრძანება მზად იყვნენ 1-ლ აგვისტოსათვის, როცა ძალაში შევა ახალი საეკლესიო კანონი. გახსნილია ზოგიერთი სკოლა, სადაც არ შეუწყვეტიათ სარწმუნოებრივი აღზრდა.

პრესის ცნობით, **ყველა კათოლიკური სკოლები დაკეტილია**. ზოგი ამერიკელი მისიონერები სახლში ბრუნდებიან. 150 კაცი ჩაჯდა ვერა-კრუცში, რომ დასტოვონ მექსიკა.

„პატრიოტი“ ლიუდენდორფი

ლონდონი, 26 ივლისი. ბერლინიდან მიღებული ცნობით გერმანიაში დიდი სენსაცია გამოიწვია გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ მიერ გამოქვეყნებულმა საბუთებმა, საიდანაც მტკიცდება, რომ გერმანიაში მარკის კურსის საშინელი დაცემის პერიოდში—1922 წელს, **ნაციონალისტების ლიდერი ლიუდენდორფი სცდილობდა, თავისი პირადი დიდი ქონება საზღვარგარედ გაეტანა, რომ ამით თავიდან აეცილებინა გადასახადების გადახდა.**

ხელისუფლების ორგანოებმა აღმოაჩინეს მისი განზრახვა და აიძულეს ლიუდენდორფი ეცნო თავის შეცდომა და ხელი მოაწერიეს მას ვალდებულებაზე, რომ ქონებას არ გაიტანდა.

სესხი უნგრეთისათვის

ლონდონი, 26 ივლისი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, დღეს დაიდო შეთანხმება გარეშე საქმეთა მინისტრის დოქტორ ვალკოსა და ინგლისის ფინანსიური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის; ინგლისის ფინანსიურ ჯგუფში შედიან: ფირმები—როტშილდი, და ძმანი შრედერები და კომპანია. შეთანხმება შეეხება უნგრეთისათვის 2½ მილიონ გირ. სტერლინგის მიცემას.

ოსმალეთი და ამერიკა

ლონდონი, 26 ივლისი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, ამერიკის უმაღლესი კომისარი, ადმირალი ბრისტოლი დაბრუნდა ანგორიდან, სადაც მან მომავალი წლის 20 თებერვლამდე განაახლა დროებითი საკომერციო ხელშეკრულება ოსმალეთსა და შეერთებულ შტატებს შორის.

„ურთიერთ-გაგების საზოგადოება“

ბერლინი, 26 ივლისი. პარიზში შემდგარ კრებაზე ევროპის ურთიერთ გაგების საზოგადოებამ დაადგინა მოიწვიოს ჟენევაში აგვისტოს დამლევს პირველი საერთაშორისო სესია. გერმანიიდან იქნებიან შემდეგი წარმომადგენლები: ბერნსტორი, სიმონსი, კრემერი, მარქსი, შეკინგი, სარჟი, ბრიკმანი, ფიურსტენბერგი, ბილანდი, ეინშტეინი, გაუნშმანი, გუტმანი, კაესი, გოფმანი და არქიეპისკოპოსი ფრიტცი.

ინგლისში

საბჭოთა შეკვეთების ხარჯზე

ლონდონი, 25 ივლისი. ლიბერალურმა „მანჩესტერ გარდიანმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც გააკეთა საბჭოთა კავშირის საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენელმა ლონდონში ემდინმა.

„მიუხედავად საბჭოთა კავშირის საკრედიტო ბლოკადისა, რომელიც სურს განახორციელოს ინგლისის ზოგიერთ წრეებს, განაცხადა ემდინმა, ლანკაშირისა და იორკშირის მანქანათა აღმშენებელ დიდი ქარხნების მეპატრონეებმა ჩვენ მოგვცეს კრედიტი გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე წინად. ინგლისის საფეიქრო ფირმების დაკვეთების 30%-ს ამჟამად შეადგენს საბჭოთა დაკვეთები. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დადებულია განრიგება, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირში უნდა იქნას შეტანილი რამოდენიმე ასი-ათასი გირვ. სტერლინგის საფეიქრო ნედლეული. 1925 საფინანსო წელში საფეიქრო სინდიკატმა, რომელმაც ინგლისში შეიძინა ბამბა, მატყლი, მანქანები და ქიმიური ნივთიერებანი, ფირმებისადმი დაკვეთებში დახარჯა 5.357.000 გირ. სტერლინგი; მიმდინარე ფინანსიური წლის პირველი 9 თვის განმავლობაში კი—880.400 გირვ. სტერლინგი.

გერმანიის მუშა-ქალების დელეგაცია

ბერლინი, 25 ივლისი. აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა კავშირში მოემგზავრება გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია 10 ქალის შემადგენლობით.

მუშათა მოძრაობა

ლოკაუტის დამარცხება

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. საქსოვ მრეწველობაში მომუშავე 20.000 მუშამ, რომელნიც ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ და ამიტომ წარმოების პატრონებმა მათ ლოკაუტი გამოუცხადეს, განაახლა მუშაობა; მათ მიიღეს კავშირის დაარსების უფლება, 44 საათის სამუშაო დღე კვირაში და შეინარჩუნეს არსებული სამუშაო ხელფასიც.

საერთო გაფიცვის მოხსნა

მექსიკა, 25 ივლისი. მექსიკის რკინისგზელთა ფედერაციამ მოხსნა ბრძანება საერთო გაფიცვის შესახებ და ინსტრუქციები დაუგზავნა ვერაკრუცის ყელზე მომუშავე რკინისგზელებს განაახლონ მუშაობა. ცნობა არის, რომ მთავრობა დათანხმდა აწარმოვოს მოლაპარაკება ვერა-კრუცის ყელზე მომუშავე რკინისგზელებთან.

მეპატრონეთა ლოკაუტი

პარიზი, 25 ივლისი. სატრანსპორტო წარმოების პატრონებმა რუანში, გაფიცულ დოკერებს გამოუცხადეს ლოკაუტი.

პოლიციის ძალადობის წინააღმდეგ

ვენა, 25 ივლისი. ვენაში კომპარტიამ მოაწყო საპროტესტო კრებები პოლიციის ძალადობის წინააღმდეგ. პოლიციელებმა იარაღი იხმარეს ინვალიდებისა და უმუშევრების დემონსტრაციის წინააღმდეგ.

პოლონეთის ამბები

ოპოზიციური პრესა—ზალესკის შესახებ

ვარშავა, 26 ივლისი. ნაციონალისტების ოპოზიციის გაზეთები ამბობენ, რომ ზალესკის აკლია რეალისტობა. მას ხმა უნდა აღემაღლებია და უფრო ძლიერი პოზიცია უნდა დაეჭირა ერთა ლიგის მიმართ, და არ დაეწყო ლოდინი ესპანეთისა და ბრაზილიის მოქმედებათა შედეგებისათვის. იგი უნდა შეუერთდეს მას სექტემბრის სესიაზე.

„ქვეყანა არ უსმენს მათ, ვინც ბუტბუტებს; უსმენს მას, ვინც ხმამაღლა ლაპარაკობს“.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ მეხუზლას წერილი ამხ. ალფესი ხელაძის სახელზე, ჩვენ მივიღეთ ტრამვაის მუშების, ამხ. ე. საღარაძისა და კ. ჩხარტიშვილისაგან მათდამი მიწერილი იმავე მეხუზლას წერილი და მათი პასუხი ამ წერილზე. თანახმად ამხ. საღარაძისა და ჩხარტიშვილის სურვილისა, ჩვენ ვაქვეყნებთ ამ მიწერ-მოწერასაც, რომელიც მაჩვენებელია ემიგრაციაში შექმნილი მდგომარეობის—ერთი მხრითა და მეორე მხრით—იმ სულისკვეთების, რომლითაც გამსჭვალულია აღმშენებლობაში ჩაბმული საქართველოს მუშათა კლასი, საერთოდ, და კერძოდ ყოფ. მენშევიკური პარტიის ყოფ. წევრები.

რედაქცია.

მეხუზლას წერილი ამხ. ე. საღარაძისადმი

პარიზი, 7 თებერვალი, 1926 წ.

ამხანაგო ერმალო! სალამი და გამარჯვება შენი. მიიღე ჩემგან ძველი ძმური მოგონება. აჰა, ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაგშორდით ყველას. ეს დრო დიდია ჩემთვის. ეს წერილი პირველი არის ჩემგან, როგორც შენთან, ისე ყველასთან. ამ წერილის დაწერა მიხდება თებერვალში. იცი შენც, რომ ეს თვე მე ძლიერ მეჯავრება, მაგრამ ამ თვის აღსანიშნავად კი არ გწერ ამ წერილს, არამედ ამას სულ სხვა დანიშნულება აქვს. ამაზე ქვემოდ.

როგორც იცი, მე წერილს არავის არ ვწერდი ტრამვაიში, ეს პირველია ახლა შენთან. ეს სიჩუმე აიხსნება სამი მიზეზით, რომელსაც აქვს დაჯერებაც. პირველი, ის რომ მე გაჯავრებული ვიყავი და ვარ ტრამვაის ყოფილ ძველ ამხანაგებზე, რადგან მაქ ციხეში თითქმის წლინახევრის ყოფნის დროს ერთი არავინ არ იკითხა ამბავი ჩემი. განა ასეთი ვიყავი მე ამ ამხანაგებისათვის, რომ ყველას დავავიწყდი? მოტანა არავის არაფერი მინდოდა, მხოლოდ რომ ვინმეს ამბავიც ეკითხა, ეს ჩემთვის იქნებოდა დიდი იმედი. ერთი სიტყვით, არავინ ერთხელაც არ მიკითხა და ახლა გეკითხები, მაქვს თუ არა საბუთი წყენის ამის შემდეგ. მეორედ, მე აღარ ვიცოდი, თუ ვისთვის გამომეგზავნა წერილი, რადგან არაფერი ვიცოდი, თუ ვინ დარჩა ტრამვაიში ჩემი მეგობრებიდან და ვინ მოშორდა. არ ვიცოდი ვისთვის უნდა მომეწერა. მესამედ, არის ის მიზეზი, რომ მე წერილს ვერ გიგზავნიდით ვერავის, რადგანაც შეიძლება ამისთვის ვინმეს არა საკადრისი თვალით შეეხედა, როგორც მე ცოდვილიანს, პარიზში მყოფს. აი მიზეზები, რომელნიც დღემდე აბრკოლებდა წერილის მოწერას. შენ რომ კიდევ ტრამვაიში იმყოფები, ეს ვიცი მე წერილებიდან ფილიპესაგან*), რომელთანაც მაქვს მიწერ-მოწერა. მე ხომ ფილიპე არ მინახავს სულ, რადგან ის კონსტანტინოპოლში იყო წინად და იქიდან წამოსული არის სულ პრაღაში. ამ მხარეებში მე არ ვყოფილვარ. ვიყავი პირველად ბერლინში ხუთი თვე და მას შემდეგ პარიზში ვიმყოფები. ავთანდილია რომ წავიდა რიგაში ბერლინიდან, მერე ჩემთვის წერილი არ მოუწერია და არც მე დავარღვიე ეს სიჩუმე. მაინცადამაინც ვერ ვიყავი მისი აზრების მომხრე.

ძმაო ერმალო! ამ წერილით მინდა შეგეკითხო ერთ საქმეზე და მექნება იმედი, რომ მიპასუხებ გარკვეულად შენს და სხვა ამხანაგების შეხედულებას. შენ იმისთვის გწერ პირველად ამას, რომ ვიცი მაქ იმყოფები და თუ სხვა ამხანაგების ადრესს მომცემ, შეიძლება მათაც შევეკითხო. საქმე იმაშია, რომ ჩვენ რამოდენიმე კაცი, ჩვენ ამხანაგებისაგან ვართ ოპოზიციაში იმ ტაქტიკის და მუშაობის, რომელსაც ადგია ყოფილი მთავრობა აქ. ეს ოპოზიცია არის კაკი წერეთლის მეთაურობით და მიმართულია ამ მთავრობის და მისი მომხრეების წინააღმდეგ. რაში არ ვეთანხმებით ჩვენ მათ. აი, ეს არის საჭირო აქ აღვნიშნო და შენ ამაზე დაფიქრდი უნდა და მომცე სწორი პასუხი. მომხდარი აჯანყება 1924 წელში და ამდენი სისხლის ღვრა ბრალიანი და უბრალოსი, ჩვენ მიგვაჩნია დიდ შეცდომად. არა თუ წარსულში, არამედ მომავალშიაც, რადგან ასეთი აქტი პატარა ერისგან დიდ ბუმბერაზ რუსეთთან არის მეტად უგუნურება, თუ არა ავანტიურა. დავანებოთ თავის იმას, რომ აქედან ნაკარნახევი იყო ეს, თუ მაქაური სტიქიური დამოუკიდებლად გამოსვლა, რომელზედაც არის დიდი ჯახი.

ჩვენ ვამბობთ, რომ არ შეიძლება ამის შესახებ ყოფილ მთავრობას წინასწარ არ სცოდნოდა-რა და თუ კი აუცილებლად იცოდა რაიმე, მას შეეძლო ყოველივე ღონისძიებით ეს დაეშალა და ფიზიკური არსებობისათვის გადაერჩინა ათასი ადამიანის სიცოცხლე. შენ კარგად იცი, რომ შემეძლოს აქაც ბევრის წერა, ვერას ეტყვი, რადგან არ ვიცი ვის უნდა მოუწიოს ამ წერილის წაკითხვა. ისინი გვეუბნებიან, რომ მათ არაფერი იცოდენ წინასწარ ამის შესახებ და ხალხს ასე უნდოდა. იქაური რეჟიმის მიზეზი არის და ვერც გაუმტყუნებთო. ეს ერთი შეკითხვა და მეორე ის, რომ საქართველოს საკითხში არაფერი გაუკეთებია არც ევროპის სოციალისტებს და არც მათ ორგანოს—მეორე ინტერნაციონალსო. პირიქით, მათ დაგვიშალეს ის, რაც შეიძლება გაკეთებულიყო ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისთვისო.

ისინი ამბობენ, რომ ბურჟუაზიულმა მთავრობებმა მეტი გააკეთეს, ვიდრე მაკდონალდის სოციალისტურმა მთავრობამ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მაკდონალდის მთავრობამ ან გერმანიის სოციალ--დემოკრატებმა ბევრი რამ დაგვეხმარა, მაგრამ საერთოდ სოცილისტებმა სხვაგან და მეორე ინტერნაციონალმა გვიღალატაო. ეს დაუშვებლად და შეცდომად მიგვაჩნია. დაყრდნობა საერთოდ ბურჟუაზიულ მთავრობებზე და მისგან დახმარება-დაპირების მიღება არის სოციალისტური იდეების გაბათილება, უარყოფა სოციალისტური მუშაობის გზისაც არის უკუ გდება იმის, რაც დღემდე გვწამდა, ვეუბნებით. ეს პიროვნებანი თეორიულად პრესაში კი სწერენ ძველ ფრაზეოლოგიას და იმეორებენ ისეთ ადგილებზე სოციალისტურ მრწამსებს, მაგრამ ჩვენთან ლაპარაკში, თუ გადადგმულ ნაბიჯებში სულ წინააღმდეგნი არიან. აი, საერთოდ ეს ორი კითხვა რა სახით ვესმის შენ და სხვა ამხანაგებს დღეს. მე კი არ ვამბობ იმათ აზრებს რომელნიც უკვე ოფიციალურად სხვა პოზიციაზე შესდგენ ჩვენი ამხანაგებისაგან, არამედ აი, შენ და შენისთანები ამ საკითხებზე როგორ აზროვნებენ.

ძველი ჩვენი ამხანაგები ახლა მართლაც არისტოკრატად და მოხელეებად იქცა, თუ მუშური პრინციპები სოციალისტური იდეებით მათ დარჩათ კიდევ.

საქართველოს შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად იარსებოს, თუ ეს არის ჰაერში გამოკიდული ოცნება. თუ ჩვენი დამოუკიდებლობის დროს მაგრად იყო ეს საკითხი ჩვენში, გახაბჭოების შემდეგ ეს აზრივე დარჩა, თუ შეიცვალა. გეოგრაფიული არსებობა ჩვენი ერის დარჩება მაგარი, თუ შეუძლებელი იქნება მისი დაცვა. ეკონომიური და ფინანსიური მხრით ვიქნებით მაგარი, თუ უძლური. ყველა ამას გწერ თითო კითხვით, რომ ცალკე იყოს პასუხი. შენ დააკვირდებოდი ალბად ამ ხნის განმავლობაში და რა შთაბეჭდილებას ღებულობ, ეს მინდა მე ვიცოდე. არ მომწერო ისე, რომ ფიქრობდე ერთს და მწერდე მეორე შეხედულებას...

მე არ ვიცი სად არიან ან რას შვრებიან ახლა იოსებ გიორგობიანი, გიორგი უსეინაშვილი, სერგო ქიტიაშვილი, პლატონ მეიფარიანი და სხვა ბევრი ჩემი ამხანაგები. ყველას აზრებს ამაზე შენ რომ მომწერდე და შემდეგ ისინიც რომ წერილობით გამომეხმაურებოდენ, მეტად მასიამოვნებთ. მე მგონია ამას კი შემისრულებთ და სხვა არაფერი მითხოვნია. არის ამ წერილში ისეთი შეკითხვები და წამოყენებული მოსაზრებანი, რომელზედაც შეიძლება ბევრის წერა და დასაბუთება, მაგრამ ამას მე განზრახ განუმარტებლად განზე ვსტოვებ სხვადასხვა მოსაზრებით. ამისათვის მე გწერ ამ კითხვებს ძალიან მოკლედ, რომ მაცნობო შენი აზრები. შეიძლება შენ კიდევ იცოდე უფრო ფართედ აღნიშნულ კითხვებზე მოსაზრებანი, რადგანაც უკანასკნელი წლების გაკვეთილები მაქ უდრის ათეულ წლებისას.

ძალიან დამავალებ, თუ მომწერ ტრამვაის ახლანდელ ნამდვილ მდგომარეობას. როდის უფრო კარგად იყო დაყენებული ამ წარმოების საქმე. შევიტყვე, რომ კილიხოძე ყოფილა ახალი მოძრაობის უფროსი. ამფერუმ ბიჭოს, როგორ მიყავს საქმე. ნესტორი გარდაიცვალაო. რაც არ უნდა იყოს საწყენია, მაგრამ ხომ ბევრი მოგონება წარმოგვიდგება ჩვენ მისი მოგონებით. საერთოდ განსვენებულმა მის თავს დაუჩქარა მისი დღეები დათვლილიყო მეტის ხმით. ყველაფერში უნდა კაცს ნორმალობა. სანდრო**) და მისი პოსტი როგორ შესადარისნი არიან. ცნობა მაქვს, რომ კარგიო, მართალია ეს? როგორ არიან ჩვენი თანამშრომელნი მასთან განყოფილებაში. კოწიე როგორ არის ან რა თანამდებობა უჭირავს. მოკითხვა ჩემგან. მინდოდა მისთვის წერილის მოწერა, მაგრამ ამით შემეშინებინა შეიძლება და დავანებე თავი. თუ აქვს სურვილი და მომწერს, ძლიერ კარგი იქნება. რამდენი ვაგონები მუშაობს ახლა და მუშაობა ხომ არ სწყდება?

ჩემს ამბავს იკითხავ ვიცი. მე მუდამ ვმუშაობ საფრანგეთში რაც მოვედი შემდეგ და მით გამაქვს თავი. ისე ერთი დღესაც ვერ იქნება კაცი აქ და არც არის სასურველი. ფიზიკურად ძალიან სუსტად ვარ და მოქანცული. მე ძალიან დავიშავე წელი ერთხელ მუშაობიდან, ეს იყო ამ სამი წლის წინად. მას შემდეგ სულ მტკივა და არც მორჩენა შეიძლება რადგან ხერხემალი არის შიგ დაზიანებული და გადაწეული მარცხნით. ევროპაში ბევრი რამე შევისწავლე დაკვირვებით და დიდი გაკვეთილი არის ჩემთვის. ეს შესწავლა ბევრ დარგში იგულისხმება და იქნება გამოსადეგი, თუ ცოცხალი დავრჩი. სოფლიდან ცოლშვილის მდგომარეობა ძალიან უნუგეშო მომდის. ცოლი დაავადმყოფებული უპატრონოდ და უკაპეიკოდ. შვილებს უნდა სწავლა და არა აქვს დედას ამის საშუალება. ბოვშებს კი დრო მიუდის. დედა ავად არის მუდამ და მოხუცებულობის მიზეზით სამარის კარებიდან მიხმობს ერთი უკანასკნელად მიხილოს. 1920 წლიდან მე არ მინახავს არც დედა და არც თბილი კერა. ასე მიდის წლები და ვინ იცის ხვალინდელი დღე რას გვიქადის. მონაწილე ვარ, ჩემო ერმალო, შენი მწუხარების, რადგან შენი შვილი ასე ტრაგიკულად დაგელუპა***). შეიძლებოდა პოლიტიკაზე ბევრის ლაპარაკი.

შენი პორფილე.

---

*) ლორია, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი. რედ.

**) ფარნიაშვილი.

***) ლაპარაკია ამხ. საღარაძეზე (მფრინავი), რომელიც დაიღუპა ამხ. მიასნიკოვ, მოგილევსკი და ატარბეკოვთან ერთად. რედ.

ამხ. საღარაძისა და ჩხარტიშვილის პასუხი

ამხ. პორფილე!

გიძღვნით მეგობრულ სალამს და გისურვებთ (ცხოვრებაში უყოველივე კარგს. შენი გამოგზავნილი წერილი მივიღეთ 17 თებერვალს და მან ძლიერ გაგვახარა, გულდასმით წავიკითხეთ და ვეცდებით შეძლების დაგვარად გიპასუხოთ, შენ გვისაყვედურებ უყურადღებობისთვის. მართალი ხარ, მაგრამ იმ დროს მდგომარეობა ხომ იცი როგორი იყო. რაც შეეხება 1924 წლის აჯანყებას, ამაზე ჩვენ წინასწარ არაფერი ვიცოდით. ის ჩვენ ბოლოს გავიგეთ, როგორც სხვა მოქალაქეებმა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით ვინ იყო ინიციატორი, ყოფილი მთავრობა თუ ადგილობრივი ორგანიზაცია. მხოლოდ ბოლოს გამოირკვა, რომ აჯანყება უთუოდ მთავრობას და საზღვარ-გარეთულ პარიტეტულ კომიტეტს მოუწყვია, ვინაიდან ჟღენტი და ჩხიკვიშვილი იყვნენ გამოგზავნილი აჯანყების მოსაწყობად მათ მიერ. რაც შეეხება ევროპის ბურჟუაზიას და მე-2-რე ინტერნაციონალს, ბურჟუაზიაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია, მე-2-რე ინტერნაციონალის პოლიტიკა კი მოსალოდნელად, ვინაიდან მას მუშათა კლასი ვერ დაუყენებია რევოლიუციონურ გზაზე და ბურჟუაზიასთან შეთანხმების - თანამშრომლობის გზას დაადგა.

შენ იწერები ჩვენი ძველი ამხანაგები მართლა არისტოკრატად და მოხელეებათ იქცენ, თუ მუშური პრინციპები და სოციალისტური იდეები მათ დარჩათ კიდეო. უნდა გადაჭრით გითხრათ, რომ ისეე მუშური და სოციალისტური პრინციპები შერჩათ. დამოუკიდებლობის შესახებ ხალხი იმავე აზრის არის, რომ საქართველო იყვეს დამოუკიდებელი, მაგრამ არ არიან მომხრე ბურჟუაზიასთან კავშირის, არამედ მახლობელ სახელმწიფოსთან, საბჭოთა რესპუბლიკებთან, რომლებთანაც უფრო ახლო არის დაკავშირებული.

გეოგრაფიული საზღვრების შესახებ ჩვენსავით პატარა კაცები ვერ გიპასუხებთ, მაგრამ დარწმუნებული ვართ სოციალისტურ მუშურ გლეხურ რესპუბლიკებში ეს საკითხი უფრო ადვილი გადასაწყვეტი იქნება და არის.

ფინანსიური და ეკონომიური საკითხის შესახებ ასე გეტყვით: მას შემდეგ, რაც რომ იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა გაანადგურა თითქმის მსოფლიო, რასაკვირველია, ჯერ საქართველოს ისე ვერ იქნება გამაგრებული ეკონომიურათ, რომ მას არაფერი აკლდეს. მართალია, დღეს საქონელი და პური მოგვდის რუსეთიდან. თუ ჩაუკვირდებით წინსვლას ვგონებთ, რომ ცოტა ხანში ეკონომიურათ მაგრები ვიქნებით, რაც გამოიხატება ელექტროფიკაციებით, არხების გაყვანით, ტრაქტორების შეძენით, საქსოვ-სართავ ქარხნების მოწყობით, გზების შეკეთებით, ახალი რკინის გზის შტოების გაყვანით, შავი ქვის დამუშავებით და სხვა მრავალი ასეთებით.

ეხლა გიპასუხებთ ტრამვაის შესახებ: ალბათ გემახსოვრებათ, რომ 1921 წლის დასაწყისში ჩვენ გვქონდა 8 რონოდა (ვაგონი). ეხლა ეს რონოდები არა თუ გაუთანასწორდა ომის დაწყების წინა ხანებს, არამედ გადავაჭარბეთ და ყველა რონოდები შეკეთებულია და უდრის 119 ძრავიან რონოდას. 41 მისაბმელ რონოდას, 6 ხორცის საზიდავ მისაბმელ რონოდას, 4 ნახშირის საზიდავ მისაბმელ რონოდას, ხუთი აგურის და სხვა ტვირთის საზიდავ ძრავიან რონოდას, 4 მოსარწყავი ძრავიანი რონოდას სულ—179 რონოდას. გარდა ამისა, შეკვეთილია რუსეთში 20 ახალი ძრავიანი რონოდა და მივიღებთ მაისში ან ივნისში. საზოგადოთ უნდა გითხრათ, რომ ტრამვაი გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ.

1924 წ. იანვრიდან ტრამვაის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა: აღარ არის ძველი არაფერი გარდა ანგარანისა (კანტორა). აიგო საუცხოვო საწყობები, გაფართოვდა, გამშვენიერდა სახელოსნო და მის ირგვლივ აიგო დიდი შენობები. სამხრეთით, ბაღისკენ. შენდება კიდევ სხვები. გაგანიერდა ქუჩა. ანგარანის წინ ძველი ღობის მაგიერ არის ქვიტკირის ღობე. ტრამვაის დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით სულ ახალი შენობები და კედლებია. ანგარანის წინ, რომ ცარიელი მინდორი იყო, დაწყებული ანდრეევის ქუჩიდან ვიდრე ვახნიავსკის ქარხანამდინ, ტრამვაის აქვს აგებული ზედ სახელოსნოები და გარაჟი, ქვიშის საწყობები და სხვა მრავალი ფარდულები და შიგ არის შეყვანილი ლიანდაგი, შეიცვალა ყველა ძველი რონები (რელსები) ხლებით, ძველი კი გადაგვაქვს განაპირა უბნებში და იქ გაგვყავს ახალი ხაზები, მაგალითად: გაყვანილია ნემეცების ახალშენამდის, ფუნიკულიორზე და ახალ სასაკლაოზე, ამ ხაზებზე უკვე მოძრაობა არის.გატანილია რონები და გაგვყავს ლიანდაგი წყნეთის ქუჩიდან სემინარიამდეც, გაგვყავს ორი ხაზი ნაძალადევში (ნახალოვკაში) ღრმა ღელემდე, გაფართოვებულია სომხების ქუჩა და გაგვყავს იქ ლიანდაგი, კეთდება და გაგვყავს ვერის ხიდიდან მარჯვნივ მტკვრის პირზე საბურთალოსაკენ. გაგრძელებულია ლიანდაგი ნაძალადევის ბოლომდე. გაგვყავს ძველი სასაკლაომდის სამხედრო საავადმყოფოდან ძველად აყრილი ლიანდაგი, მოწყობილია ტრამვაის ყველა ხაზებზე, ქუჩებზე ელექტრონით განათება ტრამვაის მიერ. რონოდების ფარეხების (პარკი) ირგვლივ აშენებულია შუშაბანდი და კედლები. შეძენილია და დაყენებულია სამუშაოს სხვადასხვა დაზგები (სტანოკები). გაყვანილია სახელოსნოს ეზოში ირგვლივ ოთხი სათადარიგო ლიანდაგი იმ ანგარიშით, რომ ახალი საწყობების წინ იარონ რონოდებმა.მოკირწყლულია მთელი ეზო ქვით. დანგრეულია ძველი საჯინიბოები. აშენებულია კონდუქტორებისთვის ოთახი, სადაც მოწყობილია ბუფეტი ჩაით და სხვა საჭმელებით და მრავალი სხვადასხვა, გვაქვს სამი ეშაფოდი, ერთი ეშაფოდი—კოშკი, 6 საბარგო თვითმავალი ავტომობილი, რომლის საშუალებით ტრამვაიში სრულდება ყველა მუშობა. ცხენები ტრამვაიში უკვე აღარ არსებობს*)

ძველი მუშები თითქმის დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე. უსეინაშვილი მსახურობს სხვა ალაგას და აქ არ მოსულა. იოსება გიორგობიანი დაბრუნდა გადასახლებიდან და თავის ალაგას მუშაობს, საღარაძე ოპერ კანტროლატ არის, ბილიხოძე მოძრაობის უფროსათ, ჩხარტიშვილი პარკის ზედამხედველათ, ზენაიშვილი საანგარიშო განყოფილების გამგეთ, მახარაძე საქარხნო ბუღალტერიის გამგეთ, შარაშენიძე მთავარ საწყობის გამგეთ, შეყნძე სამაგალო განყოფილების გამგეთ, ჰოველიძე ბილეთის გან. გამგეთ, მალაქია გიორგობიანი ცენტრალურ ელექტრონული სადგურის გამგეთ, შარიქაძე მთავარ საწყობის გამგის თანაშემწეთ, თათარიშვილი, არველაძე, ყორიშვილი, და სხვები ადგილკომის წევრებათ არიან. ერთი სიტყვით ყველა მუშა-მოსამსახურეები თავიანთ ადგილებს არიან. ხეჟერიანი მახარაძე მოკვდა, ქიტიაშვილი და მრავალი ძველი ამხანაგები უკვე წევრებია კომუნისტურ პარტიისა. დამოკიდებულება ამხანაგებში მეგობრულია. ნაციონალიზაცია ტრამვაიში სრულიად გატარებული არის, კონდუქტორებისათვისაც კი ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა. არა ქართველებისათვის გახსნილია სკოლები ქართული ენის შესასწავლად. აგრეთვე აურაცხელი სკოლებია უცოდინრობის ლიკვიდაციისთვის როგორც ქალაქად, ისე სოფლად გლეხებს და მუშებს შორის მჭიდრო კავშირია. კოოპერატივები ბევრია თუმცა არის დეფექტები, მაგრამ თანდათან სწორდება. მთავრობას და კომუნისტურ პარტიას გლეხებისაკენ ყურადღება აქვთ მიქცეული. ეს არის რაც შევძელით საქართველოთ შენთვის მოგვეწერა.

შენ რომ იწერები ფარნიევი კარგი დირექტორი ყოფილაო—ეს ჭეშმარიტებაა. რაც ტრამვაის შესახებ გწერთ და გაკეთებულია და კეთდება არის მისი საკუთარი ინიციატივით და მისივე ენერგიით გაკეთებული. შორსმჭვრეტელი კაცია. ყოველივე საკითხს არის, პოლიტიკური, ნაციონალური თუ ეკონომიური საკუთარი აზრით უდგება და თუ საქმე დაინახა მაინც და მაინც არც თუ უფროსობის წინაშე იხრის თავს და ამ [illegible] მისი დაწყებული საქმე მუდამ ნაყოფიერათ თავდება.

შენ არ იფიქრო, რომ ფარნიევი დირექტორია და იმისათვის აქებენ, არა. შეიძლება ჩვენ პირადათ მაგრათ გვამუშავებს, მაგრამ რაც კი აქვს კარგი იმას ჩვენ ვერ წავართმევთ. ფარნიევთან ერთად ჩვენ ყველანი დაუზარელათ ვმუშაობთ ჩვენი ქვეყნის, ხალხის და წარმოების წარმატება ბედნიერებისათვის და ვწუხვართ, რომ შენ და სხვა ამხანაგები იქ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ტყუილა უბრალოთ დროსა კარგავთ და არა ხართ ჩვენთან, ჩვენ მიუღებლათ ვთვლით და ვებრძვით კიდეც იმას რაც ხელს უშლის მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცება, აყვავება წინსვლას. შენ ან წერეთლის ოპოზიცია მიმართული ყოფილ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩვენ სასიხარულოთ მივვაჩნია, მაგრამ უფრო სასიხარულო და ნაყოფიერი იქნებოდა, რომ მანდ ცარიელ ოპოზიციების თამაშს თავს დაანებებდეთ და ჩამოხვიდოდეთ აქ. წერეთლის ოპოზიცია დაუჯერებელია იმიტომ, რომ თვითონ წევრია მე-2-რე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის, სადაც ის გაგზავნილია და არჩეული ყოფილი მთავრობის და უკანასკნელის მომხრეთა მიერ. გარდა ამისა, ყოფილი მთავრობის პოლიტიკა დადასტურებული და ნაკარნახებულია მე-2-რე ინტერნციონალური მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომლის წევრი წერეთელია და სწორედ ამით წერეთლის ოპოზიცია ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ გაუგებრათ ან ვისიმე შეცდომაში შესაყვანათ უნდა ჩაითვალოს.

ამხანაგური სალამით ე. საღარაძე.
კ. ჩხარტიშვილი.

21 მარტი, 26 წ.

---

*) ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, ზემოთქმულთან დამატებით, აღვნუსხოთ კიდევ ზოგი თვალსაჩინო მიღწევანი, რომლებიც წერილის ავტორებს ნაწილობრივ მხედველობიდან გამორჩენიათ, ხოლო ნაწილობრივ კი არ შეეძლოთ აღენიშნათ, რადგან ამ მიღწევების ადგილი აქვთ მათი პასუხის დაწერის შემდეგ. ასე მაგალითად:

1) მუშტაიდის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში შენდება სამსართულიანი მუშათა სასახლე, იმ განზრახვით, რომ ტრამვაის ყველა მუშა-მოსამსახურენი მოთავსდნენ ამ შენობაში თავიანთი ოჯახებით.სახლი შესდგება თორმეტი კორპუსისგან, ცენტრალური გათბობით, საზოგადო სამრეცხველოთი და ბავშვთა ბაგით. იქვე მოთავსებული იქნება კლუბი ბიბლიოთეკით, კოოპერატივი და ტრამვაის მუშათა სხვა კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

2) ვაკეზე და ავლაბარში შენდება ახალი პარკები ტრამვაის რონოდებისათვის საკუთარი ელსადგურებით.

3) ეწყობა ტრამვაის პარკში სამი ახალი სამქროები საკუთარი შენობებით: ჩამომსხმელი, სადურგლო და სამღებრო.

4) დაკვეთილია ხარკოვისა და მოსკოვის ქარხნებში 54 ახალი ძრავიანი დახურული რონოდა (წერილში აღნიშნულ 20 რონოდას გარდა).

5) იმავე ტრამვაის პარკში შენდება სასადილო ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ჩვენ არას ვლაპარაკობთ დანარჩენ „წვრილმან“ მიღწევებზე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რედ.

ძერჟინსკის ხსოვნისათვის

ვენა, 25 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის სამრეწველო ცენტრში ქ. რეიხენბერგში ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა მასიური კრება.

სამხედრო საბუთების გატაცება

ბერლინი, 26 ივლისი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, ბრიტანეთის დრედნოუტის „სუფოლკის“ გეგმა ახალ მსწრაფლ-მსროლელ იარაღის ნახაზებთან ერთად გაიტაცეს. პოლიციის დიდი რაზმი აწარმოებს გამტაცებელის ძიებას.

პორტუგალიის საზღვაო ბაზა

ლონდონი, 26 ივლისი. ლისაბონიდან მიღებული ცნობით, პორტუგალიის მთავრობა განიხილავს საკითხს სენ-ვინცენტში საზღვაო ბაზის დაწესების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუღანში

ბაქო, 26 ივლისი. მუღანის ველზე დაიწყო ბამბის მეორეთ მორწყვა. მუღანის ველის კეთილ მოწყობის გარშემო წარმოებულმა მუშაობამ ამ წელში მოგვცა 28.000 დესეტინა ბამბის დათესილი მიწა. გასულ წელში იყო დათესილი 16 —თუ 17.000 დესეტინა. წელს ბამბას გარდა 10.000 დესეტინა მიწა დათესილია პურით. თვით „მუგგელსტროიმ“ დათესა 600 დესიატ. ბამბა და 150 დესიატინა პური.

ტრაქტორებით დახნეს 2.500 დეს. საგლეხო მიწა. ამას გარდა აშენებულია 15 ახალი ხიდი, რომელზედაც შეიძლება მძიმე ტრაქტორების გატარება.

კოოპერატივ „კონკორდია“-ს საქმე

ბაქო, 26 ივლისი. გუშინ უზენაეს სასამართლოში დაიწყო კოოპერატივ „კონკორდიას“ საქმის გარჩევა. „„კონკორდია“-ს გამგეობის წევრებს ბრალდებათ მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი: საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან ოქროს ვალიუტის ნებადაურთველი გატანა, ვალიუტით სპეკულიაცია, ყალბი საბუთების გაკეთება და სხვ.

საბრალმდებლო სკამზე ზის 15 კაცი. ჯერჯერობით გამოირკვა, რომ უცხოეთში გადაგზავნილ ვალიუტის თანხა აღწევს 103.237 მანეთს.

ბრალდება წარდგენილი აქვთ 114,116,97,138 და სხვ. მუხლის მიხედვით. პირველი დღე მოუნდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვას და ბრალდებულთა პირველ დაკითხვას.

უმაღლეს სასწავლებლებში

ბაქო, 26 ივლისი. აზერბაიჯანიდან ს. ს. რ. კ-ს უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნილ იქნა სტუდენტების პირველი პარტია 48 კაცის შემადგენლობით.

ეკონომიურ-განყოფილების ორგანიზაცია

ბაქო, 26 ივლისი. აზერბეიჯანის ა. ლ. კ. კ-ს ცეკამ საჭიროდ სცნო ცე-კას ეკონომიური განყოფილება გადააკეთოს სასკოლო-ეკონომიურ განყოფილებათ.

პურის მკა

განჯა, 26 ივლისი. მაზრის ვაკე ადგილებში პურის მკა უკვე დათავდა მთიან ადგილებში ადგილ-ადგილ ეხლა დაიწყო მკა. მოსავალი საშუალოზე მეტია. პურის შენახვას განუწყვეტელი წვიმები უშლის ხელს. მთიან ადგილებში მოსავლის რაოდენობამ დაიწია 4 ბალიდან 2-მდე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

განჯა, 26 ივლისი. ტერიტორიალურ ნაწილების შეკრების დროს. პოლიტ-განათლების სამართველომ დაარსა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 23 ჯგუფი, რომლებიც მიმდინარე თვის ბოლოს უშვებენ 690 კაცს.

გადაფრენების სასარგებლოთ

განჯა, 26 ივლისი. ავიაქიმი შეუდგა ქალაქში სამდღიურის ჩატარებას, საბჭოთა დიდ გადაფრენების დამხმარე ფონდის სასარგებლოთ.

საიმპორტო გეგმა

ბაქო, 26 ივლისი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო 1926—27 წლისთვის შეუდგა მოწყობილობათა და ნედლის მასალის იმპორტის გეგმის შედგენას.

კამპანია მომჭირნეობის რეჟიმისათვის

ბაქო, 26 ივლისი. აზერბეიჯანის კომკავშირი მთელს მაზრაში ატარებს კამპანიას მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. უჯრედებში სწარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. სამაზრო კომიტეტების პრეზიდიუმებზე იკითხება მოხსენებები მუშაობის შედეგების შესახებ.

ეთნოგრაფიული ექსპედიცია სპარსეთში

ბაქო, 26 ივლისი. ბაქოდან გემ „მაქსიმ გორკ“-ით გაემგზავრა ეთნოგრაფიული ექსპედიცია სპარსეთის ნაპირების შესასწავლად. ექსპედიციის შემადგენლობაში შევიდენ მთელი რიგი პროფესორები ლენინგრადისა და ბაქოს უნივერსიტეტიდან.

სომხეთი

პროფესორ ჩილინცევის ექსპედიცია

ერევანი, 26 ივლისი. პროფესორ ჩილინცევის ექსპედიცია სოფ. ნასაგავიტში საჩვენებელ მუშაობას აწარმოებს იმ მიზნით, რომ პრაქტიკანტები გააცნოს სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევის ძირითადი მეთოდებს.

პრაქტიკანტებიდან გამოყოფილია სამი ჯგუფი, რომლებიც ადგილებზე წავლენ ამ დღეებში გამოკვლევითი მუშაობის წარმოებისათვის.

აეროპლანების მოფრენა

ლენინკანი, 26 ივლისი. თბილისიდან მოფრინდა ორი აეროპლანი, რომელთაც მოსახლეობამ ზეიმით შეხვედრა გაუმართა აეროდრომზე.

ავიაქიმი

ლენინკანი, 26 ივლისი. გუშინ დილით მოფრინდენ ავიაქიმის მიერ მოწვეული აეროპლანები. გაფრენა მოხდა ლენინკანში. ავიაქიმი შეხვდა მათ.

უკანასკნელი ცნობები

„კონკორდიას“ საქმის გარჩევა

ბაქო, 26 ივლისი. დაიწყო „კონკორდიას“ საქმის გარჩევა. დილის სხდომა ბრალდებულთა დაკითხვით დამთავრდა.

სამთომადნო მუშების გაერთიანება

ბერლინი, 25 ივლისი. გერმანიის სამთომადნო მუშების რეფორმისტულმა კავშირმა დაადგინა გააერთიანოს სამთომადნო მრეწველობის ყველა მუშები.

სპეკულიაციის საწინააღმდეგოდ

პარიზი, 25 ივლისი. კომუნისტურმა პარტიამ წინადადება შეიტანა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში პურზე მონოპოლიის შემოღების შესახებ პურის სპეკულიაციის შეწყვეტის მიზნით.

გაფიცვები ბელგიაში

პარიზი, 25 ივლისი. საამშენებლო მუშების გაფიცვა ბრიუსელში დამთავრდა. მათ გაუდიდეს ხელფასი 15 პროც. ახლა გაფიცული არიან ქვის მთლელნი, ფეიქრები და სხ.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ბერლინი, 25 ივლისი. შტეტინის გზით საბჭოთა კავშირში გაემგზავრა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია.

მეორე დელეგაცია.

დელეგაციის წევრთა რიცხვი 68 კაცამდე გაიზარდა; მათ შორის არიან: 47 სოციალ-დემოკრატი 10 კომუნისტი, 7 ქრისტიანულ-სოციალისტური პარტიის წევრი და 4 უპარტიო.

გამგზავრების წინ დელეგაციამ წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს, რომელშიაც მადლობას უცხადებენ საბჭოთა კავშირში მიწვევისათვის და ღრმა თანაგრძნობას გამოსთქვამენ იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირმა განიცადა ძერჟინსკის დაკარგვით.

ბელგიის მუშათა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 26 ივლისი. ბელგიის მუშათა დელეგაცია, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, გვირგვინებით შეამკო ლენინისა და ძერჟინსკის საფლავი.

26 ივლისს დელეგაცია მოსკოვიდან კიევში გაემგზავრება.

აჭარისტანისა და ოსმალეთის საზღვრები

მოსკოვი, 26 ივლისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შემდეგი დეპეშა მიიღო ბათუმიდან:

„აჭარისტანსა და ოსმალეთის საზღვრების დაწესების გამო მოგილოცავთ კიდევ ერთ მიღწევას საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის რესპუბლიკის შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში“.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარე **კარკლინი**, ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე **ფახრი-ბეი**, ართვინის ვილაიეთის გუბერნატორი **ოზდემურ სულიმ-ბეი**, აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე **თურმანიძე**“.

გლეხების მღელვარება იაპონიაში

ტოკიო, 26 ივლისი. კოკუსაის სააგენტო იუწყება:

„დაწყებითი სკოლების დახურვის გამო ხუთი ოლქის სოფლების გლეხები დაესხნენ ქალაქ ნაგანოს. ქალაქ იაკიში 700 გლეხმა დაანგრია პოლიციის სამმართველო.

დატუსაღებულია 30 კაცი, რამოდენიმე დაჭრილია. გლეხების მღელვარება დაიწყო იმის გამო, რომ პოლიციამ განდევნა გლეხთა პროცესია, რომელიც პროლეტარული სკოლის გახსნის აღსანიშნავად მოეწყო“.

მოლაპარაკება ჰონკონგისა და კანტონს შორის შეწყვეტილია

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. „ასოშიეტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, მოლაპარაკება გონკონგსა და კანტონს შორის დროებით შეწყვეტილია. შეთანხმება ბოიკოტის საკითხის მოწესრიგების შესახებ არაა მიღწეული. ორთავე მხარემ მიიღო და თავიანთ მთავრობებს წარუდგინეს წინადადებას საერთაშორისო კომისიის მოწვევის შესახებ, რომლებმაც უნდა გამოარკვიოს 1925 წლის ივნისის დახვრეტების პასუხისმგებლობის საკითხი.

შეტევა სახალხო არმიის წინააღმდეგ

პეკინი, 26 ივლისი. მოკავშირეთა (უ-პეი-ფუ და ჩან-ძო-ლინი) სამხედრო წრეები იუწყებიან, რომ ნანკოუს ფრონტზე სახალხო არმიის წინააღმდეგ შეტევის დროს ხელში ჩაიგდეს ნანკოუს სადგურის რკინის-გზის დეპო და ნანკოუ ამ დღეებში დაეცემა. ჩინეთის წრეებში ეს ცნობა ეჭვს იწვევს.

ინგლისის მუშების სასარგებლოდ

მოსკოვი, 26 ივლისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ცენტ. ბუხჰალტერიის ცნობით, მაისსა ივნისსა და ივლისის 20 დღის განმავლობაში ინგლისის სამთამადნო მუშების სასარგებლოდ შემოსულა 4.000.857 მანეთი. საკავშირო პროფკავშირთა ორგანიზაციებს, რომ შეგროვილი თანხა აუცილებლად საკავ. პროფკავშირთა ცენტ. საბჭოში უნდა გადაეგზავნოს.

პუანკარეს კაბინეტი მუშაობს

პარიზი, 25 ივლისი. შესდგა ახალი კაბინეტის პირველი სხდომა, რომელიც მოუნდა მთავრობის დეკლარაციის გამომუშავებას და ფინანსიური მდგომარეობის განხილვას.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ გაადიდა არაპირდაპირი გადასახადები, რამაც 4 მილიარდი ფრანკი ახალი შემოსავალი უნდა მისცეს. სავაჭრო ბრუნვის გადასახადი 2 პროც. დაწესებული. ხმები პალატის დათხოვნის შესახებ ოფიციალურად უარყოფენ.

ბირჟამ პუანკარეს მთავრობას ავანსად ნდობა გამოუცხადა ფრანკის კურსის აწევით.

კუკის აგიტაცია

ლონდონი, 25 ივლისი. კუკმა იმოგზაურა უორკშირში, სადაც რამდენიმე ათასმა მემაღაროემ განაახლა მუშაობა.

კუკი გამოვიდა ორ დიდ დემონსტრაციაზე და აუხსნა შექმნილი მდგომარეობა იმ მუშებს, რომლებმა მუშაობა განაახლეს.

კუკის სიტყვის შემდეგ ყველა ხუთი მაღაროს მუშებმა დაადგინეს, რომ კვლავ შეასწყვიტონ მუშაობა.

მეფის სოციალისტების გადადგომას მოითხოვენ

პარიზი, 25 ივლისი. მელითონეთა კავშირის მაგალითის მიხედვით, ბელგიის აღმშენებელ და ქვის მთლელ მუშათა კავშირებმაც მოითხოვეს სოციალისტ-მინისტრების გადადგომა. ამ კავშირების სათავეში სდგანან ის პირები, რომლებიც უწინ სავსებით უჭერდენ მხარს რეფორმისტების პოლიტიკას.

ბრიუსელის პროფკავშირებმა მიტინგი-დემონსტრაცია მოაწყვეს ეხლანდელი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ბანკირების სურვილს ასრულებს. მიტინგზე გამოსული ორატორები ამტკიცებდენ, რომ **მუშებმა უნდა აიღონ ხელისუფლება და შექმნან ევროპის შეერთებული შტატები, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ერთად გაანთავისუფლებენ ევროპას ამერიკის კაპიტალის ბატონობისაგან.**

ჩვენი გაზეთების გარშემო

ადგილობრივ პარტიულ და პროფორგანიზაციებს

ამხანაგებო!

ქართულ გაზეთების „მუშა“-ს და „კომუნისტი“-ს რედაქციებმა გადასწყვიტეს მიმდინარე წლის პირველ აგვისტოდან ხელის მოწერის ნაღდ წესზე გადასვლა.

თქვენ უკვე იცით, თუ რა გარემოებამ აიძულა ხსენებული რედაქციები ამ ზომისათვის მიემართა: **ნისიათ გაზეთის გაწერამ გამოიწვია ხელის მომწერთა უზომო დავალიანება და ერთობ გაართულა რედაქციების ნივთიერი მდგომარეობა.**

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი რედაქციები **იძულებული გახდენ შეეწყვიტათ სხვადასხვა უფასო დამატების ბეჭდვა** ან და ძლიერ შეემცირებიათ თვით გამოცემათა ზომა და რაოდენობა.

ამგვარად იმ ხელის მომწერთა წყალობით, რომელნიც ნაღდათ ან თავის დროზე არ იხდიდენ ხელის მოსაწერ თანხას, დაზარალდენ ისეთი მკითხველები, რომელნიც ხელის მოწერისთანავე იხდიან ხვედრ ფულს.

საერთოდ, ვითვალისწინებთ რა ნისიათ ხელის მოწერიდან გამომდინარე ყველა უარყოფით მოვლენებს, ნაღდ წესზე გადასვლას ჩვენ ვსთვლით **დროულ და მიზანშეწონილ მოვლენად.**

ამიტომ საჭიროა ამ ღონისძიების განხორციელებას **ენერგიულად დაუჭირონ მხარი ყველა ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა**, როგორც ხელის მოწერის ნაღდი წესის უპირატესობის ახსნა-განმარტებით მასაში, ისე პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღებით, რათა ახალმა წესმა ცუდი გავლენა არ იქონიოს ხელის მომწერთა რაოდენობაზე.

ყველა მუშათა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ და მასასაც უნდა გააგებიონ, რომ ბეჭდვითი სიტყვა საუკეთესო იარაღია მშრომელი ხალხის ხელში და რომ საჭიროა ამ იარაღის გაფრთხილება და მისი გამოყენება მტრის წინააღმდეგ.

გაზეთს აქვს უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის კლასობრივად გათვითცნობიერების საქმეში. ამიტომ უგაზეთოთ არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, არც ერთი მოსამსახურე, რომლისთვისაც მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე წარმოადგენს ცხოვრებისა და ბრძოლის უმთავრეს მიზანს.

დასასრულ მოუწოდებთ ყველა ორგანიზაციებს გვაცნობონ დაუყოვნებლივ გაზეთების გავრცელებისა და ხელის მოწერის ახალი წესის განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მ. კახიანი.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჟურულიშვილი.

ნაღდზე გადასვლის კამპანია ქუთაისში

ქუთაისის სამპროფბიურომ წინადადება მისცა ყველა კავშირებს და სამდივნოებს, ჩაატარონ ფართო კამპანია კავშირის წევრთა შორის იმ მიზნით, რომ გაზეთების ტირაჟმა არ დაიკლოს ნაღდზე გადასვლის გამო.

პარტიული ცხოვრება

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ამასწინათ შესდგა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც გაარჩია მრავალი ღირსშესანიშნავი საკითხები, როგორც პარტიულ პროფესიონალური, აგრეთვე საბჭოთა აღმშენებლობის დარგში.

პარტიული მუშაობა აფხაზეთში მეტად რთულია. ეს აიხსნება ერთის მხრით მრავალფეროვანი მოსახლეობით, და მცხოვრებთა 80, 90%-დის უსწავლელობისა და წერა-კითხვის უცოდინარობით. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით არის საჭირო მეტად მტკიცე და სწორი პარტიული ხელმძღვანელობა.

პლენუმმა, თუმცა აღნიშნა კომუჯრედების მრავალი ნაკლი, მაგრამ ამასთანავე ერთად აღიარა, რომ საერთოდ მათ მუშაობას ეტყობა გამოცოცხლება.

კომუჯრედების მუშაობა თანდათან ფართოვდება — მათ ხელმძღვანელობით სწარმოებს სოფლად საბჭოთა აღმშენებლობა, სოფლის მეურნეობის აღდგენა, კოოპერაციის, გლეხკომის და სხვა ორგანიზაციების მუშაობა.

ერთ მთავარ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციის ზრდა, რომელიც მიმდინარეობდა ნორმალურად.

ამ ექვსი თვის განმავლობაში ორგანიზაციაში მიღებულთა შორის 26,9% მუშა, 70,2% გლეხი და 2,9% მოსამსახურეა. უმთავრესად მიღებულია, კვალიფიციური მუშები, გლეხებისაგან საუკეთესო აქტივი, ღარიბები და საშუალო გლეხები და კომკავშირელები. ქალთა პროცენტი ძალზე მოისუსტებს: ამ ექვსი თვის განმავლობაში პარტიაში მიღებულ ქალთა რიცხვი 2 პროცენტს შეადგენს. თამბაქოს წარმოების დარგში პლენუმმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის თამბაქოს კავშირი წარმატებით მუშაობს, მეთამბაქოეთა შესაკავშირებლად კოოპერაციაში. (აფხაზეთის თამბაქოს კავშირმა შეძლო ჩაეთრია მწარმოებლების 70%.)

სამომხმარებლო კოოპერაციაში, როგორც გამოირკვა პლენუმზე დღესაც გრძელდება კოოპერატივის თანხების გაფლანგვა. უმთავრესად ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს დრანდის, ცებელდის, პოლტავო — ოლგინის და სხვა კოოპერატივებში.

პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს იქნას მიღებული სასტიკი ზომები გაფლანგვების აღმოსაფხვრელად, გაძლიერდეს უნდა აგრეთვე კონტროლი მათზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მხრივ და ამასთანავე გამომუშავებული იქნას კონკრეტული ღონისძიებები კოოპერატივების მუშაობის გასაჯანსაღებლად და მომჭირნეობის ჩასატარებლად. განსაკუთრებული ყურადღება პლენუმმა მიაქცია სახელმწიფო აპარატის ნაციონალიზაციას. ნაციონალიზაციის გატარებას უმთავრესად ხელს უშლის ის გარემოება, რომ არ მოიპოვება რუსულის ქართულის და აფხაზური ენების მცოდნე ხალხი.

სოფლად და რაიონებში უმთავრესად დაწესებულებებში სჭარბობს ადგილობრივი ენების არ მცოდნე პერსონალი.

პლენუმმა მიზანშეწონილად სცნო ნაციონალიზაციის გატარება იქნას დაწყებული ძირითად აპარატებიდან და თანდათან გატარდეს ზევით, რისთვისაც საჭიროა აპარატებში მომუშავეების გადამზადება სპეციალურ კურსებზე.

პლენუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო სასტიკი ბრძოლა წარმოებულ მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ;

პლენუმის მთელ მუშაობას საფუძვლად დაედო ს. კ. პ. ც. კომიტეტის დადგენილებები.

ია.—ი.

ფიზკულტურის ორგანიზაციის საკითხი*)

ფიზკულტურა თვალსაჩინო როლს თამაშობს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდის საქმეში. დღეს მის გარშემო მრავალი ახალგაზრდაა დარაზმული. ფიზკულტურის მუშაობის დაწინაურებისათვის ხელისუფლება სათანადო თანხებს იღებს, მაგრამ იგი ადგილებზე ვერ არის შესაფერისად გამოყენებული. შეიძლება ითქვას, რომ ზოგან ეს თანხა უაზროთ ნიავდება. ეს იმ დროს, როცა დღის წესრიგში მომჭირნეობის რეჟიმის სასტიკათ გატარებაა დასმული, იმ დროს, როდესაც, პარტია ამხ. სტალინის სიტყვებით,—უსასტიკესი მხეცური ეკონომიის რეჟიმის შემოღების დირექტივას იძლევა.

მომჭირნეობის რეჟიმის სასტიკად გატარება რა თქმა უნდა არ გულისხმობს მხოლოდ შტატების შემცირებას და მისგან დარჩენილ ფულის აუცილებლად სხვა საქმიანობაზე მოხმარებას, არამედ იმასაც, რომ ეს ფული და დრო გამოყენებული იქნეს იმავე საქმისათვის რაციონალურად, რაიმე რეალურ ნაყოფის მისაღებათ.

ხშირი და უშედეგო სხდომების მოწვევა კომისიების გამრავლება და ამით საქმის გართულება — გაჭიანურება, ზედმეტი ხარჯები და სახელმწიფო ფულის უაზროთ განიავებაც, —ერთ-ერთი მახინჯი მხარეა დღევანდელ ჩვენს მუშაობაში, რასაც უსათუოდ ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ვიკითხოთ, რამდენად სწორედ ტარდება პარტიის და ახკომკავშირის ხაზი ფიზკულტურის დარგში?

ფიზკულტურის მუშობა მაზრებში (რაიონებში და თემებში ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) ძალზე მოისუსტებს. სათანადო ორგანიზაციების უყურადღებობა, წრეებში ცალმხრივობა და უშინაარსო თამაშის გამო, ახალგაზრდობის გულგრილობა, სპეც-ინსტრუქტორების ნაკლებობა და წრეებში მხოლოდ ვაჟების და მხოლოდ კომკავშირელების ჩაბმის ტენდენცია, საერთოდ ანარქიული მუშაობა და ახალგაზრდობის ჯგუფურ სპორტ-ჯგუფების მოწყობისაკენ ლტოლვა, — აი ის სურათი, რომელიც ახასიათებს ამ საქმეს ადგილებზე. ჩვენის აზრით საქმის გამოსასწორებლად ადგილებზე საჭიროა ფიზკულტურის ორგანიზაციების ხელმძღვანელ სტრუქტურის შეცვლა და საერთო ხელმძღვანელობის გადაცემა ახკომკავშირის სამაზრო კომიტეტის პოლიტგანყოფილებისათვის.

როგორ და რანაირად უნდა მოეწყოს ეს საქმე და რა არის ამისათვის საჭირო?

მაზრის ფიზკულტურის საბჭოს პ/მგ. მდივანი საშუალოდ იღებს 50—80 მანეთამდე. თემში მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ფიზკულტურისათვის გარდა რამდენიმე მშრალ ცირკულიარის გაგზავნისა, ამავე დროს ნამდვილი ინსტრუქტორ - ხელმძღვანელები საქმისთვის ბევრ ადგილს არა გვყავს იქაც კი სადაც არიან მათი რიცხვი ძლიერ მცირეა. (ზოგ მაზრაში არის ერთი ან ორი). ისინი თავიანთ მოუმზადებლობის გამო, ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

საქართველოში თითქმის, ყველგან ასეთი მდგომარეობაა გარდა ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრებისა და თბილისისა. მდივნებს არ ძალუძთ ფიზკულტურის წრეების ორგანიზაცია, — საქმის ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელობის კომკავშირის სამაზრო კომიტეტებისათვის გადაცემით ჩვენ შეგვეძლება ფიზკულტურის ორგანიზაციულად მოწყობას და მასში მაგარ დისციპლინის განმტკიცებას; ფიზკულტურის ეხლანდელ აპარატის გაუქმებიდან დარჩენილი ფულით შესაძლებელი გახდება იარაღის შეძენა და ინსტრუქტორების რიცხვის გადიდება.

საქართველოს ა. ლ. კომკავშირის ცეკამ და ფიზკულტურის უმაღლეს საბჭომ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება.

გ. ნ.

კომკავშირის სენაკის ქ. ორგანიზაციის მუშაობა

ქ. სენაკში არსებობს ს. ლ. ა. კ. კ. 6 უჯრედი. მათგან 4 სასკოლო უჯრედებია: 9 წლიანი შრომის სკოლის, პედაგოგიური ტეხნიკუმის, სამეურნეო ტეხნიკუმის, და წითელ პედაგოგიური კურსების. ორი დანარჩენი მუშა-გლეხური უჯრედია: რკინის გზის და სენსამკომის, ქ. ყველა უჯრედებში ირიცხება 260-მდე წევრი და კანდიდატი — მათში 47 ქალიშვილი. ქ. ორგანიზაციას უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ქალაქის ბიურო-კოლექტივი, რომელშიაც შედიან: უჯრედების მდივნები, ორგანიზაციის აქტიური წევრები და პარტიის ქ. ბიუროს წარმომადგენელი. ბიურო - კოლექტივია და პარტიის ქ. ბიუროს შორის მჭიდრო კავშირია —პარტიის გაერთიანებულ კრებას ესწრებიან ქ. კ. ქ. ორგანიზაციის წევრები და სხვა.

უჯრედების სხდომები ზაფხულის პერიოდში იწვევა თვეში ორჯერ. უჯრედებზე მომაგრებულნი არიან ბიურო - კოლექტივის წევრები, პარტიის ქ. ბიუროს მიერ გამოყოფილი, ამხანაგების კომკავშირის უჯრედების სხდომებს არ ესწრებიან წესიერად. ბიუროს კოლექტივი აგრეთვე ხელმძღვანელობს ქ. პიონერთა ორგანიზაციას და უპარტიო ახალგზრდათა შორისაც აწარმოებს მუშობას.

ზამთრის პერიოდში ჩამოყალიბებული იყო ორი საფეხურის პოლიტ-ცოდნის სკოლა: პოლიტ-წრე და პოლიტ-კითხვის ჯგუფი, რომელშიაც ჩაბმული იყო წევრთა 95%. უფრო მომზადებული ამხანაგები გადარიცხულნი იყვნენ პარტ-პოლიტ სკოლების ქსელში.

მაისის ბოლო რიცხვებში წრეების მეცადინეობა შეწყდა და ჩატარებული იქნა შემოწმება, რომელმაც გამოაშკარავა ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ ნაყოფი წარსულ წელთან შედარებით მეტია.

წრეების მეცადინეობის შეწყვეტის შემდეგ ორგანიზაციას მიეცა საზაფხულო სამუშაო, რომელშიაც გათვალისწინებულია, მუშაობა ფიზკულტურაში, კლუბთან არსებულ ახალგაზრდათა სექციაში, თვით-განვითარება, ექსკურსიები და სხვა სპორტული თამაშობანი.

სამოსწავლო წლის დამთავრებისა და სასკოლო უჯრედების წევრთ 97%-ნტის სოფლებში მივლინების გამო, სკოლების ჩანასახები დროებით გაუქმებულია (სამოსწავლო წლის განახლებამდე) სოფლად მიმავალ კომკავშირელთ მიეცა სათანადო დავალინებანი სოფლად სამუშაოდ. ამრიგად ზაფხულის პერიოდში ქალაქად მუშობს ორი ჩანასახი.

ლტოლვა ახალგაზრდობისა კავშირისადმი დიდია, განსაკუთრებით ღარიბეხი გლეხური წრიდან. ხდება წევრთა გამორიცხვაც, რაც გამოწვეულია ორგანიზაციის მასიური ზრდიდან გამომდინარე სხვადასხვა მიზეზებით.

სუსტია კომკავშირელთა მონაწილეობა ნებაყოფლობითი საზოგადოებებში, გარდა ამისა უკანასკნელ ხანში ძალზე შესუსტდა ქალაქში არსებული პროდკოლექტივის მუშაობაც, რომლის გამოსწორება უახლოეს ხანაში აუცილებელია.

შ. ბ—ა.

თელავის კომუჯრედში

თელავის კომუჯრედმა, ღია კრებების სისტემატიური მართვით, დაუახლოვა უპარტიო მასსა პარტიას და აქტიურად ჩააბა აღმშენებლობით მუშაობაში.

ასეთ კრებების წყალობით უკვე ჩამოყალიბებულია უპარტიო აქტივისტების მთელი წრე, რომელიც არა თუ მუდმივ ესწრობა კომუჯრედის ღია კრებებს, არამედ ეცნობა და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა დარგის მუშაობასა და მის შეფასებაში.

სხვათა შორის ერთ ასეთ ღია კრებას ამ დღეებში დაესწრო მრავალი როგორც უპარტიო, ისე პარტიული ამხანაგი.

დღის წესრიგში დასმული იყო მხოლოდ ერთი საკითხი: სოციალ-დაზღვევის 5 წლის თავი და უკანასკნელ 6 თვის მოქმედების ანგარიში. მოხსენება გააკეთა ადგილ. დამზღვევ. კასის გამგემ, ამხ. პაატაშვილმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევას როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და პარალელი გაატარა, შემდეგ დაასურათა მისი თანდათანობითი ზრდა და განვითარება, რასაც სტატისტიკური ცნობებით ასაბუთებდა, როგორც დამატებითი დახმარებების გადიდებას, ისე პენსიების მომატებას და პროფილაქტიკას.

მეორე მისი მოხსენება შეეხებოდა მიმდინარე წლის პირველ საბიუჯეტო ნახევრის ანგარიშს. როგორც გამოირკვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა შემოსავლის მხრივ უკვე შესრულებულია და გადაჭარბებულიც, ისე რომ დამზღვევ კასას მიუღია ყოველნაირი ზომები %% ასაკრეფად. სულ შემოსავალი ჰქონია 33.709 მან. ამავე ხნის განმავლობაში გასავალი 31.884 მანეთი, რომლის მუხლები დაწვრილებით გააცნო. სხვათა შორის დრ. შრომის უნარმოკლებულების გამო დახმარება მიეცა 201 ამხანაგს. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სიმულიაციას, რომელიც ამ ბოლო დროს თუმცა ნაკლებ, მაგრამ მაინც ეჩინება მუშა-მოსამსახურეთა შორის და რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენში. მოხსენების შემდეგ შესაფერისი რეზოლიუცია იქნა მიღებული.

—ლი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აჭარისტანი

აჭარისტანისა და ოსმალეთის საზღვრები

ბათომი, 26 ივლისი. დამთავრდა ოსმალეთ-საბჭოთა შერეული კომისიის მუშაობა, რომელმაც აჭარისტანისა და ოსმალეთს შორის დააწესა საზღვრები.

გუშინ მუშაობის დამთავრების გამო შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ამხ. კარკლინი და კუზნეცოვი საბჭოთა კავშირის მხრივ, პახრი-ბეი, მეჰრი-ბეი, რიფატ-ბეი და ჯემალ-ბეი ოსმალეთის მხრივ, და აგრეთვე აჭარისტანის მთავრობა.

სხდომაზე ხელი მოაწერეს კომისიის ოქმს, რომლითაც დაწესებულ იქნა საზღვრები ოსმალეთსა და აჭარისტანს შორის.

ოქმზე ხელის მოწერის გამო მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა ამხ. ჩიჩერინს და ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს თევფიკ რუშდი-ბეის.

უკანასკნელი სხდომების შემდეგ გაიმართა ბანკეტი.

პოლიტსკოლები

ფოთი, 26 ივლისი. დამთავრდა მეცადინეობა საქართველოს კ. პ. ცე-კას მიერ გახსნილ პირველ საფეხურის ორ პოლიტსკოლაში. კურსი გრძელდებოდა 2½ თვე. პოლიტსკოლები დაამთავრა 38 მსმენელმა, ამათში 5 ქალია.

ნათესების მდგომარეობა

ახალ-სენაკი, 26 ივლისი. სამაზრო საესპერტო კომისიის ცნობების მიხედვით ნათესების მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: სიმინდი — 3,5 ბალი და ბოსტნეულობა—3, ვენახები — 4, თხილი — 4, ბამბა — 2,5.

საბინაო კოოპერაციის გაძლიერება

ახალ-სენაკი, 26 ივლისი. ახალსენაკის საბინაო ამხანაგობის მმართველობამ შეიძინა ორი სახლი, კომუნალური განყოფილება საბინაო ამხანაგობას აძლევს ადგილებს, საბინაო ამხანაგობ[illegible] სახლების ასაშენებლათ.

დაყოფა თემებათ

ახალქალაქი, 26 ივლისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებმა, სამაზრო აღმასკომთან ერთად გამოიმუშავა და დაამტკიცა მაზრის ახალი განაწილება მაზრის თემებათ. არსებულ ათ თემს ემატება ერთი სასოფლო საბჭო. რამდენიმე თემი უქმდება. მოხდა აგრეთვე ნაწილობრივი გადაჯგუფება სოფლებისა თემებს შორის.

გაფლანგვები

ახალქალაქი, 26 ივლისი, სარძეო ამხანაგობაში „მრომა“ აღმოჩენილ იქნა გაფლანგვები, თუმცა ამხანაგობა ჯერ კიდევ 1925 წელს დაიშალა, მაგრამ ფაქტიურად მას მუშაობა შეწყვეტილი არ ჰქონდა.

მატყლის დამზადება

ახალქალაქი, 26 ივლისი. ახალქალაქის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების მიერ საზოგადოება „მატყლისათვის“ ჩაბარებულ 100 ფ. მატყლის გარდა, შემდგომის სეზონისთვის დამზადებული იქნება 3000 ფუთამდე მატყლი.

თივის დამზადება

ახალქალაქი, 26 ივლისი. ახალქალაქის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებამ მთელი რიგი ხელშეკრულებები დასდო სამხედრო ნაწილებთან და დაწესებულებებთან, მათთვის 25.000-მდე ფუთი თივის დასამზადებლათ. დამზადებას უკვე შეუდგნენ.

გლეხკომების გადარჩევა

გორი, 26 ივლისი. გორის მაზრაში დაიწყო გლეხკომების გადარჩევა.

დახმარება ინგლისელ მემაღაროელებს

ახალ-სენაკი, 26 ივლისი. მოსამსახურეთა საერთო საქალაქო კრებამ დაადგინა გააგრძელოს შემოწირულებათა შეკრება, ინგლისში გაფიცულ მემაღაროელების სასარგებლოთ, დღიური ქირის ერთი მეოთხედის რაოდენობით.

გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

გორი, 26 ივლისი. 26 ივლისს შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმი.

წერილები

გამოსათხოვარი ვახშამი

(ცაგერი, ლეჩხუმი)

მეგობრებმა მეგობარს გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართეს. ექიმი დოსტაქარი თავის მაზრალმასკომმა თანამდებობიდან მოხსნა. ამხანაგებმა-კოლეგებმა გადასწყვიტეს, არ მოუშალონ დოსტაქარს მოგონება ლეჩხუმის შესეირებ ბუნებაზე და ქართველურ-ქეიფური პურმარილით გამოსათხოვარი ნადიმი გაუმართეს მას.

მართალია ნადიმი ქართული იყო და სუფრაც წმინდა ნაციონალური, მაგრამ სიმღერა და ლაპარაკი ამ ქეიფის დროს წმინდა ინტერნაციონალური გახლდათ (თვით მოქეიფეთა გაგებით რა თქმა უნდა).

„Я на бочке сижу, бочка катится,
Ах как замуж я хотела да не можется“

მაგალითად, როგორ შეიძლებოდა, რომ ექიმ ქალს ოლიზარს, ადამიანს უმაღლესი განათლებით, ისე ჩაეტარებინა მთელი ვახშამი, რომ რაიმე ნომერი არ შეესრულებინა, რომელიც ყველასათვის ცხადჰყოფდა მის კულტურობას. და ისიც გაქეთდა ცივი დისკანტით.

მამაკაცები მას ბანს აძლევდნენ. ირგვლივ მშვენიერი გალობის ხმა იდგა. სიმღერიანი ამ ვალობით გარდა თვითონ მგალობლებისა არავინ იყო კმაყოფილი. ზევით სართულში ისინი ქეიფობდნენ, ქვევით კი მუშა-მოსამსახურები ვახშმობდნენ. ექიმების ხმაურობით გულშეწუხებულთ მოვახშმე მოსამსახურეები ყურებში თითებ დაცობილი გამორბოდენ სასადილოდან.

როცა მოქეიფენი ლაზათიანათ გამოთვრნენ, ქუჩაში განაგრძეს მხიარულება. წინ იგივე ექიმი ქალი ოლიზარი მოდიოდა და სიმღერიდან აქეთ იქით ეჯინებოდა, უკან ღვინისაგან თვალებმიბნეულები ამხანაგები მოჩანჩალებდნენ. ეხლა ექიმი გინეკოლოგი ოლიზარი იმავე სიმღერას სხვა ვარიაციით აჭრიმალებდა:

„Я на бочке сижу, бочка катится,
Денег нет нихера, а пить хочется“

ექიმი რომ ვიყო, შეიძლება ჩემი აზრისთვის ვინმე ანგარიში გაეწია და მეც აშკარად დავამასხარავებდი ამ პირებს, როგორც ექიმებს. მაგრამ რაკი ეს ასე არაა, სჯობს ამის შესახებ ჩუმად ვიყო. მხოლოდ ერთი რამის თქმა კი შეიძლება აშკარად და უყოყმანოთ: ამგვარი ინტელიგენტები გლეხებისათვის მაგალითის მიცემათ ვერ გახდებიან. კარგი ყოფაქცევის მაგალითის მიცემათ ვერ გახდებიან. კარგი ყოფაქცევის მაგალითის. რასაკვირველია, თორემ ავ-ე რაღა უნდა მოგახსენოთ.

ვ—ი.

აგარაკი ლებარდე - ჩეგოლა გაიხსნა

(სენაკის მაზრა)

1 ივლისიდან გაიხსნა აგარაკები ლებარდე-ჩეგოლაზე—სუხოხი.

მოაგარაკეთათვის მიმოსვლის პირობები ასეთია:

ახალ აბაშიდან მარტვილამდის მიმოსვლა ხდება ავტომობილით ყოველდღე, ხოლო სალხინო-ტალერიდან დღეებით და ეტლით—შემდეგ კი აგარაკამდე მეჩალანდრეთა არტელის ცხენებით. ეს პირველი მიმართულება.

მეორე მიმართულება—ახალსენაკიდან ნოქალაქევით. სალხინომდის და ტალერამდის ცხენებით და ეტლით, შემდეგ ლებარდემდის ჩეგოლამდის მეჩალანდრეთა არტელის ცხენებით.

მეჩალანდრეები ცხენებს აქირავებენ შემდეგ პირობით:

ლებარდემდის კურტნიანი ცხენი 4—6 ფ. ტვირთით 8 მან. ხოლო ჩეგოლამდის 9 მან. უნაგირიანი ცხენი კი 6 მან. ეს ფასები მტკიცეა.

დიდი ჭყონის თემაღმასკომის საშუალებით მოწყობილია ფოსტის მიღება-გადაგზავნა.

გზები შარშანდელთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია და ტრანსპორტის საქმე მოგვარებულია.

ბ. უჩანეიშვილი.

წერილებიდან

ხაშური

მასწავლებელთა გასამზადებელი კურსების გახსნა. 12 ივლისს გაიხსნა ქ. ხაშურში მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც თავმოყრილია, ახალქალაქის, ახალციხის, გორის, შორაპნის მაზრის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ფოთის რკინიგზის სახალხო ოთხწლედის სკოლის მასწავლებლობა.

სოფ. მლლუხვანი

(ლეჩხუმის მაზრა)

გვავიხსენით ქოხსამკითხველო. ჩვენ სოფელში რამდენიმე ათეული წელია არსებობს სკოლა და გლეხობამ კარგათ იცის წერა-კითხვა. სამწუხაროთ სოფელში არ არის ქოხ-სამკითხველო, რომ მათ ჟურნალ - გაზეთები წაიკითხონ. ლეჩხუმის აღმასკომმა უნდა გვავიხსნას ის.

პანორამა.

მუშათა ცხოვრება

აქეთ! აქეთ! ბალკისაკენ!

(პატარა ფელეტონისებური)

ხალხნო! ჯამათონო! მოქალაქენო!

ვისაც გყავთ პატარა შვილები და გინდათ ასწავლოთ ყომარბაზობა, ქურდობა, ხულიგნობა და სხვა ამისთანები, გამოგზავნეთ არტილერიის ბალკაში, მეორე რაიონში, მტკვრის პირას, ტატანაშვილის სახერხი ქარხნის გვერდზე.

აქ ყოველდღე სწარმოებს თავისუფალი ყომრის თამაშობა, მასთან ერთად მუშტიკრივი, გინება...

ყომრის თამაშში მონაწილეობას იღებენ მომეტებულ ნაწილად მოზარდები და პატარა ბავშვები.

ყომარბაზობა სხვა რაიონებში ყველგან აკრძალულია, მხოლოდ ჩვენს რაიონშია „ნებადართული“. არავინ მას ხელს არ უშლის და ამიტომ გირჩევთ თქვენი ბავშვებიც აქ გამოგზავნოთ, ვინაიდან აქაურ ავარებთან მოკლე დროში დაამთავრებენ ყომარბაზობის კურსს.

აქეთ, აქეთ, ბალკისაკენ! სრული გარანტიაა ყომარბაზობის თავისუფლებისა!..

მუშა ნ. ა.

თავს ირცხვენენ, ჩვენ გვარცხვენენ ქონებას გვიფლანგავენ

არა ერთი და ორი წერილი დაწერილა რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ქურდობის შესახებ, მაგრამ თუ ასეთ ეპიდემიურ ხასიათს მიიღებდა ეს ქურდობა, ამას კი არ ველოდით. ის სამარცხვინო საქციელი, რომელიც ნიკოლოზის დროს იყო გავრცელებული ჩვენს საამქროებში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აღარ განმეორებულა. მაგრამ დღეს კი ამის ნიშნები ბევრი გახლავთ. ეს არის ეგრედწოდებული თითბერ-სპილენძის ქურდობა. უკვე შედგენილია აქტი იმის შესახებ, რომ სახელოსნოდან სამჭედლომდის ათეული ფუთი სპილენძი დააკლდა წონას, როცა დიდი ნაჭრები უნდა დაჭრილიყო მანქანაზე წვრილად. და სადაც ორი ვირინჯა არ უნდა დააკლდეს ას ფუთს. გადამალული ნაჭრები იპოვნეს მუშებმა მუშაობის დროს.

ვინ გადამალა ეს თუ არა ვინმემ, ჩვენ შორის მომუშავემ. და ჩვენი კავშირის შემარცხვენელმა? ასეთი კაცუნები როცა ნაქურდალით ხელში ვარდებიან პასუხისგებაში, ჩვენი პროფკავშირი მათ გულმოდგინეთ იცავს, მცირე სასჯელით კმაყოფილდება და ისევ ასეთ პირებს ადგილზე აბრუნებენ.

ასეთი მაგალითები ბევრია—(გავიხსენოთ მაკალათიათვის ბოცვაძე, აბზიანიძე და ახლახან ვინმე ზეინკალი, რომელსაც გაკეთებული „პაიალნიკი“ და კიდევ რამეები აღმოაჩნდა).

რა უყვეს მათ?— არაფერი. მცირე სასჯელის შემდეგ ისევ კავშირის წევრები არიან.

ნათქვამია „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ყველანი ქურდებიაო“. ესეც ერთნაირი სახალხო ქონების გაფლანგვაა და ამისთანა ელემენტების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოთ ის მაგარი სასჯელი, რაც მოღალატეების წინააღმდეგ მოქმედობს. ნურავინ მათი თავის მართლებას ნუ დაიწყებს, რომ ახლა მუშების ეკონომიური მდგომარეობა ისეთი იყოს, რომ ისინი იძულებული გახდენ ამ სამარცხვინო საქმეს მიჰყონ ხელი.

ყველა შეგნებული მუშის ვალია ასეთ პირებს [illegible] და შემჩნევისთანავე [illegible] სათანადო ორგანოს.

ჩვენი ქონების ბატონ-პატრონი დღეს ჩვენ ვართ და ჩვენ უნდა ვუპატრონოთ მას.

მუშკორი № 57.

ამ სისაძაგლეს ბოლო უნდა მოეღოს

ზოგიერთმა ვაჟბატონებმა თავისუფლება უკუღმა გაიგეს და ბოროტად იყენებენ მას. ცოლის გაგდება განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში თითქმის მოდად შემოიღეს. ადმინისტრაცია ლმობიერად ეპყრობა. ცოლის გამლახველი და გამგდები არ ისჯება შესაფერისად. ქალთა განყოფილებიდან ამ მხრივ უმოქმედობა უფრო ათამამებს მათ.

რას შერება ზოგიერთი არამზადა მოხელე, როდესაც მას ცოლის გაგდება უნდა?—ჯერ ლოთობას იწყებს; ღამე სახლში არ მოდის, იქნება ქალი თავისითავად წავიდესო. თუ ამ ხერხმა არ გასჭრა, მერე დაიწყებს ლანძღვა-გინებას და ცემა-ტყეპას, რომ როგორმე გაიყვანოს ქალი და მოიშოროს თავიდან.

ასეთები ბევრია, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით, პროკურატურის მხრივ.

სხვათაშორის უნდა მიექცეს ყურადღება ორსამ-ცოლიანობასაც, რომელთა რიცხვი საკმაოდ მოიძებნება ჩვენ სინამდვილეში. ორი და სამი ცოლის შემნახველი აუცილებლად პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული, ვინაიდან მარტო ჯამაგირით სამი ცოლის შენახვა შეუძლებელია და ცხადია, რომ რაღაც ბოროტმოქმედებას სჩადიან ასეთი პირები.

კონკრეტულად, დასახელების სენის აღმოსაფხვრელად საჭიროა მიღებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი: ცოლების გამლახველების დაუმიზეზოდ კარში გამგდებლების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები მათი პასუხისგებაში მიცემით. აგრეთვე ასეთების გასამართლება უნდა ხდებოდეს სახალხოთ, საჯაროდ, მათი წარსულის და პიროვნების დახასიათებით.

ქალთა განყოფილებებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალთა მდგომარეობას და გაძლიერებული აგიტაცია აწარმოონ ქალთა შორის რათა ქალებმა გამოიყენონ და ისარგებლონ იმ უფლებებით, რომელიც მიანიჭა მათ ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა მრავალცოლიანობას პრესაში გამომჟღავნებით და შესაფერი ზომების მიღებით მათ წინააღმდეგ სათანადო ორგანოების მიერ.

მუშკორი ზღვისპირელი.

„ართოს“-ს ბაღში

(ერთი სურათი სინამდვილიდან)

მძიმე მუშაობისგან დაღლილ-დაქანცული მივედი „ართოს“, ვიყიდე კინოს ბილეთი, შევედი შიგ. მშვენიერი ბაღია. აუარებელი თეთრი სკამებია, მაგრამ დაჯდომა არ შეიძლება, ყველგან სველია. ხეივნებისა და ყვავილნარების მორწყვის დროს სკამებიც მორწყავთ...

ხალხი ამაოდ დაეძებს მშრალ ადგილს!

მოწყვეტილი მუხლებს ძლივს დავათრევ, ფეხზე დგომის არაჭითი აღარ მაქვს.

ფარდა გადასწიეს. კინოს აუარებელი ხალხი მიაწყდა. შეიქნა ზედაჭყლეტა, წივილ-კივილი, ლანძღვა.

ვილაც ჩემს გვერდზე დედას იგინება...

ვაჟრის ტიპი ჰავდაბრულად „მკვდარს და ცოცხალს უკურთხებს“ კინოს მომგონს...

— შე დალოცვილო, მომგონმა რა ქნას, რომ აქ წესიერება არ იყოს!—ამბობს მეორე.

— კინოს მომგონს კარგი. რამე მოუგონია, ჰამა აქ „პარიადკა“ არ არის!—ამბობს მესამე.

— დედა ჩემო, რად მშობე?—საყვედურით იძახის ვილაც.

— იმიტომ გშობა, რომ „ართოს“ ბაღის კინოში გაგჭყლიტონ!—ისმის პასუხი.

— ვაიმე!

— ლეჩაქი, ქაა, ლეჩაქი! სამი თუმანი მიმიცია!..

— დედაკაცო რა დროს ლეჩაქია ამ „სოდომ-გომორაში“, რას ამბობ?

— თვალი შენც გამოგხეთქია!

ჭყლეტას ბოლო მოეღო. ხალხი დალაგდა. პირველი სეანსის გათავების შემდეგ უარესი შეიქნა.

დაწყებისას თუ მარტო შესვლა გვიჭირდა, ახლა შემსვლელებიც და გამომსვლელებიც ერთმანეთს დაეტაკნენ და ისეთი ხმაურობაა, რომ იარმუკობასაც ვერ გაიგებ.

თუ კინოს ადმინისტრაციამ სხვაფერ არ მოაწყო შესავალ-გასავალი, ისე არ ვარგა. ყოველ სეანსის დაწყებაზე წივილ-კივილი, ლანძღვა გინება არ უნდა ისმოდეს ისეთ ალაგას, როგორიც არის ბაღი „ართო“.

მუშა ნიკო ას—ლი.

მუშათა ქრონიკა

ტყავ-ტრესტის ქარხანაში

— **ალოიცვა.** ტყავ-ტრესტის კულტ-კომისიამ დაადგინა; ალოიცხული იქნეს ყველა მუშა-მოსამსახურე 45 წლამდის, რომელთაც დაამთავრეს წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტები.

— **მომავალი წლისათვის.** ვისაც სურს შევიდეს პოლიტ-წრეში, ტყავ-ტრესტის კულტ-კომისია შეადგენს ჩასაწერ სიას და აღრიცხავს სათანადო შუამდგომლობას.

— **ახალგაზრდა მუშებისათვის.** ტყავ-ტრესტის კულტკომისიამ დაადგინა: ენკენისთვისათვის დამზადებულ იქნას მუშფაკში შესვლელ ახალგაზრდათა სია.

— **საზაფხულო თავისუფალი წრის გახსნა** ტყავ-ტრესტის კულტ-კომისიამ დაადგინა: გახსნას საზაფხულო წრეები—წერა-კითხვის უცოდინართა, ცოტა მცოდნეთა სალიკვიდაციო პუნქტები.

ქაღალდის მრეწველობის განსავითარებლად

(ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა)

ქაღალდის მოხმარება საბჭოთა კავშირში 75%-ით გაიზარდა. ომის წინა დროსთან შედარებით.—5 წლის შემდეგ მთელი მოთხოვნილება ქაღალდზე საბჭოთა ქარხნებმა უნდა დააკმაყოფილონ.—ამ მიზნით მოწყობილი იქნება ათი ახალი ქაღალდის ქარხანა.—დასავლეთ საქართველოში მოეწყობა ქაღალდის წარმოების დიდი ცენტრი.—192 მილიონი მანეთი ქაღალდის მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გასადიდებლად. — კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება ქაღალდის მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭომ შეიმუშავა ქაღალდის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

გეგმაში აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურულმა ზრდამ, წიგნების და გაზეთების გავრცელებამ ფართო მასებში და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობამ მეტად გაადიდა ქაღალდის მოხმარება. თუ 1922-23 წელში სული მცხოვრები ხმარობდა ორ გირვანქა ქაღალდს, 1925-26 წელში ეს რაოდენობა გაიზარდა 7,5 გირვანქამდე, ე. ი. უკანასკნელი წლების განმავლობაში გადიდდა 275 პროც. და გადააჭარბა ომის წინა ხანების მოხმარებას (1913 წელში თვითეულ სულზე მოდიოდა 7 გირვანქა) 7 პროც.

საგაზეთო და საბეჭდი ქაღალდების მოხმარება 1925-26 წელში 75 პროც. აღემატება ომის წინა ხანების ნორმას. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, პერსპექტიული გეგმით, ქაღალდის მოხმარება უთუოდ ყოველწლიურად გაიზრდება საშუალოდ 21 პროც.-ით, ომის წინა ხანებში კი იზრდებოდა 12 პროც.

საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობა ომის წინა ხანებში აკმაყოფილებდა მოთხოვნილებების მხოლოდ 60 პროც., დანარჩენი 40 პროც. შემოდიოდა საზღვარგარეთიდან.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ქაღალდის იმპორტის შემცირებას, ხუთი წლის ბოლოსთვის კი მის სრულ მოსპობას. ეს სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

	1913	1925-26	26-27	27-28	28-29	29-30
	(ათას ტონებში)					
მოხმარება	367	420	510	614	722	848
დამზადება	210	244	287	479	578	848

იმ მიზნით, რომ ხუთი წლის ბოლოს საბჭოთა ქარხნებმა დააკმაყოფილონ ქაღალდის მთელი მოთხოვნილება, საჭიროა არსებული ქარხნების გაფართოვება და ახალი ქარხნების აგება გეგმის მიხედვით, განზრახულია ათი ახალი ქარხნის აგება, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება ქაღალდის დამუშავების გადიდება 128.000 ტონით.

განზრახულია მძლავრი ქაღალდის კომბინატების მოწყობა ვოლხოვსტროიზე (ლენინ-ნოვგოროდის გუბერნია), მდ. სიასზე (ლენინგრადის ახლოს) და დასავლეთ საქართველოში.

ქაღალდის მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გასადიდებლად საჭირო იქნება 192 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან 137 მილიონი მანეთი მიდის ახალ მშენებლობაზე და 55 მილიონი არსებული საწარმოო აპარატის გაფართოვებაზე.

ამ ღონისძიებების გატარებას წარმოების გაფართოვების გარდა შედეგად მოჰყვება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ხუთი წლის განმავლობაში თვითღირებულება შემცირდება: საგაზეთო ქაღალდზე 60 პროც. საბეჭდავ და საწერ ქაღალდზე—25 პროც., გასახვევ ქაღალდზე—55 პროც. და სხვა ხარისხის ქაღალდზე—24 პროც.

პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ქაღალდის მრეწველობაში მომუშავე მუშების რიცხვის გადიდებას 29.120 კაციდან 39.1000 კაცამდე; აქედან კვალიფიციური მუშების რიცხვი 8.6000-დან გადიდებული იქნება 11.600 კაცამდე.

ამრიგად, ხუთი წლის განმავლობაში კვალიფიციურ მუშათა რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს 3.000 კაციდან. ვინაიდან კვალიფიციური მუშების ასეთი დიდი რაოდენობის მომზადება ხუთი წლის განმავლობაში არ შეუძლია ქაღალდის მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს, რადგან ეს უკანასკნელები წლიურად უშვებენ მხოლოდ 250 კვალიფიციურ მუშას, ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ამ სკოლების რიცხვის გადიდებას და საერთოდ მთელ რიგ ზომების მიღებას კვალიფიციური მუშების საჭირო რაოდენობის მოსამზადებლად.

თბილისის საბჭოს სექციებში

საფინანსო სექცია

გუშინ 26 ივლისს საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს საფინანსო სექციის სხდომა. მოსმენილ იქნა ამხ. ჟაკელაშვილის მოხსენება **თბილისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ.** მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერა ხდება სასოფლო-მეურნეობის სრულ შემოსავალზე და აგრეთვე მიწადმოქმედების გარეშე შემოსავლებზე.

ამჟამად დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა უკვე დამთავრებულია და ეხლა სწარმოებს მიღებული მასალის დამუშავება. გასულ წელთან შედარებით დასაბეგრ ობიექტების რიცხვი გადიდებულია: მაგალ. სათესი არე გადიდებულია 10%, სახნავი—8%-ით, ბაღის პლანტაციები—21%-ით, გადიდდა აგრეთვე როგორც მსხვილ ფეხა, ისე წვრილი საქონლის რაოდენობა, მათ შორის ძროხები—5%-ით, ცხენები—3% და ასე შემდეგ.

საერთოდ მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გადიდებულია 15—20%-ით.

კომუნალური სექცია

26 ივნისს საღამოს კომუნალურ სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხტურიას მოხსენება.

აგურის ქარხნების მდგომარეობის შესახებ

1925 წლამდე აგურის ქარხნები იმყოფებოდენ ს. მ. უ. საბჭოს გამგებლობაში და მხოლოდ 1925 წელს ზაფხულიდან ქარხნები გადაეცა თბილისის აღმასკომს. გადაცემულ ქარხნებს შორის მოქმედი იყო მხოლოდ 4 ქარხანა. ქარხნების დღევანდელი და წინანდელი მუშაობის შედარება გვიჩვენებს, თუ რამდენად იმატა ამ ქარხნების ნაყოფიერებამ. 1921 წელს მოქმედებდა ერთი ქარხანა, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში დაამუშავა 330.000 ცალი აგური. 1923 წელს არც ერთი ქარხანა არ მუშაობდა, და მხოლოდ 1924 წლიდან იწყება აგურის წარმოების გამოცოცხლება. 1924 წელს ამუშავებული იქნა სამი ქარხანა, რომელმაც წლის განმავლობაში დაამზადა 3.500.000 ცალი აგური, შემდეგში ნაყოფიერება კიდევ უფრო მატულობს.

მიმდინარე წელს აღმშენებლობის გაფართოების გამო გეგმით განზრახული იყო 15.000.000 ცალი აგურის დამზადება. მაგრამ შემდეგომ ქარხნების სამმართველომ მიიღო წინადადება გადიდებულიყო აგურის წარმოება 20.000.000 ცალ აგურამდე.

ვინაიდან ომის წინა დროს ფასებთან შედარებით აგურის დამზადების ღირებულება საშუალოდ 270 პროცენტით გაიზარდა, [illegible] ხდება აგურის ღირებულების შემცირება.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე შრომის დისციპლინის და სამუშაო დროს უბრალოდ გაცდენის საკითხებს. 7 თვის მუშაობაში აღრიცხულია 3.370 გაცდენილი დღე—ასე, რომ თვითეულ მუშაზე მოდის საშუალოდ 3 გაცდენილი დღე.

ავადმყოფობით გამოწვეულ უმუშევარ დღეების რიცხვი უმნიშვნელოა.

არა საპატიო მიზეზებით გამოტოვებულ დღეების რიცხვი უდრის—740-ს.

დასასრულ მომხსენებელი ეხება მოგება-ზარალის საკითხებს.

ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია 17 ათასი მანეთი მოგება, რომელიც აუცილებლად გამართლებულ იქნება. რაც შეეხება ზარალს, ქარხნების ზარალი მიაყენა მაისის და ივნისის წვიმებმა, რომლებმაც გაფუჭეს 374.285 ცალი ნედლი აგური. საერთო ზარალი უდრის—13.492 მანეთს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ დაადგინა—მიღებულ იქნეს ზომები ქარხნების სამექანიზაციოდ, მათი პროდუქციის გასაიაფებლად და ღირსების ასამაღლებლად და ქარხნებში მომუშავეებისათვის საბინაოსაკითხის მოსაწესრიგებლად.

დასასრულ არჩეულ იქნა 5 ამხანაგისაგან კომისია აგურის ქარხნების მდგომარეობასთან გასაცნობად.

დანარჩენი სექციების სხდომა არ შემდგარა.

დახმარება ინგლისის მემაღაროელებს

130.513 მანეთი ა.-კ. მუშებისგან

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში წარდგენილ ანგარიშის მიხედვით—20 ივლისამდე ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ შეგროვილია ამიერ-კავკასიაში სულ—130.513 მანეთი. აქედან აზერბეჯანში—80.427 მანეთი, საქართველოში—42.586 მან. სომხეთში—7.500 მანეთი.

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიმართოს მოწოდებით ამიერ-კავკასიის ყველა პროფორგანიზაციებს შემოწირულებათა შეგროვების გაძლიერების შესახებ.

სატყეო მრეწველობის ყრილობა

გუშინ საღამოს 7 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს სატყეო მრეწველობის ყრილობა.

ყრილობას ესწრებიან საქართველოს ტყის მრეწველობის წარმოებათა ხელმძღვანელი მუშაკები და აგრეთვე იმ ორგანოთა წარმომადგენელნი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ტყის მრეწველობის საკითხებით.

ყრილობა გახსნა სატყეო მრეწველობის ტრესტის გამგე ამხ. ნ. კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა ყრილობის წინაშე მდგარი ამოცანები. შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი და დაამტკიცა დღის წესრიგი.

პირველ სხდომაზევე მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. კიკნაძის, რომელმაც ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა საქართველოს სატყეო მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნა მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები.

პროფ. გენკეს ჩამოსვლა

ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი და სამეცნიერო აკადემიის თანამშრომელი—გენკე.

სამეცნიერო აკადემიისაგან პროფესორ გენკეს დავალებული აქვს შეისწავლოს თუშური ენა და შეაგროვოს მასალები ამ ქართველი ტომის კულტურის შესახებ.

ამჟამად თუშების რიცხვი არ აღემატება 15.000 კაცს, მაგრამ როგორც ქართველების უძველესი ტომი დიდ ინტერესს წარმოადგენს მეცნიერებისათვის.

პროფესორი გენკე—მოწაფეა ცნობილი აღმოსავლეთის მცოდნე აკადემიკოსის ნიკო მარის. მან კარგათ იცის ქართული ენა. იგი წინადაც ყოფილა თუშეთში, სადაც ადგილობრივ შეუსწავლია თუშეთის ყოფა-ცხოვრება, ადათ ზნე-ჩვეულობა, უძველესი კულტურა და თუშური დიალექტი.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა პროფ. გენკეს გადასცა ლიტერატურა ამიერ-კა-

ახალი ავადმყოფობა

ამას წინეთ ჯანსახკომმა მიიღო ცნობა, რომ თბილისში თავი იჩინა საქართველოსთვის უცხო ავადმყოფობამ ეგრედ წოდებულმა სპარსულმა ციებამ.

ორთაჭალაში მართლც აღმოჩენილ იქნა რამოდენიმე ავადმყოფი, რომელთაც აღმოაჩნდათ სპარსული ციების ნიშნები. აღნიშნული ავადმყოფობის გამოსაკვლევათ ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტიდან დანიშნულ იქნა ექიმთა კომისია, რომელიც ამჟამად აწარმოებს შესაფერ მუშაობას.

კომისიამ გამოკვლევის წინასწარი მასალებიდან სცნო, რომ სპარსულ ციებას, რომელიც ითვლება მალარიის უსაშინელეს ფორმად თბილისში არა აქვს ადგილი.

კომისიის საბოლოო დასკვნები გამოქვეყნებულ იქნება.

წითელ ჯარში

წითელ არმიელთა უპარტიო კონფერენცია

მეორე დღე

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგა ივლისის 25 დილის 9 საათზე. სხდომაზე მოსმენილ იქნა მე-6-ე ლეგიონის მეთაურის ამხ. გრიგოლიას და მე-2-ე საარტ. ლეგიონის პარტბიუროს მდივნის ამხ. კულუმბეგაშვილის მოხსენება 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელების შეკრების შედეგებზე.

მომხსენებლები შეეხენ შეკრების ჩატარებას და აღნიშნეს, რომ მიუხედავად ზოგიერთ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ცვალებადელნი გამოცხადდნენ უკლებლივ. მოსახლეობა შეკრებას შეხვდა სრული თანაგრძნობით და ყოველგვარ დახმარებას უწევდა სამხედრო ორგანოებს. მომხსენებლების მიერ მოკლეთ იყო დახასიათებული ლეგიონების შეკრების რაიონები.

ყაზარმაში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობა მიმდინარეობს წარმატებით, პროგრამა ცვალებადელების მიერ დაძლეულია. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია თითქმის დამთავრებულია.

მიღწევებთან ერთად მომხსენებლებმა აღნიშნეს ის ნაკლიც, რომელიც თან სდევდა სწავლებას; ეს არის უნცროს მეთაურთა სათანადო მომზადება და ის გარემოება, რომ ლეგიონებში მრავლად არიან სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლები და მათთან შეუძლებელია სამხედრო მეცადინეობის წარმოება მათ ენაზე, ვინაიდან ჩვენში მეთაურებმა არ იციან უცხო ენები.

მესამე დღე

26 ივლისს სხდომაზე გაიმართა კამათი მოხსენების ირგვლივ.

კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ცვალებადმა წითელ-არმიელებმა. ყველანი აღნიშნავდენ იმ უდიდეს მიღწევებს, რომელიც აქვს ტერიტორიალურ სისტემას ჩვენ სინამდვილეში. ამბობდნენ, რომ ისინი მოვიდნენ ყაზარმაში სრულიად უცოდინარნი და ბრუნდებიან სახლში ცოდნით აღჭურვილნი. ამასთანავე ერთად მათ მიუთითეს ზოგიერთ შეცდომებზე და ნაკლებებზე სამხედრო და პოლიტმეცადინეობის დარგში.

მათ მიერ აღნიშნული იყო, რომ გაწვევის დროს ექცევა ნაკლები ყურადღება ახალგაზრდების საექიმო შემოწმებას, რის გამო ყაზარმაში მიდის ბევრი ავადმყოფი.

ამხანაგები შეეხენ სამოსწავლო პროგრამას და აღნიშნეს, რომ ვინაიდან შეკრების ვადა ძალიან მცირეა, საჭიროა რომ სწავლების დროს მიექცეს ყურადღება უფრო პრაქტიკას. აღნიშნული იყო აგრეთვე შინაური ცხოვრების ზოგიერთი ნაკლი.

რადგან კამათში მონაწილე მსურველი ბევრი აღმოჩნდა, კამათის გაგრძელება გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

სხდომის დამთავრების შემდეგ დელეგატებისათვის გამართულ იქნა სალამო-წარმოდგენა.

წითელ-არმიელთა უპარტიო კონფერენციები

გორში და ქუთაისში

—ქ. გორში და ქუთაისში გაიხსნა საგარნიზონო წითელ-არმიელთა უპარტიო კონფერენციები.

კონფერენციების დღის წესრიგში სდგას მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე, ტერიტორიალურ შეკრებების შედეგები და მომავალ საერთო შეკრებისათვის მზადების საკითხები.

კონფერენციები გასტანს 3-4 დღეს.

ა.-კ. სასოფლო-სამ. გამოფენის დახურვა

რამოდენიმე დღის წინად შეწყდა ექსკურსანტ გლეხების მიღება გამოფენაზე. უკანასკნელ დღეებში გამოფენის მნახველთა რიცხვი მეტად შემცირდა.

მხოლოდ გამოფენის დახურვის დღეს პავილიონები ისევ აივსო ხალხით.

საღამოს 8 საათზე პრეზიდიუმის ადგილს იკავებენ ამხ. **მიხა ცხაკაია, ხანოიანი, ელიავა, ხუმარიანი, ჩხეიძე** და **შირვანზადე**. სცენის სიღრმეში მოთავსდენ უცხო ფირმების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. **შირვანზადემ**, რომელმაც აღნიშნა გამოფენის მნიშვნელობა და ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარა საექსპორტო კომისიამ.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. მიხა ცხაკაია, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან:

— მტკიცება იმისა, რომ გამოფენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საჭირო არ არის. ეს საკმაოდ ცხადად აღნიშნეს გლეხებმა, რომლებიც მოდიოდნენ მანქანების დასათვალიერებლად.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. მიხა ცხაკაიამ მადლობა გადაუხადა უცხო ფირმების წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოფენაში.

ამხ. ხანოიანის სიტყვა

ამხ. ხანოიანმა აღნიშნა, რომ გამოფენა პირველი ნაბიჯი იყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ.

— საბჭოთა მრეწველობის ექსპერტებმა, რომლებიც აქ იყო გამოფენილი, თავისი ღირსებით ჩამორჩება უცხოეთის ექსპონატებს, მაგრამ მაინც შეგვეძლია ვიამაყოთ ამ ექსპონატებით, თუ მათ შევადარებთ იმას, რაც ჩვენ გვქონდა წინეთ. ისეთი გამოფენები, ხალხ[illegible] საბჭოთა ინდუსტრია პირველ ადგილს დაიჭერს.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

— ჩვენი გამოფენა დიდი არ არის, მაგრამ შინაარსიანია,—ასე დაიწყო თავისი სიტყვა ამხ. ელიავამ.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ ჩვენი გლეხი ჯერ-ჯერობით ჩამორჩენილია, ის ჯერ კიდევ მამა-პაპური საშუალებით აწარმოებს მიწის დამუშავებას.

დასასრულ ამხ. ელიავა შეეხო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. საბჭოთა მრეწველობა,—სთქვა მან, იზრდება და ჩქარა წინ გაუსწრებს უცხოეთის მრეწველობას.

უცხოელ ფირმების წარმომადგენლის სიტყვა

უცხო ფირმების წარმომადგენლების სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა ტაგერი, მან მადლობა გადაუხადა გამოფენის მომწყობ კომიტეტს დახმარებისათვის.

— ჩვენ, უცხოელებმა დავინახეთ,—სთქვა ტაგერმა, რომ გამოფენა სერიოზულ სკოლად გახდა გლეხებისათვის. ისინი აქ მოდიოდნენ არა სათამაშოების სანახავად, არამედ სასწავლებლად. გამოფენა ერთგვარი სკოლა იყო ჩვენთვისაც. ეხლა ჩვენ ვიცით, როგორი მანქანებს საჭიროებს ამიერ-კავკასია და საბჭოთა კავშირი. გამოფენის მომწყობმა კომიტეტმა წარმატებით შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებანი.

ტაგერის სიტყვა დაფარა მქუხარე ტაშმა. ამხ. შირვანზადემ დასრულებულად გამოაცხადა საზეიმო სხდომა და მასთან ერთად გამოფენაც.

უზარმაზარ ბოძზე აღმართული დიდი წითელი დროშა ნელა დაეშვა ძირს...

ი.

განათლების ფრონტზე

მუშათა ფაკულტეტებზე მიღების პირობები

თბილისის, ქართულ, რუსულ და სომხურ მუშათა ფაკულტეტებში მიიღებიან მუშები, რომელნიც უშუალოდ ჩაბმულნი არიან წარმოებაში (ასეთებად ითვლებიან დაქირავებული პირები, რომლებიც ხელფას მიხედვით მუშაობენ წარმოების განსაზღვრულ დარგში).

ფაკულტეტებში შესვლისათვის საჭიროა: ა) პროფორგანიზაციის მიერ მივლინება, ბ) წლოვანების მოწმობა (მისაღები უნდა იყოს არა ნაკლებ 18-სა და არა უმეტეს 30 წლისა), გ) ფიზიკური შრომის სტაჟის მოწმობა, რომელიც განისაზღვრება წლოვანების მიხედვით. 18—20 წლამდე—3 წელი, 20—25 წ.—4 წელი, 25—30 წლამდე—6 წელი (მუშებს და გლეხებს, რომლებიც წითელ ლაშქარში გაწვევის გამო შესწყვიტეს მუშაობა წარმოებაში სამსახური ჩაეთვლებათ ფიზიკური მუშაობის სტაჟათ), დ) სამხედრო აღრიცხვის ბარათი და ე) ჯანმრთელობის მოწმობა.

მიღება სწარმოებს მხოლოდ პირველ კურსზე. თბილისის მუშათა ფაკულტეტებში მიიღებიან მხოლოდ თბილისის ქარხნების და საწარმოო დაწესებულებებში მომუშავე ფიზიკური შრომის მუშები. ქართულ მუშფაკზე—60, რუსულზე—30, სომხურზე—30.

პირველ სემესტრზე მიიღებიან ის პირნი, რომელთაც ეცოდინებათ გარკვეული წერა-კითხვა დედა ენაზე, ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე და ელემენტარული პოლიტცოდნა.

ახალ მსმენელთა მიღების ვადა განისაზღვრება 7-დან 14 სექტემბრამდე.

მსმენელთა მიღებას აწარმოებს მთლიანი ცენტრალური სამანდატო კომისია, რომელიც მუშაობს საქართველოს პროფგანათლების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით კომისიაში შედიან: ა) საქ. კომპარტიის ცეკას, ბ) კომპარტიის თბილისის კომიტეტის, გ) ახალ. კომკავშირის ცენტ. კომიტეტის და დ) საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენლები.

განცხადებები მუშფაკში შესვლის შესახებ მიიღება განსახკომის პროფ-გან-მთავარ მმართველობაში, სამანდატო კომისიის სახელზე, 20 აგვისტოდან, 1 სექტემბრამდე.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობები

განათლების კომისარიატის პროფტეხნიკური განათლების მთავარი მართველობა, აცნობებს ყველა იმათ, ვისაც სურთ ან და გაგზავნილნი არიან განაწილების წესით, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, რომ იქ მიღება დასრულდება 5 აგვისტოს, ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება უნივერსიტეტში, ისინი მიღებულნი აღარ იქნებიან და განათლების კომისარიატი არავითარ შუამდგომლობას ასეთ სტუდენტების მიღების შესახებ არ აღძრავს.

გამოცდები თბილისის უნივერსიტეტში

თბილისის უნივერსიტეტში განცხადებების მიღება იწარმოებს 1-დან 25 აგვისტომდე. განცხადებები მიიღება არა განათლების კომისარიატისა და პროფტეხნიკურ განათლების მთავარმართველობაში, არამედ სათანადო უმაღლეს სასწავლებლების მიმღებ კომისიებში.

გადასამზადებელი კურსები თელავში

თელავში გაიხსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

კოოპერატივები მაზრებში

(საუბარი ამხ. მ. ტოროშელიძესთან)

„ცეტროსოიუზი“-ს ინსტრუქტორმა ამხ. დნეპროვსკიმ ცეკავშირის გამგ. თავმჯდომარის ამხ. მ. ტოროშელიძესთან და სტატისტიკურ კვე-განყოფილების გამგის ამხ. ნ. ჭავჭავაძესთან ერთად დაათვალიერა გამოკვლევის მიზნით ჩვენი სამომხმარებლო კოოპერატივები ზოგიერთ მაზრებში. ამ მიზნისათვის წინასწარ გათვალისწინებული იყო ცეკავშირის სისტემაში შემავალ ძლიერ, საშუალო და სუსტი ორგანიზაციების გამოკვლევა. დათვალიერებულ იქნენ სიღნაღის (ძლიერი), რაჭის (საშუალო), და გორის კოოპერატივები.

სიღნაღის მაზრის კოოპერატივების დათვალიერებიდან გამოირკვა, რომ ამ ეკონომიურად ძლიერ რაიონში სამომხმარებლო კოოპერაცია ვითარდება, იგი ფართოვდება და ძლიერდება, როგორც ეკონომიურად, ისე ორგანიზაციულად, იკრებს გარშემო წევრებს, რომელთა აქტივობა თვალსაჩინოდაა გაზრდილი. კოოპერაციას აქ ისეთი მიღწევები აქვს, რომელიც მთელ კავშირშიაც კი არ გვხვდება.

როგორც საშუალო შეძლების მქონე კოოპერატივებს, რაჭის მაზრაში გასულ წელთან შედარებით, წელს ცუდი წარმატება ეტყობათ. რაჭის მაზრა ეკონომიურად სუსტი რაიონია, მაგრამ მიუხედავად ამისა იქ არსებობენ კოოპერატივები, რომლებიც ძლიერებს არ ჩამოუვარდებიან. ასეთია მაგალითად ონის კოოპერატივი.

წევრთა აქტივობა რაჭის მაზრის კოოპერატივებში უფრო მეტია, ვინემ სხვაგან, რაც აიხსნება ადგილობრივ მოსახლეობის კულტურობით. ამხ. დნეპროვსკი ამბობს, ამ ორი მაზრის კოოპერატივები სისხლხორცეულად არიან და მომავალი დიდი აქვთ.

რაც შეეხება გორის მაზრის კოოპერატივებს, ისინი მართლაც რომ მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. უნდა ითქვას, რომ გორის მაზრა ეკონომიურად ძლიერი რაიონია და თუ აქაური კოოპერატივები სუსტნი არიან, ეს უნდა მივაწეროთ მათ გამგეობებში შემავალ პირთა მოუმზადებლობას და მათ მიერ საქმის არცოდნას.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, დათვალიერებიდან გამოირკვა, რომ გორის მაზრის კოოპერატივები არ არიან განწირული დასაღუპად, რაც მტკიცდება იქიდან, რომ მათი ბალანსების ლიკვიდაცია ადვილად შესაძლებელია.

ხელის შეწყობით და სათავეში საქმის მცოდნე და ენერგიულ პირთა ჩაყენებით ამ კოოპერატივებისგან სამაგალითო ორგანიზაციების შექმნა შეიძლება.

ექსკურსიები

ექსკურსია ბორჯომ - ბაკურიან ცხრა წყაროში. განათლების მუშაკთა კულტგანყოფილება, შაბათს 31 ივლისს, აწყობს ექსკურსიას ბორჯომ-ბაკურიან-ცხრაწყაროში; ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ხუთშაბათამდე, განათლების მუშაკთა სახლში.

მანქანების გადარჩევა

შაბათს, 24 ივლისს, თბილისსა და კაჯავს შორის გაიმართა საბარგო მანქანების [illegible], რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შემდეგმა მანქანებმა: ხუთ ტონიანი საბარგო ავტომობილი „კრუპპ“, ორ ტონიანი საბარგო ავტომობილი „კრუპპ“ (პლევმატიურ შინებზე), ამერიკული საბარგო ავტომობილი „ინტერნაციონალი“ და მსუბუქი ხუთ ადგილიანი ავტომობილი „ფორდ“-ი ახალი მოწყობილობით მანქანები თავისუფლების მოედნიდან გაიდენ 8 ს. და 50 წუთზე. „კრუპპ“-ი (ორ ტონიანი) და „ინტერნაციონალი“ დატვირთული იყო ქვებით, დანარჩენი მანქანები მგზავრებით.

ფორდი მიდიოდა პირველი და მეორე სიჩქარით.

ექსპერტიზის წინასწარი დასკვნით, ყველაზე კარგათ მიდიოდა ორ ტონიანი „ინტერნაციონალი“. გამოცდის მიზანია—მანქანების ამტანლობის გამორკვევა.

საექსპერტო კომისიაში მონაწილეობას იღებენ ინჟ. კარგანოვი, კარპინსკი და სხვები.

ახალი სანატორიუმი

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ინიციატივით 25 ივლისს ბორჯომში გაიხსნა ახალი სანატორიუმი 40 საწოლით.

ამჟამად ჯანსახკომის ყველა სანატორიუმები სრულიად არიან დატვირთული და ახალი სანატორიუმის გახსნა გამოწვეული იყო მთხოვნელთა დიდი რიცხვით.

გარდა ამისა მთავრობის მიერ დაქირავებულია საკურორტო სამართველოსაგან ასი საწოლი ბორჯომსა და აბასთუმანში.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოში

საბუნებისმეტყველო კაბინეტი

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ შეიძინა საბუნებისმეტყველო კაბინეტი ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებისათვის.

ეს კაბინეტი გაიგზავნა ახალციხის მაზრაში იქაური კურსების საჭიროებისათვის.

სკოლები

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ცნობებით, ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს სხვადასხვა საფეხურის 890 სკოლა ეროვნულ უმცირესობათათვის. აქედან სომხური სკოლებია—180, თურქული—89, რუსული—81, ბერძნული—35, ებრაული—8, გერმანული—12, ოსური—27, პოლონური—1, ასირიული—2, ეზიდ-ქურთული—1.

ეროვნულ უმცირესობათა ბავშვებისათვის გახსნილ ოთხწლედიდან 93 სომხურია, 84 თურქული, 37 რუსული, 32 ბერძნული, 5 გერმანული, 25 ოსური, 1 პოლონური, 2 ასირიული და 1 ეზიდ ქურთული.

უმაღლესი სასწავლებლები და ეროვნული უმცირესობანი

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა აზერბეიჯანის და სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატების წინაშე, რათა ორივე ამ რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში ადგილები სათანადო რაოდენობა დაეთმოს საქართველოს ეროვნულ უმცირესობებს.

ჩვენი მრეწველობა

საქართველოს მთელ მრეწველობის (შავი ქვის გარდა) საბალო პროდუქცია გამოიხატება მიმდინარე წლის მეორე სამეურნეო კვარტალში—12.773.662 მანეთში (ჩერვ.)

საბიუჯეტო შენაკრების ღირებულება უდრის ჩერვონეცის მანეთებში:

	კერძო ფასების მიხედვით		კოოპერატ. ფასები	
ა.-წ. 1 მაისისთვის	20—76	100%	19—22,8	100%
ა.-წ. 1 ივნისისთვის	21—84,2	105,2%	18—77,2	97,6%
ა.-წ. 1 ივლისისთვის	20—31,9	97,9%	18—25,6	94,9%

ომის წინ იმ პროდუქტების ღირებულება, რომლებიც შედიოდენ საბიუჯეტო შენაკრებში, უდრიდა ათ მანეთს.

საექსპორტო საიმპორტო გეგმა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მიიღო და დაამტკიცა 1926 27 საბიუჯეტო წლისათვის შემდეგი საექსპორტო-საიმპორტო გეგმა.

იმპორტი: 1) საჭირო მანქანები და მოწყობილობა ახალ გახსნილ ფაბრიკა-ქარხნებისათვის—5.745.613 მანეთის; 2) მოწყობილობანი ს. მ. უ. ს. ტრესტებისათვის—423.425 მან. სულ განზრახულია 6.169.038 მანეთის მოწყობილობათა შემოტანა.

ამას გარდა განზრახულია ტრესტისათვის 52.000 მან. ნედლეული მასალის და 434.245 მ. ნახევარი ფაბრიკატების შემოტანა.

სულ სახალხო მრეწველობის იმპორტი გეგმის თანახმად უდრის 6.655.283 მან.

საქ. შინამრეწველობის საჭიროებისათვის დამხმარე მასალების და ნახევარ ფაბრიკატების შემოტანა 304.850 მან.

ექსპორტი: ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალის გასაზიდათ—665.000 მან., კოპტონის გაზიდვა—84.000 მან. ხმელი პარკი—1.420.000 მანეთი.

სულ ექსპორტი გეგმის თანახმად უდრის 2.169.000 მანეთს.

ვინაიდან ავტონომიურ რესპუბლიკებს არ წარმოუდგენიათ ცნობები თავიანთ საექსპორტო-საიმპორტო შესაძლებლობათა შესახებ, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საწარმოო განყოფილებას გამოარკვიოს ავტონომ. ერთეულების საექსპორტო-საიმპორტო [illegible].

ავტომატ. ტელეფონები

ამ მოკლე ხანში მოსკოვიდან ჩამოვა ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის სპეციალური კომისია თბილისის მთელი ტელეფონის ქსელის გადასაკეთებელი პროექტის შესადგენად.

თბილისის ტელეფონის ქსელი გადაკეთებულ იქნება ავტომატიურ ტელეფონის ქსელად იმ ანგარიშით, რომ დააკმაყოფილოს 6000 აბონენტის საჭიროება. თბილისის ავტომატიური ტელეფონის ქსელი მოწყობილი იქნება იმ ტელეფონის ქსელის მსგავსად, რომელიც ამჟამად როსტოვში კეთდება. ამჟამად თბილისში არსებული ჩვეულებრივი ტელეფონის ქსელი შეუძლია 2700 აბონენტის დაკმაყოფილება. ავტომატიური ტელეფონის ქსელი, ეწყობა აგრეთვე ბაქოში, სადაც ავტომატიური ტელეფონი დააკმაყოფილებს 6.000 აბონენტის საჭიროებას.

როგორც თბილისში, ისე ბაქოში ავტომატიურ ტელეფონის გაყვანა ჯდება ორ-ორი მილიონი მანეთი და მისი მოწყობა გაგრძელდება ორი წლის განმავლობაში.

---

*) წინადადების წესით.

„კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“ მთავარ კანტორებისაგან

„კომუნისტზე“, „მუშაზე“ და „ახალ სოფელზე“ პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში

1. ხაშურში—კანტ. გამგე მათე გოგუაძესთან — მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
4. ხონში—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. სენაკი—განყ. გამგე ეხვაიასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან — მთელი ოზურგეთის მაზრისთვის.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისთვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—გლეხკომთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისთვის.

„კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და
„ახალი სოფლის“ მთავარი კანტორები

ბინის ქირა

ა.-კ. პროფსაბჭოს ბინის ქირის გადიდების შესახებ

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი ბინის ქირის მომატების შესახებ საკავშირო მთავრობის მიერ ამ საკითხზე გამოტანილ დადგენილების თანახმად. **პრეზიდიუმმა შეუძლებლად სცნო გატარებულ იქნეს ამიერ-კავკასიაში სავსებით საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი.** ამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ხელმძღვანელობდა სრ. საკავშირო ცენტრ. პროფსაბჭოს დადგენილებით, რომლის თანახმად ბინის ქირის გადიდების ტემპი უნდა შეუფარდდეს მუშა-მოსამსახურეთა რეალურ ხელფასის ზრდას. პრეზიდიუმის აზრით ბინის ქირის გადიდება მოუხერხებელია იმ მოსაზრებით, რომ ბინის ქირის დონე ამიერ-კავკასიის ქალაქებში ერთგვარი არ არის, (ყველაზე მეტია ბაქოში) და, რაც უმთავრესია, **ხელფასის ამჟამად არსებული მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა ბინის ქირის გასადიდებლად.** ამასთან ერთად ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა **საჭიროდ აღიარა დატოვებულ იქნეს ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში აქ ბინის ქირის გამოანგარიშების სისტემა მუშა-მოსამსახურეების ძირითად განაკვეთთან შეფარდებით.** 1 ივლისისათვის ბაქოში ჩატარებული ქირის მომატება პროფსაბჭოს მიაჩნია მისაღებად და მის შემდეგ გადიდებას დაუშვებლად სცნობს. **თბილისსა და ერევანში ა.-კ. პროფსაბჭოს დასკვნით შეიძლება ბინის ქირის გადასინჯვა მისი რაოდენობის გადიდების და გათანასწორების მიზნით.**

სოც. უზრუნველყოფის ორგანოები და გლეხკომები

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა სოციალური უზრუნველყოფის საქმის და გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების მუშაობის გამოკვლევა ადგილებზე. გამოკვლევა შეეხო ოზურგეთის, თელავის და ქობულეთის მაზრებს.

გამოირკვა, რომ სოციალური უზრუნველყოფის საქმე სამაზრო ორგანოებში ვერ არის სათანადო ნიადაგზე დაყენებული.

ომის და შრომის ინვალიდების საქმეებში, უმეტეს შემთხვევებში, არ არის დოკუმენტები, რომლებიც უნდა ამტკიცებდნენ, თუ სად და როგორ დაშავდნენ ისინი და როგორია მათი ქონებრივი მდგომარეობა. ჩვეულებრივ ამის მაგივრად საქმეებში ჩაკერებულია ანკეტები.

აღმასკომები მცირე თანხებს იღებენ ინვალიდებისათვის დახმარების გასაცემად. ამის გამო პენსიების რაოდენობა მეტად მცირეა; მაგალითად, 1924-25 წელში დაწესებული იყო 2—3 მანეთი თვეში, 1925-26 წელში კი 3—5 მანეთი.

ამას გარდა, თანხების ნაკლებობის გამო ინვალიდები მთელი თვეობით არ იღებენ კუთვნილ პენსიას.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების აპარატის შენახვაზე მეტად დიდი თანხები იხარჯება. ოზურგეთის მაზრაში 1923-24 წელში ხარჯები უდრიდა სოციალური უზრუნველყოფის საქმისათვის გაღებულ მთელი თანხის 60 პროც., 1924-25 წელში კი—35 პროც. თელავის მაზრაში აპარატის შესანახავი ხარჯები 1925-26 წელში უდრის 52 პროც.

ინვალიდები თანხების ნაკლებობის გამო ჩაბმული არ არიან შრომის ორგანიზაციებში.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია თანხების გაცემის საკითხის მოწესრიგების მიზნით საჭიროთ სთვლის თანხების გაცემას განსაზღვრულ ვადებში. აპარატების შესანახავი ხარჯები დაყვანილი უნდა იქნეს საერთო ხარჯების 30 პროც.

ამასთანავე გაძლიერებული უნდა იქნეს ხელმძღვანელობის გაწევა ცენტრის მიერ. ღარიბ მაზრების ადგილობრივი ფონდები სოციალური უზრუნველყოფისათვის, გაძლიერებული უნდა იქნეს ცენტრის დოტაციებით და ხარჯთაღრიცხვის გარეშე შემოსავლით.

რაც შეეხება გლეხკომებს, აქ შემჩნეულია მუშაობის გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით. მრავალი დეფექტები აღმოფხვრილია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გლეხკომების მუშაობაში მაინც ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლულოვანებებს. სარევიზიო კომისიები არ იჩენენ საჭირო აქტივობას. სუსტად მიმდინარეობს ქალების ჩაბმა გლეხკომების მუშაობაში, ცუდათ არის დაყენებული დახმარების გაწევა ინვალიდებისა, ქვრივებისა და ღარიბ გლეხებისათვის.

თელავის მაზრაში მთელი მოზრდილი მოსახლეობა (37,627 კაცი) ითვლება გლეხკომების წევრებათ, ნამდვილად კი მხოლოდ 5 პროც. ასრულებს თავის მოვალეობას (საწევრო გადასახადის შეტანა). გარდა ღარიბ გლეხების 10-20 პროც., რომლებიც განთავისუფლებული არიან საწევრო გადასახადისაგან, და აღნიშნულ 5 პროც., რომელნიც ასრულებენ თავის მოვალეობას, წევრების მთელი დანარჩენი მასა ფაქტიურად ორგანიზაციის გარეშე სდგას. გლეხკომების წევრების აქტივობას ჯერ-ჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა.

ქრონიკა

ეგვიპტის ელჩი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ეგვიპტის საგანგებო ელჩი სპარსეთში ბ. აბდალ აზიმ ფაშმელონი, რომელიც მიემგზავრება სპარსეთში.

საზღვრების მომწესრიგებელ კომისიის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელი კომისიის ოსმალეთის დელეგაცია, რომელიც ხელს მოაწერს შეთანხმების აქტს.

ილია ერენბურგის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი მწერალი ილია ერენბურგი.

შემოსავალი თბილისის ტელეფონებიდან

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ცნობებით, თბილისის ტელეფონის ქსელის ექსპლოატაციამ გასული წლის განმავლობაში სახელმწიფოს მისცა წმინდა შემოსავალი 110.000 მანეთი.

მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა პროექტი სოფლის მასწავლებელთა და საუბნო საექიმო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების შესახებ.

ა.-კ. საბინაო კოოპერაციის საბჭო

ა.-კ. პროფსაბჭომ აუცილებელ საჭიროებად აღიარა ამიერ-კავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს მოწყობა. პრეზიდიუმმა მიიღო ა.-კ. საბინაო კოოპერაციის საბჭოს დებულების პროექტი.

თათბირი მებამბეობაზე

ამ თვის ბოლო რიცხვებში მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო თათბირი მებამბეობის შესახებ. აღნიშნულ თათბირზე ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაგზავნა ამხ. სტ. მაზმანოვი.

სხვა საკითხთა შორის თათბირის დღის წესრიგში სდგას საკითხი მებამბეობისათვის კრედიტების გაცემის მოგვარების და მათი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში მოქცევის შესახებ.

შრომის კომისარიატში

— **ქალები საფაბრიკო საქარხნო სკოლებში.** შრომის კომისარიატმა დააწესა მომავალი სასწავლო წლიდან საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში გადასაგზავნ ქალების მინიმალური პროცენტი.

— **საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში მისაღებთა ასაკი.** შრომის კომისარიატის დადგენილებით, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში უნდა იგზავნებოდეს ისეთი მოზარდები, რომელთა ჰასაკი არ აღემატება 16 წელს.

— **სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ.** შრომის კომისარიატმა შეიმუშავა თეატრებში და კინო-წარმოებებში მომუშავეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის და დამატებით შვებულებების წესი.

— **უმუშევართა დაზღვევა.** უმუშევართა დაზღვევამ განყოფილებამ, დაასრულა უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია, ეხლა სწარმოებს იმ უმუშევართა რეგისტრაცია, რომელნიც არ გამოცხადებულან ხელახალი რეგისტრაციის დროს.

ჯანსახკომში

— **სამკურნალო წყლების გამოკვლევა.** ქიმიკურ ლაბორატორიის გამგე ექიმი კუპცისი, რომელიც მივლინებული იყო წყალტუბოსა, ზუგდიდისა და სენაკის მაზრაში სამკურნალო წყლების გამოსაკვლევად დაბრუნდა თბილისში.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოში

— **ზეთის დამზადება.** უმაღლესმა სამეურნეო საბჭომ დაადგინა, მზესუმზირასთან ერთად დაამუშაოს სოიაც ზეთის დასამზადებლად.

სხვადასხვა

— **შეკეთება.** უკვე დაიწყო მუშაობა ავჭალის წყალსადენის ზღუდის ასაშენებლად და თვით სადგურის შესაკეთებლად.

— **საცხოვრებელი ბინები.** ლიუქსემბურგის გლეხკომი შეუდგა ქვრივ-ობოლთა და ინვალიდთათვის საცხოვრებელ ბინების შენებას.

კრებები და მოხსენებები

— **ოსების კრება.** ხუთშაბათს 29 ივლისს საღამოს 5 საათზე მე-10 ოსურ შრომის სკოლის დარბაზში (სურამისა და პატარის ქ. კუთხე), დანიშნულია ოსების საერთო კრება; გასარჩევია სხვადასხვა საყურადღებო კულტურული საკითხები; ინიციატორები სთხოვენ ოს მოქალაქეებს, დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ბორჯომ-ბაკურიან-ცხრაწყაროში მიმავალი ექსკურსანტების წინასწარი კრება შესდგება დღეს საღამოს 7 საათზე.

ჩაუბარებელი დეპეშები

25 ივლისამდე ტელეგრაფის სამმართველოში ჩაუბარებელი რჩებოდა შემდეგი დეპეშები: ალექსანდროვიდან—შევჩენკოს, ნახიჩევანიდან—ტერიანცის, ბათომიდან—მულიევს, ბაქოდან—ტერაგაპოვს, ბაქოდან—სმირნოვას ცინევეს, კადიევკიდან—აბულოვს, როსტოვიდან—ავჯაკუმჩენკოს, კრემენჩუკიდან—ჩერნიშოვს, ბორჯომიდან—სოკოლოვსკაიას, ტრუსფიდან—ქანაშევს, კარანლუგიდან—მირზოიანს, პავლოვსკიდან—სოკოლოვს, გორიდან—მიქაძეს, დუშეთიდან—ნაგლიაშვილს, ლუგანსკიდან—დაშკოვს, ალჩევსკიდან—კევორქიანცს, ველისციხიდან—აკოპოვს, ფორხლიდან—კოგირიშტეინის, ბახმაროდან—აბენიკს, ბათომიდან—ტალმისკოვის, ზლატოუსტიდან — სარქისოვს, გელენჯიკიდან—არკადის.

ხელოვნების ქრონიკა

ბენ-საიდის გასტროლები. 27 და 28 ივლისს, ძმ. ტანტების ცირკში გაიმართება გიპნოტიზიორ ბენ-საიდის გასტროლები.

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** გუშინ, სოფ. სოღანლუღში მტკვრის არხში ნაპოვნია დამხრჩვალი ადამიანის გვამი, რომლის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— გუშინ კომუნალური ქ. № 66 მტკვრის ნაპირას გოგილოს აბანოს პირდაპირ ნაპოვნია დამხრჩვალი ადამიანის გვამი, რომელიც ამოიცნო ტრამვაის სახელოსნოს მუშა ანჩაძემ.

დაკარგვა. გუშინ სისხლის სამართლის მილიციაში შემოვიდა წერილობითი განცხადება მოსე მიქელაძის, რომელშიაც ნათქვამია, რომ მისი ახლად გათხოვილი ქალი ალექსანდრა კოპალეიშვილისა 21 ივლის გამგზავრებულა თბილისიდან ხონში, რის შემდეგაც აღარ დაბრუნებულა; იგი არ აღმოჩნდა არც ხონში.

თვითმკვლელობა. 25 ივლისს საღამოს 3 საათზე მცხეთიდან თავის სახლიდან სადღაც გამგზავრებულა ეფემია კირიგისა თავისი პაწია შვილით. ეფემიას თავის ქმრის სახლში დაუტოვებია წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის პაწია შვილით ვარდება მდ. მტკვარში. ეფემიას გვამი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

— **გაღებული ფანჯრებიდან.** 24 ივლისს გაღებული ფანჯრებიდან კამოს ქ. № 24 მცხოვრებ სოლობუდის ბინაზე შევიდა ქურდი ვილაცა და გაძარცვა. ქურდი იქავე შეიპყრეს.

— **ხანძარი.** 25 ივლისს მალაკნის ქ. № 25 ლ. დენისენკოს ბინაზე გაჩნდა ხანძარი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი უდრის 500 მან.

— **ჯიბგირობა.** 25 ივლისს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში პუშკინის ქ. ვ. ენიკოლოპოვს ჯიბიდან ამოაცალეს 240 მან.

— **მაღაზიის გატეხა.** 24 ივლისს ღამით უცნობმა ბოროტგამზრახველებმა დარაბის გატეხის საშუალებით გაქურდეს ბნელ რიგებში გ. კოშკილოვის მაღაზია. წაიღეს 200 მან. ნივთები.

— **„დახმარება“.** პლეხანოვის პროსპექტზე მანდატიანოვის საათების მაღაზიას გაუჩნდა ცეცხლი. დამსწრეებმა მაღაზიის პატრონს დაეხმარენ ნივთების გარედ გამოტანაში, მაგრამ ამ დახმარების დროს აღმოჩნდა მოპარული 30 საათი, ღირებული 700 მან.

— **დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ს. სიმონიანი და ს. ღარიბოვი, რომელთაც ბრალად ედებათ ჯიბგირობა.

თბილისის ბირჟაში

ბირჟის სექციებში

თბილისის საქონლის ბირჟის სამრეწველო სექციის უკანასკნელ სხდომაზე „სეკავტორგი“-ს წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება აღნიშნული ორგანიზაციის მიერ დამზადებულ საქონლის ამიერ-კავკასიაში შემოსატან გეგმის შესრულების შესახებ მიმდინარე სამეურნეო წლის მესამე მეოთხედში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის ბაზარზე ნოვოროსიისკის ცემენტის დიდი ნაკლებობა, ხოლო რაც შეეხება ტაუზის და კიშლინის ცემენტს მოთხოვნილება მათზე კმაყოფილდება. სექციის მომავალ სხდომაზე იგივე წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას „სეკავტორგი“-ს სავაჭრო ოპერაციების შესახებ წლის განვლილ მეოთხედში და მეოთხე მეოთხედის პერსპექტივებზე.

სექციების სხდომები

27 ივლისს დღის 2 საათზე შესდგება ხორცეულთა სექციის და საღამოს 8 საათზე კერძო ვაჭრობის სექციის სხდომები.

29 ივლისს, 2 საათზე შესდგება საპროდუქტო და ნედლეულთა სექციების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილავენ ხილის ბაზრის მდგომარეობას.

რკინის გზებზე

კაზანცევის მუხრუჭები

20 ივლისიდან ლენინგრადში ამუშავდება სახელმწიფო ქარხანა მუხრუჭებისა, რომელიც შეუდგა კაზანცევის მუხრუჭების მზადებას.

საბჭოთა კავშირის რკინის გზებიდან, პირველ რიგში გათვალისწინებულია დონისა და ეკატერინეს გზების მოწყობა კაზანცევის მუხრუჭებით. აქ მუხრუჭებით მოწყობილ იქნება ქვანახშირის მატარებლები. რაც შეეხება კაზანცევის მუხრუჭების გამოყენებას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, აქ პირველი ოქტომბრისათვის დამთავრებულ იქნება თხლად ჩასასხმელ საქონლის პარკის მოწყობა აღნიშნულ მუხრუჭებით. გათვალისწინებულია: 650 კანადური ცისტერნის და 200 ორთქლმავლის მოწყობა.

გარდა ამისა, ბაქოში, ბათომში და ხაშურში მოეწყობა მუხრუჭების საცდელი სადგურები.

წყლის მომარაგების ნაწილი

ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს დადგენილებით წევის დარგთან დაარსებულია წყალთ-მომარაგების ნაწილი.

სასამართლო

ეტლით სეირნობის მოყვარული

15 ივლისს, საღამო ხანს, პეტრე-პავლეს ძე ბახტიონი ძლიერ ცუდ გუნებაზე იყო. „მძიმე ფიქრების“ გასაფანტავად პეტრემ გადასწყვიტა „გადაეკრა“, რომ „ბახუსის“ გავლენით მძიმე ფიქრებისგან თავი დაეღწია. შევიდა რესტორანში და ბრძანა:

— „აბა მოგვართვით ერთი კვარტი ღვინო“ თავისი—რამეებით. პეტრე შეზარხოშდა და გასწია რუსთაველის პროსპექტით ნაცნობ ქალის სანახავად. პეტრეს დარდი გაუორკეცდა, როცა დიასახლისი სახლში არ დაუხვდა. მან განაგრძო სეირნობა, მაგრამ უკვე ეტლით. როცა მეეტლემ ფული მოსთხოვა „ჩემზე იყოსო“ უთხრა და განაგრძო გზა. მუქთად ეტლით სეირნობით მოყვარული მიაბრძანეს მილიციაში.

კომისარიატში პეტრე თავისუფლად გრძნობდა თავს და ბრძანების კილოთი ყვიროდა:

— რა გინდათ ჩემ სახლში, მიბრძანდით აქედან და დახმარებისათვის მილიციას მოუწოდებდა. პეტრემ დილას გაიგო, რომ ის სახლში კი არა—მილიციის საპატიმროში იყო და, რომ წინა ღამით მილიციელისათვის სილა გაეწნა.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა ბახტიონის საქმე.

სასამართლომ პეტრე ბახტიონს მიუსაჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასჯელი გაუნახევრა.

გამფლანგველი მორეევ-კურასოვის საქმე

სასამართლომ ბრალდებულ ლავრენტი მორეევ-კურასოვს 912 მან. და 85 კაპ. მითვისებისა და გაფლანგვისათვის მიუსაჯა წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

გაუპატიურება

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო განიხილავს **პეტრე ლოლობერიძის და მოქ. სიპცოვის** საქმეს.

ლოლობერიძეს და სიპცოვს ბრალი ედებათ ა. რ-ნის ასულის ძალდატანებით გაუპატიურებაში.

მაჟანკლობა

30 ივლისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო განიხილავს იოსებ ფარაჯანოვის და სხვათა საქმეს.

ფარაჯანოვს ბრალდება გარყვნილების ბუდის შენახვა.

ქუთაისის ამბები

კერძო პირებისათვის კრედიტების შეწყვეტა

სახ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ყველა კერძო პირებს შეუწყვიტა კრედიტების—(სესხის) მიცემა და მის ნაცვლად გააძლიერა სესხის მიცემა კოოპერაციულ და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის.

პურის ფქვილი

ქუთაისის ბაზარზე ამ ბოლო დროს შემჩნეული იყო პურის ფქვილის ნაკლებობა. სახ. და კოოპერაციულ ორგანიზაციებს არ მოეპოვებოდა პურის ფქვილის მარაგი, ამ დღეებში სახ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო 2 რონოდა ფქვილი, კიდევ მოელიან 20 რონოდა პურის ფქვილის მიღებას.

შრ. კოლექტივები

ქუთაისის შრომის ინსპექციასთან არსებულ შრომის კოლექტივს ამჟამად აქვს ქალაქში და რაიონებში 8 საწარმოო და სავაჭრო შრ. კოლექტივი.

დასასვენებელ სახლებში

ქუთაისის სამპროფბიურო ბორჯომის, წალვერის, სურამის და მცხეთის დასასვენებელ სახლებში აგვისტოში გზავნის 20 მუშა-მოსამსახურეს.

„რემედასის“ წევრთა ხელახალი აღრიცხვა

ქუთაისის სამაზრო „რემედასი“-ს ბიურო შეუდგა მაზრაში „რემედასი“-ს წევრთა ხელ-ახალ აღრიცხვას, რისთვისაც რაიონებს გაეგზავნა სათანადო ინსტრუქტორები.

ქუთაისის სამპროფბიუროში

— ქუთაისის სამპროფბიურომ წინადადება მისცა ყველა კავშირებს და სამდივნოებს, რათა კომუნისტურ ბავშთა ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველთვიურად გადასდონ ქალაქის კავშირებმა 5 პროც. და სარაიონო სამდივნოებმა 3 პროც.

ბაზრების გაფართოება

ქუთაისის სამაღმასკომი შეუდგა მწვანე ბაზრის და ყაფანის გაფართოებას. აღნიშნული ბაზრები უნდა გაფართოვდეს ორწილად. ბაზართან მოეწყობა წვიმის დროს თავშესაფარი ადგილები და აიგება ახალი დარაბები.

საზოგად. ფეხსადგილების აგება

დღემდის ქუთაისის ბაზრებთან არ იყო მოწყობილი საზ. ფეხსადგილები, რის გამო ბაზრის ახლო-მახლო ადგილებზე ძალზე უსუფთაობა იყო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მაზრის აღმასკომმა და ყაფანთან, მწვანე ბაზართან, გალმა ყაფანთან და ახალ ბაზართან მოეწყო ფეხსადგილები.

კინო-ექსპედიცია

24 ივლისს ქუთაისში ჩავიდა კინო-ექსპედიცია 45 კაცის შემადგენლობით კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც უნდა გადაიღოს კინო-სურათი „სამანიშვილის დედინაცვალი“ დ. კლდიაშვილის მოთხრობიდან. სცენარი დამუშავებულია სერგო კლდიაშვილის და ნ. შენგელაიას მიერ. მოთამაშეთა შორის არიან ქართ. დრამის მსახიობები ნ. ჯავახიშვილი, ც. წუწუნავა, ელ. დონაური, ს. აბელიშვილი, ბეჟანიშვილი, ა. ვასაძე, ა. ეორეოლიანი, ღამბაშიძე, კორიშელი, ხოხელი, მ. ლორთქიფანიძე, ა. მურუსიძე, მ. ჯანელიძე (ნემო) და სხვები. სურათის ნაწილი ბუნებაზე იქნება გადაღებული შემდეგ ადგილებში: ქუთაისში და მის მდებარე რაიონებში—სოფ. რიონში, მოწამეთაში, გელათში, სიმონეთში, ჩხარში, ორპირში და ზესტაფონში. სურათისათვის დამზადებული და ჩამოტანილი ახალი ტანსაცმელები და ბუტაფორია. ოპერატორად არიან გამოცდილი ოპერატორები ენგელსი და გეგელი. მხატვარი—მ. თოიძე და მოქანდაკე მ. პიოტრლი. მასიურ სცენებში ადგილებზე მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი გლეხები. ექსპედიცია დაჰყოფს ერთ თვეზე მეტს.

ტელეფონის ხაზი

ამ.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს განზრახული აქვს გაიყვანოს ტელეფონის ხაზი ლიუქსემბურგ-გომარეთს შუა. ამ საქმისათვის საჭირო მასალა უკვე შეძენილია ცენტრში და მოკლე ხანში იქნება მიღებული.

თბილისიდან — ახალციხე - ბორჯომ - აბასთუმანი — ბაკურიანამდე ტელეფონით ლაპარაკის საქმე ამჟამად მეტად ცუდათ არის დაყენებული: ტელეფონის ხაზები ჩამოკიდებულია რკინის გზის ტელეფონის ბოძებზე ბორჯომ—ხაშურს შუა, რაც აბრკოლებს ტელეფონით ლაპარაკს.

ამისათვის ამ.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე საქართველოს ზოგ ადგილას არსებულ ტელეფონის ქსელის გაუმჯობესების შესახებ; ამიტომ ხაშურ—ბორჯომ შუა გაყვანილი იქნება განსაკუთრებული ხაზი ორმაგი ნომრების გამოთ, რაც მნიშვნელოვანათ გააუმჯობესებს ტელეფონით ლაპარაკს თბილისიდან ახალციხე—აბასთუმან—ბორჯომ — ბაკურიანთან.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფიდიუსის ნაწარმოების პოვნა

რომიდან მიღებული ცნობით, კირენაიკაში (ლიბია) იუპიტერის ტაძრის აღმოჩენის მიზნით წარმოებული გათხრების დროს, მიწაში იპოვეს იუპიტერის უზარმაზარი თავი, რომელიც, როგორც ქანდაკებაზე გაკეთებულ ბერძნული წარწერიდან სჩანს, ეკუთვნის ძველი საბერძნეთის უდიდეს მოქანდაკე ფიდიუსს.

კვერცხების შესანახი მანქანა

გერმანიაში ამ რამდენიმე ხნის წინათ ბაზარზე გამოუშვეს მეტად ორიგინალური მოწყობილობა კვერცხების შესანახად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამ მოწყობილობით სარგებლობის დროს კვერცხებს ისეთივე გემო და სურნელება აქვთ, როგორც ახლად დადებულებს. მოწყობილობა შესდგება რამდენიმე მავთულის ბარაბანისგან, რომლებიც ერთი მეორეს შიგნით არიან მოთავსებული, ამ ბარაბანებზე მიმაგრებულია ლითონის ღეროები სპეციალური საჭერით, რომლებიც ფორტოფიანოს სიმებიდანაა გაკეთებული. ეს საჭერები მეტად ელასტიურია, რომ მათ შორის კვერცხის მოთავსების დროს სრულიად არ არის საფრთხე იმისი, რომ კვერცხები გატყდება. ამავე დროს, საჭერი ისე მაგრათ იჭერს კვერცხს, რომ მათი შემთხვევით გამოვარდნა შეუძლებელია. კვერცხების კარგათ შესანახათ საკმაოა მოწყობილობის მობრუნება ერთი მეოთხედით დღეღამის განმავლობაში. ამ მობრუნების წყალობით კვერცხებს ყოველდღე ახალი მდებარეობა უჭირავთ და ამის გამო ჩანასახს არ შეუძლია გაიაროს ბაქტერიებისგან თავისუფალი ცილოვანი მასა და მიეკრან ნაჭუჭს. სანამ ეს არ მოხდარა, ჩანასახი გარსი არ ზიანდება და კვერცხი არ ლპება. მოწყობილობის თანაბრად მობრუნების საკონტროლოდ იგი მომარაგებულია სპეციალური საათით, რომლის ისარი უჩვენებს მობრუნებათა რაოდენობას. კვერცხების შესანახი მოწყობილობანი სხვადასხვა სიდიდისა—60-დან 10.000-დი კვერცხის შესანახად.



ოქროს ფულების განძი

კიშინიოვიდან იუწყებიან, რომ ბენდერის ახლო (ბესარაბიაში) იპოვეს ოქროს ფულების განძი. განძი იპოვა გლეხმა კ. დუმიტრაშკუმ, როცა იგი ხეებს სჭრიდა სარდახის ტყის რაიონში. ერთი მუხის ძირში მან შენიშნა ტყავის ნახევრად დამპალი ტომარა, რომელშიც ოქროსა და ვერცხლის ფულები აღმოჩნდა.

ფეხბურთი

არმია—სამხედრო უმაღლესი სასწავლებლები

შაბათს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა კავკასიის წითელდროშოვან არმიის და სამხედრო უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდების შეჯიბრი.

გუნდები გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით:

არმია: გოლუბევი (ჯავშნიანი ნაწილები), დანილია (მე-6 ქართული პოლკი), პეტრუსენკო (ჯავშნიანი ნაწილები), მამაგულოვი (ქართული დივიზია), სიჩი (კუსარის გუნდი), გრიბოვი (მანგლისის გუნდი), გლადკიხ (ხაშურის), ზარეცკი (ა.-კ. საგანგებო კომისია), დერგაჩევი (თბილისის), ნიხელსონი (აჯიკენდი) და პარამონოვი (ჯავშნიანი ნაწილები).

უმაღლესი სასწავლებლები: პაპკოვი, ზამორსკი, ფროკტოვნიკოვი, ადამოვი, კავტუნენკო, გავრიელოვი, ორეხოვი, იოსავა, მდივანი, კრავჩენკო და რიაზოვი.

არმიის ნაკრები გუნდის მოთამაშეები საკმაოდ შეწყობილი არიან ერთმანეთთან. მათი თამაშის ტეხნიკაც საკმაოდ მაღალია.

იგივე არ შეიძლება ითქვას უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდის შესახებ. მოთამაშეებს აკლიათ მოქნილობა და ერთმანეთთან შეწყობა.

ორივე ხავტაიმის განმავლობაში შეტევაზე გადადის ორივე მხარე. არმიის გუნდის მოთამაშეები ხშირად ქმნიან სახიფათო მომენტებს მოწინააღმდეგის კარებთან, მაგრამ პაპკოვის მოხდენილი თამაშის წყალობით მხოლოდ ორჯერ ახერხებენ ბურთის გატანას.

თამაში თავდება 3 : 2 უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

„არსრაიონი“ „არმიის ნაკრები“

კვირას, კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაკრები გუნდი შეეჯიბრა თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს—„არსრაიონს“.

როგორც მოსალოდნელი იყო, „არსრაიონმა“ ამ შეჯიბრშიაც გამოამჟღავნა თამაშის მეტად ლამაზი ტეხნიკა. ამ უკანასკნელის ფორვარდები პირველი ხავტაიმის განმავლობაში თითქმის სულ მოპირდაპირის კარებთან ტრიალებდენ. ისინი ხშირად ქმნიდენ სახიფათო მომენტებს, მაგრამ აქედან მხოლოდ ორჯერ მიაღწიეს შედეგს; არმიამ თავის მხრივ ერთხელ მოახერხა ბურთის გატანა.

მეორე ხავტაიმში ბრძოლის ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. დროგამოშვებით არმიელებს ლამაზად მიქონდათ ბურთი მოპირდაპირის კარებისაკენ, მაგრამ „არსრაიონის“ მცველთა ძლიერი წინააღმდეგობის გამო შედეგს ვერ აღწევდენ.

შეჯიბრი გათავდა 6 : 1 „არსრაიონის“ სასარგებლოდ.

სამხედრო ოლიმპიადა

კვირას, დამთავრდა კავკასიის წითელდროშოვან არმიის მეხუთე სამხედრო-სასპორტო ოლიმპიადა. ოლიმპიადის მონაწილეთა ალლუმის და ჯილდოების დარიგებას დაესწრო სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრი და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა.

იურიდიული დახმარება

ვინ უნდა გააკეთოს რემონტი

კითხვა

ქმ ვარ სამხედრო პირი, მიჭირავს ერთი ოთახი ქალაქ თბილისში ახალი არსენალის ქუჩა სახ. № 3-ში. ოთახი ძლიერ დაზიანებულია და სჭირდება კაპიტალური რემონტი, სახლზედ დადებულია ყადაღა „უქსის“ მიერ და არ არის ნაციონალიზაცია ქმნილი. აქამდის ქირას უხდიდი სახლის პატრონს, ამჟამად კი უხდი „უქსს“. გთხოვთ მიპასუხოთ, ვის ევალება სახლის (ჩემი საცხოვრებელის) ბინის რემონტის გაკეთება სახლის პატრონს, თუ ყადაღის დამდებელს.

ვანო მდივნიშვილი.

პასუხი

თანახმად ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. ივლისის დადგენილება № 88-ისა სახლის, ან ბინის კაპიტალური რემონტი უნდა გააკეთოს სახლის მფლობელობამ (სახლის პატრონმა).

ბინის რემონტის შესახებ

კითხვა

ვმსახურობ ა. კ. რკინისგზაზე სად. თბილისში, ვარ პროფკავშირის წევრი 1917 წლიდან (წიგნაკის № 13253). ვცხოვრობ ქალ. თბილისში გოგოლის ქუჩა სახ. № 52-ში. (მე-10 უბანში) მიჭირავს ერთი ოთახი დაბლა სართულში, სივრცით 48 კვადრ. არშინი, ოთახი არის ნესტიანი: ქვეშა იატაკი ძევს მიწაზე. სახურავის უვარგისობის და წვიმების გამო ჭერი არის ჩამონგრეული და მოითხოვს შეკეთებას. ამის შესახებ სახლის პატრონს რამდენჯერმე მივმართე, რათა მას შეეკეთებია. ზემო ხსენებული ბინა, მაგრამ, მან არავითარი ყურადღება მას არ მიაქცია.

ვინაიდან ამ ოთახში ცხოვრება შეუძლებელი იყო, მე იძულებული შევიქენი შემეკეთებია ჩემ ხარჯზე.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება მაქვს თუ არა უფლება ოთახის შეკეთებაში დახარჯული თანხა სახლის პატრონს გამოვქვითო ქირიდან. და რამდენი უნდა გადავიხადო ოთახის ქირა.

ჯამაგირს ვღებულობ მე-10 ხარისხის 50 მანეთი და 70 კაპ. რაოდენობით.

რკინისგზელი ისიდორე გოგიბერიძე.

პასუხი

თანახმად ქ. აღმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. ივლისის დადგენილება № 88-ისა, კაპიტალური რემონტების გაკეთება ევალება სახლის მფლობელობას (სახლის პატრონს). თქვენ მიერ გაკეთებული რემონტი სწორედ კაპიტალური რემონტის ხასიათისაა. ამიტომ თქვენ გაქვთ სრული უფლება რემონტზე დახარჯული თანხა სახლის პატრონს დაუქვითოდ ბინის ქირიდან. ხოლო ამისათვის საჭიროა სწორი ანგარიშის წარდგენა, რომელიც უნდა იქნეს დადასტურებული ტეხნიკის მიერ.

ბინის ქირად თითოეულ კვად. არშინზე თქვენ იხდით სამი კაპეიკის რაოდენობით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ოთხშაბათს, 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) შენობაში შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დასწრება ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა.

1. ქართველიშვილი ლავრენტი, 2. ინსტრუქტორები: მირიმანოვი, ხაცკევიჩი, ჯაფარიძე, ტყაბლაძე, 3. ხუნდაძე, 4. ინფორმატორები, 5. ლიცინოვი, 6. ჯაფარიძე, 7. ინსტრუქტორები (ქალთა განყ.) ჩერქეზიშვილი, და გაგიევა, 8. მუშიშვილი, 9. აკოპოვი, 10. საყვარელიძე, 11. მურავიოვი, 12. მელნიკოვი, 13. ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე, შოგირაძე, ჩალიანი, 14. გოგლიძე, 15. ჯავახიძე—(ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ.), 16. მარკაროვი (ქართ. დივიზია), 17. ბოგდანოვი (კ. წ. დრ. პოლიტ. მმართვ.), 18. აფციაური (შინ. საქ. კომისარიატი), 19. ფანცხავა (ს. პ. კ. ს.), მოწვეული არიან ამხ. ამხ. გობეჩია და ტაბიძე (კ. კ. ცეკადან), ამხ. ნასარიძე და აივაზოვი (ხელოსანთა კავშირიდან), ამხ. კვიცარიძე (განათლების კავშირი).

ცეკას საორგანიზაციო განყოფილება.

სამშაბათს, 27 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს წითელ დარბაზში შესდგება ქალაქის რაიკომის უჯრედების პარტორგანიზატორების თათბირი.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება რომ 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება **კომკავშირის ორგანიზაციის აქტივის კრება.** ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მდივანი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ამხ. ხითაროვი** გააკეთებს მოხსენებას კომკავშირის უცხოეთის ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ. თბილისის კომიტეტის წევრებისა და კანდიდატების, რაიკომებისა და უჯრედების ბიუროების წევრების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

27 ივლისს დღის, 4 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია, სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ბიუროს სხდომა.

ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება რომ დღეს, 27 ივლისს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალთა საერთო-სადელეგატო კრება დიასახლისებთან ერთად (ქართულისა და რუსული ჯგუფის). დასწრება ყველა დელეგატ ქალთა ორგანიზატორების სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 27 ივლისს, საღამოს 6 საათზე შესდგება მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სამშაბათს, 27 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ბინაზე შესდგება ქალაქის უჯრედების მდივნების სასწრაფო კრება.

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრა (საშა) იოსების ასული და სვიმონ (სიკო) გიორგისძე გედევანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ს. მცხეთაში 25 ივლისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორის ბიძა

მიხეილ სვიმონისძე გედევანიშვილი

პანაშვიდი და წირვა მცხეთის საკათედრო ტაძარში 29 ივლისს, დაკრძალვა იმავე დღეს მცხეთაშივე. 2053

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1446 0—21

კოვანკო, იუჟაკოვა, ანდრე ნოკსი პრემიერაში
„შოპენის მე-15-ე პრელიუდია“
სოლო ვიოლონჩელზე მალუნცევი
კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა.

საუკეთესო სურათი
„რობინ გუდ“
დუგლას ფერბენქსის მონაწ. „რობინ გუდ“ მოსკოვში ერთდროულად მიდიოდა მოსკოვის 15 საუკეთესო კინოში.

უკანასკნელი დღე
„ქალი გზა ჯვარედინზე“
(მონიკა ლერბიე)
ვ. მარგერიტის რომანისა მიხედვით.
ანონსი: ხვალ „ლედი გამილტონ“ კონრად ვეიდტის და ლიანა გაიდის მონაწილეობით.

[illegible]
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

მუშათა ცენტრალური კლუბი
პლეხანოვის გამზირი № 123
დღეს, სამშაბათს, 27 აპრილს
სიმფონიური კრება
სომხური მუსიკა
პროგრამაში შედის შემდეგი კომპოზიტორების ნაწარმოებნი: სპანდიაროვის, იპოლიტოვ-ივანოვის და ტერ-გევონდიანის.
ნ. 1612.

გაზეთ
„კომუნისტის“ „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“
რწმუნებულათ ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი“ „მუშა“ და „ახალი სოფლის“ მთავარი კანტორები

სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვების და დიდების) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირ № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტ.) ტელ. 13—63.

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს**, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითრის ნომერი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

ზაჰესის მაღალ ძაბვის ელგადაცემის ხაზი იმ ადგილებში, სადაც უკვე გაჭიმულია სპილენძის მავთულები მეტალიურ ანძებზე უახლოეს დღეებში
მაღალ ძაბვის დენი იქნება
ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო გაფრთხილებას იძლევა, რომ ანძებზე შესვლა და მავთულების შეხება
სასიკვდილოა
ანძებზე გაკეთებულია სათანადო გაფრთხილებული წარწერები
2—2 ნ. 1608 სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ჰიბინაძე.

მე-4-ე ქართულ მსროლელთა ლეგიონი

ამით აცხადებს უფროს და საშუალო ცვალებად უფროსთა და პოლიტიკურ შემადგენლობის პირთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 10 აგვისტოსათვის დანიშნულია აღნიშნულ პირთა საერთო შეკრება ლეგიონში (ქ. გორში).

აღნიშნულ რიცხვისთვის ზემო-ნაჩვენებ კატეგორიის პირები ყოველივე საბუთებით უნდა გამოცხადდნენ სათანადო მაზრების სამხედრო კომისარიატებში რკინის გზით გადასაყვან საბუთების მისაღებათ იმ ანგარიშით, რომ 10 აგვისტოს დილით იყვნენ ლეგიონის შტაბში ქ. გორში

სრულებით ან თავის დროზე გამოუცხადებლობისათვის, დამნაშავენი იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში:

შენიშვნა: მაზრის სამხედრო კომისარიატებში გამოცხადდებიან ის პირები, რომლებიც სცხოვრობენ ქ. გორიდან 25 კილ. ზევით, დანარჩენი კი მოდიან პირდაპირ ლეგიონში.

ლეგმეთაური—სამხკომი ბელოვი.
შტაბის უფროსი ბასილია.
3048

გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფლი“-ს
მთავარი კანტორების
რწმუნებული გურიაში

აცხადებს ამავე გაზეთების მკითხველთა საყურადღებოდ:, რომ ზემოდდასახელებულ გაზეთებზე ხელის მოწერა აგვისტოს—თვის მიიღება შემდეგ ადგილებში:

1. ქ. ოზურგეთში—გაერთიანებულ კანტორაში, გურიის პროსპ. № 85.
2. სადგურ სუფსიდან სადგურ ოზურგეთამდე ჩართვით რკინის გზის მუშა მოსამსახურეთათვის ადგილკომებთან.
3. ქ. ლანჩხუთის და მისი რაიონისათვის—გრიშა ხოფერიასთან (ფოსტაში ქ. ლანჩხუთში).
4. ჯუმათში—და მისი რაიონისათვის მოქ. სანდრო ნიკოლაიშვილთან (ფოსტაში სად. ჯუმათი).
5. სად. ნატანებში—ნატანების და მისი რაიონისათვის მოქ. სამსონ ქინქლაძესთან (ს. ნატანებში).
6. დაბა ჩოხატაურისა—და მისი რაიონებისათვის 1. „ეპოში“—მოქ. მირიან გიორგაძესთან და 2. ბაზარში—ივლიანე ჯინჭარაძესთან.
7. ნაგომარისა და მისი რაიონებისათვის მოქ. ხონია თავართქილაძესთან (ცენტ. სამკითხველოში).
8. ხიდისთავისა—და მისი რაიონისათვის მოქ. კასიანე კალანდაძესთან (სამკითხველო).
9. ბუკნარის თემისათვის ტატიანა კოტრიკაძესთან.
10. ბახვის თემისათვის მოქ. ნიკო შონიასთან (ფოსტა).
11. ცხემლის ხიდზე მოქ. ივანე კობიძესთან (სამკითხველო).
12. შემოქმედში—თამარა ვაშალომიძესთან. (სამკ.).
13. ლიხაური—კალისტე გორდელაძესთან (თემ. აღმასკომ.).

გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფლი“-ს
რწმუნებული ოზურგეთში ც ცხლაძე
4—2 ნ. 1601

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 30 ივლისს 1926 წ., საათის 12, ტურგენევის ქ. № 4, სასამართლოს ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თელეთის კოოპერატივის მოძრავ ქონებას: საპონს—სარეცხს და ტუალეტისას, შაქარს, ჩაის, თამბაქოს, პაპიროზს, სამთელს, დანებს, ლურსმანს, მშრალ ხილეულობას, ასანთს, ფოლაქებს და სხვას, შეფასებულს 404 მან. 73 კ., დასაკმაყოფილებლად თბილისის აღმასკომისა, საფეიქრო სინდიკატისა და ცეკავშირისა. ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან. ქვ. 3050

ქ. თბილისის 2-ე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 29 ივლისს, 1926 წ., დღის 12, საათზე ახლში № 3, კოჯორის შესახვ. **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის [illegible] არმალუის ქარჩიკიანცის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, [illegible] და სხვა ბინის მოწყობილებას, შეფასებულს 93 მ[illegible] თბილისის კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად [illegible] ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს 25 მაისის 1926 წ. თარიღით, № 4076 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1611

გაზ. „კომუნისტი“-ს რწმუნებულათ
შორაპნის მაზრაში
ინიშნება
გიორგი გოგელია
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“, „მუშაზე“ და „ახალი სოფელზე“
0—3 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ჭიათურის გამგე გოგელიას, ზუგდიდის კონტრაგენტ რუდის და სამტრედიის კონტრაგენტ მ. წულაიას გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 31 ივლისს, დღის 11 საათზე, პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება კარაპეტ სტეფანესძე ვართანოვის სახლი, ართვინის შესახვ. № 10 (მეცხრე კომისარიატი). სახლი შესდგება 3 ოთახისაგან, 2 სამზარეულოსგან, სარდაფებისგან და საკუჩნაოსგან, შეფასებულია 800 მანეთად. ხსენებული სახლი აწერილ იქნა სარქის არუთინოვის პრეტენზიით. სახლის გაყიდვა მოხდება ამავე შენობაში სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლების დაცვით. 3047

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთაწმინდის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 3—1

დაეკარგა მეტრიკული ამონაწერი № 555, სერგო ჭანტურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3051

დაეკარგა ქალ. თბილისის ლომბარდის ქვითარი № 27254 ჩ. გ.

დაეკარგა სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი № 408 კალენიკე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. 3041

დაეკარგა მეტრიკული ამონაწერი № 647; სამსონ არქიპოსძე ხარაბაძის სახელზე. ჩ. გ. 3043

დაეკარგა პირადობის მოწმობა ნესტორ ქარჩხაძეს სახელზე, ჩ. გ. 3042

დაეკარგა გემოკვების კავშირის წიგნაკი № 596, პარტ. ბილეთი № 6182, პირადობის მოწმობა № 8709 აბრამ აგაბაბოვის სახელზე, ჩ. გ. 3045

დაეკარგა ლეინის გასატანი მოწმობა № 21327 24 ივლისს, 1926 წ., მოცემული ბორჩალოს მაზრის ინსპექტორის მიერ და „კუპონის“ რვეული № 93 მოცემული სააქციზო სამმართველოს მიერ. ივანე მათეშვილის სახელზე, ჩ. გ. 3044

დაეკარგა უმუშევრობის წიგნაკი, გაცემული ქ. თბილისის დაზღვევა სალ როდან ანდრია პაპუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3049

საქართველოს კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68